

**ISSN 1987-5789**

# **ЭЗМБМДОЗ**



**ECONOMICS and BUSINESS  
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС**

**СЕПТЕМБЕР-ОКТЯБРЬ  
SEPTEMBER-OCTOBER  
СЕНТЯБРЬ-ОКТЯБРЬ**

**2010**

03069 ქავებიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთა-  
შორისო რევერტენტაბაზი და რეცენზირებაზი  
სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

**International refereed and reviewed scientific and practical journal of  
the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

**Международный рефирируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского  
государственного университета  
имени И. Джавахишвили**



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ

Published since January, 2008 once in two month

**Выходит с Января 2008 года раз в два месяца**

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თევზ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16  
e-mail: [tsu\\_economica@mail.ru](mailto:tsu_economica@mail.ru)

## სარედაქციო პოლიტიკა

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე,  
ლეო ჩიკავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: იური ანანიაშვილი,  
რამაზ აბესაძესიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგბარ თოლეა, ირაკლი კოვანაძე,  
ეკა ლეკაშვილი, მურთაბ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთიევან მარშავა, ელგუჯა  
მექეაბიძეშვილი, იაკობ მესხიანი, ნუგბარ პაიჭაძე, მურმან ტურავა, მირიან ტუხაშვილი, ეთერ  
ხარაიშვილი, ელენ ხარაბაძე, რომან ხარბეგია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია,  
ემზარ ჯგურენაძე.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of  
Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze,**  
**Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili,**  
**Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili,**  
**Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter**  
**Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia,**  
**Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор доктор экономических наук,  
профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – Владимир  
Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.

Доктора экономических наук, профессора: Юрий Ананиашвили,  
Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий  
Ковсанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван  
Маршава, Злгуджа Меквабишили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман  
Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი,პარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიძი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუ (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

#### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

#### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Куниц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - Декан факультета экономики и администрирования бизнеса

გრიგოლ თოლეა. ლეგენდარული ატლანდისი და თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი .....	11
ლეო ჩიქავა. ზოგიერთი სადისკუსიო ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხისათვის .....	29

07-ი ანანიაშვილი. საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მშპ-ისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება .....	45
06გა ბანაშვილი. საქართველოს ეროვნული შემოსავალი ეკონომიკის სექტორების მიხედვით .....	75

სიმონ გელაშვილი. ახლებური მიდგომები სავალუტო კრიზისის თეორიაში (გერმანულ ენაზე) .....	84
მაია გოგოება. ფულის ფუნქციათა თანამედროვე მოდიფიკაციები და სტაბილიზაციური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა..	95

ნებგარ პაიჭაძე. ორგანიზაციული კულტურა, როგორც ადამი-ანური რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი .....113
მაია მარგალიაშვილი. საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის როლისა და ადგილის საკითხისათვის ..... 123
ნებგარ თოლეა, ღინარა ღომინაძე. სამედიცინო მომსახურებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა ..... 135
დავით ნიშარაძე მრავალეროვნული კომპანიების საერთაშორისო მარკეტინგული სტრატეგია.....145
ია ნაცვლიშვილი. ცელილებების მიმართულებები უმაღლესი განათლების მენეჯმენტსა და კურიკულუმის განვითარებაში (ინგლისურ ენაზე) ..... 159

ახალი წიგნები:

როგორია პროფესიონალ-რესენტია აზრი?

მოთა ქისტაური. ენციკლოპედიური ნაშრომი ..... 172
რევაზ გოგოხია, ჯემალ მახარაძე. საჭირო სახელმძღვანელო ..... 184
გამოჩენილ აღამიანია გალერეა
ლეო ჩიქავა. ქართული ეკონომიკური მეცნიერების რაინდი ..... 187

---

---

CONTENS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLITICS

GRIGOL TODUA. Legendary Atlantis and modern social-economic progress .....	11 -----
LEO CHIKAVA. Importance of contextual meaning of some debatable economic terms .....	29 -----

MACROECONOMICS

IURI ANANIASHVILI. Econometrical estimation of potential gross domestic product and natural rate of unemployment of economy of Georgian .....	45-----
INGA BENASHVILI. National income of Georgian according economic sectors .....	75 -----

FINANCES AND BANKING

SIMON GELASHVILI. An overview of newer approaches in the theory of currency crises (in German) .....	84 -----
MAYA GOGOKHIA. Modern modifications of the function of money and stabilizing monetary policy .....	95 -----

---

---

## MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR PAICHADZE. Organizational culture as indivisible part of human resources .....	113 ---
MAYA MARGVELASHVILI. For the issue of the role and place of tourism in the Georgian economy .....	123---
NUGZAR TODUA, DINARA LOMINADZE. Marketing research of customer attitude towards medical service .....	135
DAVID NIZHARADZE. International marketing strategy in multination companies .....	145
IA NACVLISHVILI. Direction of changes in the management of higher education and curriculum development .....	159

## NEW BOOKS: WHAT ARE THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS?

SHOTA KISTAURI. Encyclopedic work .....	172 ---
REVAZ GOGOKHIA, JEMAL MAKHARADZE. Necessary textbook .....	184 -----

## GALLERY OF THE EMINENT PEOPLE

LEO CHIKAVA. The Knight of Georgian economic science .....	187--
--	-------

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ГРИГОЛ ТОДУА. Легендарный Атландис и современный социально-экономический прогресс .....	11
ЛЕО ЧИКАВА. К вопросу о содержательной нагрузке некоторого дискуссионного экономического термина .....	29

### МАКРОЭКОНОМИКА

ИЮРИ АНАНИАШВИЛИ. Эконометрическая оценка потенциального валового внутреннего продукта экономики Грузии и естественного уровня безработицы .....	45-----
ИНГА БЕНАШВИЛИ. Национальный доход Грузии по секторам экономики .....	75-----

### ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО

СИМОН ГЕЛАШВИЛИ. Новые подходы в теории валютного кризиса (на немецком языке) .....	84 -
МАИЯ ГОГОХИЯ. Современные модификации функции денег и стабилизационная денежно-кредитная политика .....	95

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

НУГЗАР ПАИЧАДЗЕ. Организационная культура, как неразделимая часть управления людских ресурсов .....  
..... 114

МАИЯ МАРГВЕЛАШВИЛИ. К вопросу о роли и месте туризма в экономике Грузии .....  
123

НУГЗАР ТОДУА, ДИНАРА ЛОМИНАДЗЕ. Маркетинговое исследование отношении потребителей к медицинскому обслуживанию .....  
135

ДАВИД НИЖАРАДЗЕ. Международная маркетинговая стратегия многонациональных компаний .....  
145

ИЯ НАЦВЛИШВИЛИ. Направлений перемен в менеджменте высшего образования и в развитии курикулума .....  
159

НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ  
ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ?

ШОТА КИСТАУРИ. Энциклопедический труд ..... 172  
РЕВАЗ ГОГОХИЯ, ДЖЕМАЛ МАХАРАДЗЕ. Нужный Учебник ..... 184

ГАЛЕРЕЯ ПРОСЛАВЛЕННЫХ ЛЮДЕЙ

ЛЕО ЧИКАВА. Рыцарь грузинской экономической науки . ....  
187

ლეგენდარული აზლანლისი და თანამედროვე  
სრციალურ-ეკონომიკური პროგრესი

გრიგოლ თოლეა  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

„საქართველო არის დაუშრებელი ფეხომენი დასავლეთისა, იგი თავისი სულიერი პულტურით დასავლეთს ეკუთვნის, აქ საერთოდ დასავლური კი არა, არამედ საგულვებელია დასავლეთური ათი ათას წლებში გარდასული და დაკარგული ატლანტიდა“  
(გრიგოლ რობაქიძე)

სუბსტანციური ძლიერება, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების მეურნეობრივი ყოფის არსებობისას განსაზღვრავს, სინთეზირებულია კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების განუყოფელ ერთიანობაში. ამ ასპექტით, ინდივიდი შეიძლება განისაზღვროს, როგორც საკუთრებით ურთიერთობათა ერთობლიობა.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ კერძო და საზოგადოებრივი საკუთრებითი ურთიერთობები დაწინაურებულ ქვეყნებში არსებობს ერთიანის გაორების სახით. ცხადია, აქ იგულისხმება ამ ფორმების მაღალ-ცივილიზებული ერთიანობა. ერთი რომელიმე ფორმის გაფეხიშება დეკადანისკენ უბიძებებს საზოგადოებას შეუჩერებლად. მათ შორის სოციალურად ორიენტირებული ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება კი სახელმწიფო არეალის დრმაგონივრული ჩარევის გზით შეიძლება მხოლოდ. მისი ფუნდამენტური ფუნქცია საზოგადოებაში ფეხმოკიდებული მძარცველური ფსიქოლოგის დაძლევისკენ უნდა იყოს მიმართული დღენიადაგ. ბრძენი ადამიანები შემთხვევით როდი ამტკიცებენ, რომ სიძულვილს უმთავრესად ორი რამ იწვევს: სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფა უპირატესად.

ადამიანები უფრო ადგილად ურიგდებიან მამის სიკვდილს, ვიდრე ქონების ჩამორთმევას და სამექანიდროს მოშლას (მაკიაველი).

გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურად ორიენტირებული თანამედროვე კერძო საკუთრება და სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი საკუთრება მთელი ქვეყნის მაშტაბით განაპირობებს ერთმანეთს, მაგრამ ამ ერთიანობის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელია მისი არსის თანმიმდევრული გაცნობიერება. ბუნებრივია, ქვეყანას უნდა მართავდნენ სახელმწიფოებრივი სიბრძნით დაჯილდოებული უმაღლესი მორალის ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ისტორიული პროცესების სინთეზური გაცნობიერების უნარი და რომელიც ამასთან ხელმძღვანელობენ წინაპართა მიერ ნაამაგარი პატრიარქალურ-რაინდული სიბრძნით: მითხარი როგორ ეპყრობი წარსულს და მომავალს გიწინასწარმეტყველებ უშეცდომოდ. ისტორიული მეხსიერება ადამიანის სულიერი მონაცემების გაძლიერების დიდ იმპულს იძლევა, ბარბაროსული ელემენტების გააქტიურების შესაძლებლობას ასშობს მასში. სინამდვილე უკიდეგანო სივრცეა, მთავარია შეგვეძლოს მისი მიახლოებითი შემეცნება მაინც. პრაქტიკამ მრავალგზის გვაჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში თვისებრივად ისეთი განსაკუთრებული რაიმე ახალი არ ხდება, რასაც სხვა ფორმით და შინაარსით ანალოგები არ გააჩნდეს წარსულში.

საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა მატერიალური და სულიერი დოვლათის მითვისებისა და მართვის საზოგადოებრივი ფორმაა, მაგრამ, ამასთან, სუბიექტიცაა, ერთდროულად ინდივიდუმის და კოლექტივის ერთიანობა. არავითარ საზოგადოებაზე ლაპარაკი არ შეიძლება იქ, სადაც საკუთრების რაიმე კონკრეტული ფორმა არ არსებობს. ყოველი წარმოება არის ინდივიდის მიერ ბუნების საგნების მითვისება გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით. საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა უწინარეს ყოველგვარი მეურნეობრივი საქმიანობის დასაწყისია, მაგრამ, ამასთან, რაც მთავარია, საწყისიცაა, რომელიც თავის მოძრაობაში განვითარების ზეაღმავალ გზას გაივლის. იგი, როგორც

ეკონომიკური კატეგორია, ასახავს ემბრიონალურ დასაწყისს, გადასვლას, რეფლექსის, საყოველთაობას, განსაკუთრებულობასა და ერთეულს. მოძრაობის ასეთი თავისებურებების გამო აქვს მას სუბსტანციური წარმოებითი ურთიერთობის ფუნქცია.

თავდაპირველად სწორედ საკუთრებითი ურთიერთობის ყოვლისმომცველმა ფენომენმა მიიყვანა მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები ლეგენდარული ატლანდისის პრობლემასთან. ჯერ კიდევ 1912 წელს პაულ შლიმანმა „ნიუ-იორკ ამერიკენში” გამოაქვეყნა სტატია „როგორ მივაკვლიე დაკარგულ ატლანდისს – ყველა ცივილიზაციის სათავეს”. მისი მტკიცებით, ამ მძლავრი სახელმწიფოს არსებობამ დასაბამი მისცა ისტორიული ხანის ყველა ცივილიზაციას. როცა ნილოსის თუ ეგვიპტისპირელნი, პერუს თუ მექსიკის მცხოვრები ქვის პრიმიტიულ იარაღებს იყენებდნენ, მაღალი კულტურის ატლანდისელი ხალხი დიდ ქალაქებს აშენებდნენ და მეცნიერების მაღალ მოთხოვნებს აკმყოფილებდნენ. ნიშანდობლივია, რომ ლეგენდარული ატლანდისადმი ინტერესი კვლავინდებური ინტენსივობით გრძელდება დღემდე, სულ უფრო და უფრო ახალი აღმოჩენებით მდიდრდება ატლანდისური ისტორიოგრაფია.

იდგა ძ.წ. აღ. VI საუკუნის დასაწყისი. იმხანად ეგვიპტეში ბრძანებულა ათენის დიდი რეფორმატორი სოლონი, როგორც მოგზაური. ქალაქ საისში იგი შეხვედრია ადგილობრივ მოხუც ქურუმს, რომელსაც მისთვის უამბია ატლანდისის დაღუპვის ტრაგიკული ისტორია. ათენში დაბრუნების შემდეგ ეს შემზარავი ამბავი ახლო ნათესავისთვის – კრიტიასისთვის მოუყოლია სოლონს. ამ უკანასკნელს კი თავისი შვილი შვილისთვის გადაუცია დაკარგული კონტინენტის თავდაგადასავალი. შვილი შვილი, რომელსაც კრიტიასი რქმებია სახელად, „ოცდათო ტირანის” ბეჭადი ყოფილა ათენში. სწორედ მისგან გაუგია პლატონს ატლანდისის ტრაგედიის ამბავი, რომელიც გადმოცემული აქვს თავის ნაშრომებში - „ტიმეოსა” და „კრიტიასი”.

სოლონის მონათხოვობის მიხედვით, ატლანდისი მდებარეობდა პერკულების სვეტების (გიბრალტარის) დასავლეთით აფრიკასა

და ამერიკას შორის ატლანტის ოკეანეში. აქედან წარმოდგა ამ კონტინენტის სახელწოდება. იგი სიღიღით აზიისა და აფრიკის კონტინენტს აღმატებოდა თურმე. აქ დაუარსებიათ დიდი სახელმწიფო, რომელსაც დაუკერია აფრიკა ეგვიპტემდე და ეკროპა ეტრუსკიამდე (იტალიამდე).

ატლანტისი ძვირფასი წიაღისეულით ყოფილა მდიდარი. აქაური კლიმატი მიწათმოქმედების განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლეოდა. ატლანტისი მაღალი დონის ზღვაოსნობით ხასიათდებოდა. მისი ხომალდები იმ დროისათვის ცნობილ ყველა საზღვაო ქვეყანას უკავშირდებოდა. იგი ყოფილა მაღალგანვითარებული მრეწველობისა და ტექნიკის სახელმწიფო, რომელსაც უშენებია გრანიტული შენობები, ნავსადგურები, სარწყავი არხები და ხიდები; დაუგროვებია დიდალი სიმდიდრე, მაგრამ ასეთ ძენიერ ცხოვრებას დიდი უძედურებაც მოუტანია აყვავებული ქვენისთვის.

კერძო საკუთრების აღვირახსნილ გაბატონებას ატლანტისელები უფსკრულის პირას მოუყვანია. ძალადობის, ჩაგვრის, დაკნინების, გაუტანლობის, გარკვნილებისა და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური და მორალური დეგრადაციის სინდრომს მოუცავს მთელი ატლანტისი. გადაგარებული ხალხი მრისხანედ დაუსჯია მამაზეციერს და ეს ვეებროველა კონტინენტი ოკეანეში ჩაუძირავს. მის ფსკერზე განისვენებს უზარმაზარი ცივილიზაციის სახელმწიფო. ეგვიპტელი ქურუმის გაღმოცემით, ეს მომხდარა 9000 წლის წინ მისი და სოლონის შეხვედრიდან.

ანტიკურ ეპოქაში საკუთრებითი ურთიერთობის, როგორც საზოგადოების ეკონომიკური ყოფის საფუძვლის პრობლემას, საგანგებო უურადღებას აქცევდნენ დიდი მოაზროვნები. მათი ერთი ნაწილი გააროგნები წყობილების აღორძინებაში ხედავდა უმაღლესი იდეალების განხორციელების შესაძლებლობებს. ჰესიოდე, რომელიც დაახლოებით ძვ.წ.ად. VIIIს. მეორე ნახევარსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, წარსულის იდეალიზაციის დროს გააროვნული წყობილების კრიზისული ვითარებიდან გამოდიოდა. მას თავისი შეხედულებანი ჩამოყალიბებული

აქვს ნაშრომში - „სამუშაონი და დღენი“. იგი შემფოთებული იყო იმ მდგომარეობით, რომ ადამიანთა მორალური დაცემისა და დემორალიზაციის პროცესი სულ უფრო ძლიერდებოდა ელადაში. ჰესიოდეს შეფასებით, მალე უცხო გახდება მეგობარი მეგობრისათვის და სტუმარი მასპინძლისათვის. მოყვარულ ძმათა შორის სიყვარული გაქრება, მოხუც მშობლებს აღარ მიიჩნევენ პატივისცემის დირსად.

გვაროვნულ წყობილებას ჰესიოდე „ოქროს საუკუნეს“ უწოდებდა. იმხანად არ არსებობდა კერძო საკუთრება, რომელიც სიხარბის, გაუტანლობისა და უპატივისცემლობის მიზეზს წარმოადგენს. ადამიანთა შორის სუფევდა ერთმანეთისადმი ზრუნვა და სიყვარული. „ოქროს საუკუნე“ ზევსის მამის კრონოსის დროს არსებობდა ამჟღეუნად. მისი გადაგვარება გამოიწვია ზევსის მიერ კრონოსის დამხობამ. ასეთივე მძიმე შედეგი მოჰყვა იუპიტერის მიერ სატურნის დამხობას.

ზევსის ეპოქიდან დაიწყო კაცთა მოდგმის თანდათანობით წახდენა. კერძო საკუთრება გაძლიერდა, ადამიანთა უმრავლესობისთვის ცხოვრება სულ უფრო გაძნელდა. მან ეტაპობრივად დაიწყო დაცემა და საშინელი სახე მიიღო „რკინის საუკუნეში“. კრონოსის ეპოქაში ადამიანები ცხოვრობდნენ ღმერთებივით, წყნარი და ნათელი სულით. სევდიანი სიბერე მათთან მიახლოებასაც ვერ ბედავდა. ისინი თითქოს ძილში კვდებოდნენ. პურისა და ჭირნახულის მოსავალს დედამიწა იძლეოდა შრომის გარეშე.

მეცენატის შეკვეთით, ვერგილიუსმა შვიდი წლის მუშაობის შედეგად, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვების 29 წელს, გამოაქვეყნა აგრარულ-დიდაქტიკური პოემა „გეორგიკები“, რომელიც ბევრის მხრივ ეხმაურება ჰესიოდეს ნაშრომს - „სამუშაონი და დღენი“. ვერგილიუსი პროტესტით გამოდიოდა ბოლომოულებელი სამოქალაქო ომების წინააღმდეგ და დიდ იმედებს ამყარებდა ოქტავიანეზე, რომელსაც უნდა მიეღწია ზნედაცემული ცხოვრების შეცვლისა და ძველი იტალიური სოფლების ყოფითი ნორმების აღორძინებისთვის. უდიდესი პოეტისა და მოაზროვნის სახელი დაიმკვიდრა ოვიდიუსმა პოემით - „მეტამორფოზები“ (გარდასახ-

ვანი), რომელშიაც იგი წერდა: სატურნის ეპოქაში ყველაფერი საერთო საკუთრებაში იყო, როგორც მზე და ჰაერი.

„ოქროს საუკუნის“ იდეოლოგიას სწორედ კერძო საკუთრება მიაჩნდა ყოველგანიც უბედურების საფუძვლად, ხოლო სიმდიდრისა და ფუფუნებისადმი წრეგადასული გამოდევნება – მორალური დაცემის მიზეზად.

მართალია, წარსულის იდელიზაცია და ეკონომიკური რომანტიზმის ტყვეობაში მოქცევა მიზანშეუწონელია, არც წარსულისკენ მიბრუნება შეიძლება საერთოდ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პატრიარქალურ-გვაროვნულმა წყობილებამ შექმნა ისეთი მაღალმორალური ცხოვრების ნორმები, რომელნიც დღესაც ანცვიფრებს და ანდამატურად იზიდავს კაცობრიობას. მათი დაკარგვა გამოუსწორებელი ზიანი იქნებოდა კაცთა მოდგმისათვის. ამ უმდიდრესი კულტურის უარყოფა კი არ უნდა მოხდეს, არამედ – დიალექტიკური მოხსნა-შენახვა ახალში. ამიტომ „ოქროს საუკუნის“ იდეოლოგთა მიმართ ვულგარულ-კრიტიკული პათოსით შეჯელობა დასაგმობია.

ყოველივე საუკეთესო, რაც ამჟამად არსებობს, პატრიარქალურ-თემური ურთიერთობიდან იღებს ემბრიონალურ დასაწყისს. გარემომცველი ბუნებრივი პირობებისადმი დამოკიდებულების მიხედვით, საზოგადოებრივი წარმოების პროცესი ყოველთვის აერთიანებდა საზოგადო და კერძო საქმიანობას. მათი ოპტიმალური შეთანაწყობა დაწინაურებულ ქვეყნებში ამჟამად უმაღლეს დონეებს აღწევს.

პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის ბატონობის პირობებში დოკლათის მოპოვება აუცილებლად მოითხოვდა ერთობლივი სამუშაო ძალის გამოყენებას, კოოპერაციულ შრომას, მაგრამ ბევრი მოხმარების საგნის მითვისება ინდივიდუალური (კერძო) შრომით ხდებოდა მხოლოდ. ჭაობების დაშრობა, საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობა, უღრანი ტყეების გაჩეხვა და ნიადაგის სავარგულებად გადაქცევა უცილობლად მოითხოვდა კოოპერაციულ შრომას და მიღებული შედეგების კოლექტიურ განაწილებას.

მაგრამ ნაჯახის, წალდის, თოხისა და ნალის გამოჭედვა, თიხის ჭურჭლის დამზადება, საოჯახო ბაღჩა-ბოსტნების მოვლა-

პატრონობა და სხვა მისთანები ინდივიდუალური შრომით ხორციელდებოდა და მიღებული შედეგებიც ინდივიდის საკუთრებაში რჩებოდა. ამიტომ, არასწორია მტკიცება, რომ თითქოს მეურნეობის პატრიარქალურ-გვაროვნული ფორმა მხოლოდ თემური (საზოგადოებრივი) ან მხოლოდ ინდივიდუალური (კერძო) იყო. დასაბამიდანვე ეს ფორმები განუყოფელ ერთიანობაში არსებობდა, ერთიანის გაორებას წარმოადგენდა. აქტიურ როლს ხან ერთი, ხან მეორე ფორმა ასრულებდა. კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით ამ ფორმების განუყოფელ ერთიანობას უნდა ემყარებოდეს ნებისმიერი საზოგადოების ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი ყოველთვის.

გარკვეული აზრით, მართალი იყვნენ ის მკვლევარები, რომელთა კონცეფციების მიხედვით პატრიარქალური ეპოქის კაცთა მოდგმა მოხმარებისთვის საჭირო დოკლათის უდიდეს ნაწილს ძლვნად ღებულობდა ბუნებისაგან. დედამიწის ბევრ რეგიონში იმხანად ისეთი სიუხვე სუფევდა, რომ ადამიანებს მცირეოდენი ენერგიის ხარჯვით დიდადი დოკლათის მითვისება შეეძლოთ. მაგრამ იყო ისეთი რეგიონები, სადაც სიღატაკე სუფევდა და ადამიანებს შიმშილისაგან სიკვდილის გარდაუვალი საფრთხე ემუქრებოდათ. ამასთან, სიუხვეს ისიც განაპირობებდა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა მეტად მცირე იყო.

საგანგებოდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მძიმე ეკონომიკურ პირობებში და მრისხანე მტრულ გარემოცვაში მცხოვრებ ხალხებს გაჭირვების ატანისა და გარემოსთან ბრძოლის დიდი უნარი გამოუმუშავდებათ ყოველთვის, ხოლო ბუნებისაგან განებივრებული, ფაქტობრივად უშრომელი ცხოვრების პირობებში და სუსტ მტრულ გარემოცვაში მყოფი მასები ბედის ტრიალმა დააჩიავა და განადგურების პირას მიიყვანა. ასეთია კაცობრიობის მარადიული ბედისწერა. ვითარების შეუფასებლობაში და წინდაუხედაობაში ბევრი მაღალკულტურული ხალხი ჩაძირა ისტორიის მორევში.

მაგრამ ახლა ისევ ლეგენდარული ატლანდისის ფენომენის პრობლემას დავუბრუნდეთ. „ოქროს საუკუნის“ კონცეფცია

ჩაძირული კონტინენტის ხალხთა ყოფის შესახებ, გავრცელებული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე შეიქმნებოდა ფრანგული სტრაბონის გადმოცვით, მოყირკებული და ფუქსავატური ცხოვრების შედეგად ადამიანები გახდნენ ამპარტავანნი. ზევსმა შეიძულა ასეთი ფუფუნებითი ყოფა და ადამიანები მძიმე შრომის პროცესში ჩააბა.

ატლანდისური ისტორიოგრაფია საკმაოდ სოლიდურ მასალას იძლევა დაკარგული კონტინენტის შესახებ მეცნიერული დასკვნების გამოტანისთვის. მკლევართა მტკიცებით ეს სახელმწიფო არსებითად იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხით ყოფილა დასახლებული. ქართული ჯიში დიდი რიცხოვებით გამოირჩეოდა აბორიგენებს შორის. აქ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „კოლხუას“ ტომს, რომელსაც ცნობილი მეცნიერები წარდგნამდელი კონტინენტის ძირითად ეთნოსად მოიხსენიებენ.

ირლანდიური წარმოშობის ფილადელფიული (აშშ) მწერალი იგნატიოს დიონელი, რომელიც XIX საუკუნეში მოღვაწეობდა, წიგნში - „ლათინური ენის წარმოშობა“, აღნიშნავდა: ცენტრალურ ამერიკაში მაიას ტომის ცივილიზაცია ატლანდისის სახელმწიფოდან იღებს სათავეს. დიონელის მტკიცებით, „მაია არის წარდგნამდელი ატლანდისიდან მოსული ტომის – კოლხუას კულტურული მემკვიდრე. იგნატიოს დიონელი მიუთითებდა, რომ კოლხუას ერა დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე. კოლხუას ტომს შეუდგენია მაიას ტომისთვის ალფავიტი. კოლხუას ტომს დაუმკვიდრებია ატლანდური ცივილიზაცია ცენტრალურ ამერიკაში.

თავის კვლევაძიებაში იგნატიოს დიონელი ემყარებოდა XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას (1524-1579) ხელნაწერ წიგნს - „მაიას ტომის ისტორია“, რომელიც ინახება ესპანეთის სამეფო საისტორიო აკადემიის წიგნსაცავში. დიეგო დე ლანდა პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკარიანის ნახევარკუნძულზე, რომელმაც აღწერა წარდგნამდელი მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი და ამ ანბანის წინასახე

<sup>1</sup> შურ. „აია“, 2002.

„კოლხუას ანბანი“.

დიეგო დე ლანდას ხელნაწერები პირველად შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბდე ბურბონმ. მან საფუძვლიანად გამოიკვლია კოლხუას ქართულ ტომებსა და ანბანზე (კოლხუას ანბანზე), იგივე მაიას ანბანზე დაყრდნობით ძევლი ამერიკული წარწერები, შეძლო მათი გაშიფრვა. ატლანდისის ისტორიის ამსახველი ეს მასალები პირველად ქართველ მკითხველთა ფართო წრეს ამცნო მწერალმა ვლადიმერ ალფენიძემ.<sup>1</sup>

ამერიკელი მკვლევარის ე. მატფორდის მოწმობით ალფავიტი წარდგნამდელი სამყაროს მემკვიდრეობაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბის 90-კაციან ექსპედიციაში სამი კოლხი ძმა – მოლაშხიები მონაწილეობდა. კოლხები კოლუმბმა მთავარი გემის „სანტა მარიას“ ეკიპაჟში ჩარიცხა.

ეტრუსკები, ისევე როგორც პელაზებები, კოლხეთიდან გადმოსახლებულ ეთნოსად მიაჩნდა ფრანგ მეცნიერს ედვარდ დე ლლინს. მისი მტკიცებით, კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.

თუმცა ქართული ტომები, რიგ შემთხვევაში, ურთიერთდაშორებულ ტერიტორიულ სივრცეებზე ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ, მაგრამ მათში მუდამ ძალუმად ძგერდა ჯიშის დაუოკებელი ყივილი. განუყოფელი ერთიანობის მტკიცე რწმენით იყვნენ გამსჭვალულნი ზემო და ქვემო იბერიელები, ყოველთვის მირმელი ქართული ცნობიერებით აღვხილნი. ჩვენი ერის გენეტიკური განვითარების პროცესი არ იძლევა ტომობრივი ნიშნისთვის არსებითი მნიშვნელობის მინიჭების რაიმე საბაბს. საქართველო თავისი არსით ერთიან ეროვნულ თრგანიზმს წარმოადგენდა იმთავითებ. იდგა ზეაღმავალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე გაერთიანების ხელსაყრელი პირობები დაუდგა ჩვენს სამშობლოს. ფარნავაზ დიდი ჩაუდგა სათავეში ამ საშვილიშვილო საქმეს. ქართლოსიანთა მეფე სახტიკად ამარცხებს პონტოს ძლიერ არმიას, რომელსაც წარმოშობით

19

ქართველი აზონი სარდლობდა. მას აღ. მაკედონელის თანამებრძოლადაც კი მიიჩნევდნენ განდიდების მიზნით. ფარნავაზმა ამ პრძოლაში ჩვენი ერის სამხედრო ხელოვნების მაღალი დონე წარმოაჩინა მაქსიმალურად; დაამტკიცა, რომ ქართველი ხალხის მხედრული სუბსტანციური არსი მტრისადმი მონური მორჩილება კი არ იყო, არამედ შეურიგებელი პრძოლის სხვადასხვა ფორმის გამოყენება მომხდურთა დაძლევისათვის.

გამარჯვებულმა მეფემ უმაღლ აფრინა მსახური ეგრისს და ქუჯი ერისთავს შეუთვალა: „მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, ამ მოკვდინებული სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიანი ძალით შევებათ აზონ ერისთავსა”.

ქუჯიმ სახელმწიფოებრივი სიბრძნით გამსჭვალული პასუხი აახლა მეფეს ხანდაუზმელად. „ადსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა”. ეგრისის მბრძანებელმა გაერთიანებული საქართველოს ბელადად და „უფალად”, ძლევამოსილი მეფე მოიაზრა იმთავითვე, დიდი პატივისცემით მიიღო უმაღლესი სტუმარი და მტკიცე ფიციო შეეკრა მას, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის წინააღმდეგ. „თავი და თავი ქართლოსიანი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი და შემდგომაც, თუ დავთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი”<sup>1</sup>.

სწორედ ქუჯი ერისთავის გენიალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იყო მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი პირველი დიდი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფარნავაზი, სახელოვანი ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი. ამ გაერთიანების შედეგად საბოლოოდ დამ-

<sup>1</sup> სანიკიშ, უქარქაშო ხმლები, წიგნი პირველი, თბ., 1976, გვ. 29-30.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 26.

კვიდრდა ქართველი ერის აღმავლობისა და განვითარებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფერმენტი ქართული ენა.<sup>2</sup> ფარნავაზმა განაცრცო ენა ქართული და აღარსად იზრახებოდა სხვა ენა, ქართლსა შინა” თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრიბა ქართული.<sup>3</sup> ფარნავაზმა იმეფა 65 წელი, აღესრულა 92 წლისა.

უტყუარი ისტორიული წყაროებით საბუთდება, რომ კოლხები და იბერიელები იგიური ჯიშის ქართველი ტომები ყოფილან, დასაბამიდან მტკიცედ შერწყმულნი. კოლხეთის სახელმწიფოს წინარე ხანაში იბერია ერქვა ერთიან საქართველოს. ბერძნები და ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს ზემო იბერიად მოიხსენიებოდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იბერიას უწოდებდნენ. მკვლევართა მიერ დამტკიცებულია, რომ ძ.წ.აღ. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა იბერიის დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც მოგვიანებით ქართლი ეწოდა.

ე. თაყაიშვილი ნაშრომში - „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?”, პირდაპირ მიუთითებს, რომ VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდე დასავლეთ საქართველოში იბერთა სახელმწიფო სუფევდა. ქართველების ჰეგემონია აქ VI საუკუნიდან იწყება.

ნიკო მარის მოწმობით, დასავლეთ საქართველოს ადრე ერქვა იბერია, ხოლო იქ მცხოვრებ მოსახლეობას იბერები, რომელიც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოზე და იქ მცხოვრებ ხალხზე გავრცელდა. ი. ყიფშიძე კიდევ უფრო შორს მიმავალ დასკვნას აკეთებს და ამტკიცებს, რომ თავდაპირველად სამეგრელოს ერქვა იბერია, მეგრელებს – იბერები, მეგრულ ენას კი – იბერიული ენა.

დეგენდარული კოლხეთის სახელმწიფოს ისტორიული შორეთის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აკად. ნ. ბერძენიშვილი. მისი მტკიცებით, არქეოლოგიური და ისტორიულ-ტოპონიმიკური, ამასთან, წერილობითი ცნობებიც მოწმობენ, რომ შუა და ბრინჯაოს ხანის, აწინდევლი ტაო-კლარჯეთის, სამცხისა და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი

მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა. ასეთ მეცნიერულ დასკვნას ისტორიკოსი დ. ბაქრაძის შეხედულებაც აძლიერებს. როგორც ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს, დ. ბაქრაძე ამტკიცებდა, რომ ახლანდელი გურულები არიან მეგრელები დროთა მსვლელობაში სრულიად გაქართვებულნი.

უდავოდ გასათვალისწინებელია პეროდოტეს ცნობები, რომლის მიხედვით ტერიტორია მეწამული ზღვიდან კავკასიის ჩათვლით უკავიათ კოლხებს, სასპერებს, ხალიბებს, მაკრონებს, მოსხებს და სხვა მათ მონათესავე ტომებს. ძვ.წ.ად. VI საუკუნეში მცხოვრები მემატიანე ჰეკატიოს მილეთელი თვლიდა, რომ მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაში შედის და მესხები იგივე კოლხები არიან. ასეთივე მტკიცებულებას იძლევა ივ. შოპენი. მას მიაჩნია, რომ მესხები, რომელნიც მტკვრის და ჭოროხის ზემოწელში ცხოვრობენ, იგივე იძერებს, ე.ი. კოლხებს წარმოადგენენ.

მდიდარ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარი ლ. სანიკიძე დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ იძერია იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ჩასაიდუმლოებული ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე, რომ ძირითადად კოლხებისა და ალბათ მათთან ერთად იძერიულ-კავკასიური მოდგმის სხვა ხალხთა კულტურაც წარმოადგენდა ატლანდისური ცივილიზაციის უშალო მემკვიდრეს.

გაუმართლებლად მიმაჩნია ცნობილი ისტორიკოსის რ. პელმენის დასკვნა, რომ თითქოს ატლანდისის იდეა მთლიანად პლატონის პოეტური გამონაგონია და არც ღირს მისი ძიება. ბიბლიაშიც ბევრია ისეთი პასაუი, რომელიც დაკვირვებულ მკითხველსაც კი ზღაპრად მოქმედება, მაგრამ ამ პასაუებში გენიალური აზრებია ჩასაიდუმლოებული. ასევე ატლანდისის გადმოცემაში შეიძლება ბევრი იყოს პოეტური გამონაგონი, მაგრამ ეს ისეთი გამონაგონია, რომლისგანაც შორსმიმავალი დასკვნები გამოსჭვივის.

საერთოდ, ატლანდისური პრობლემის შემეცნება მეცნიერებათა კავშირულთიერთობის მიღწევების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს მხოლოდ. ეს ფილოსოფიური მეთოდის გამოყენებას მოითხოვს უცილობლად. აქ ფილოსოფიური დებულებების ცოდნა

კი არ იგულისხმება უბრალოდ, არამედ პირველ რიგში ფილოსოფიური ინტელექტი, რომელიც მოაზროვნე გონებას დამოისახან ბოძებული ნიჭის სახით ეძლევა. ამიტომ, თუ ასეთი მონაცემები გააჩნია ადამიანს ახალგაზრდობაში ნუ დაყოვნებს მის გამოყენებას, მოხუცებულობაში ნურვინ მოიღლება ფილოსოფიით (ეპი-აურე).

ურველი მეცნიერული სისტემა, ცხადია, უნდა ხასიათდებოდეს ლოგიკური სიმტკიცით, არსებითად ლოგიკურად დადგენილ საზღვრებში უნდა მოიაზრებოდეს, მაგრამ შინაგანად მას უნდა გააჩნდეს ამ საზღვრების გადალახვის თვისებაც, უნდა იყოს ტრანსცენდენტური. რ. პელმენი ნაკლებ უურადღებას აქცევს ფილოსოფიური მეთოდის ამ მოთხოვნებს; ვერ ამჩნევს პლატონის მონათხობის შინაარსის ამ პოეტურ ფორმაში დაფარული ჭეშმარიტების მარცვლებს. ამიტომ, ატლანდისის შესახებ პლატონის მონათხობის ხელადგით უარყოფა გაუმართლებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ელადის გამოხენილი მოაზროვნები ჭეშმარიტების ლვთაებრივი პატივისმცემები იყვნენ და არ დალატობდნენ ამ პრინციპს. მეორე, მსჯელობა ატლანდისის შესახებ, რომ იგი სიდიდით აფრიკასა და აზიას აღემატებოდა ერთად აღებულს, თანამედროვე შინაარსით არ უნდა იქნეს აღქმული. იმუამინდელი თვალსაწიერი ამ კონტინენტების შესახებ მათ ნაწილს გულისხმობდა მხოლოდ. თუმცა, პლატონის მსჯელობა, ცხადია, მაინც გაზვიადებულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

პლატონმა შექმნა იდეალური სახელმწიფოს კონცეფცია, რომელიც კერძო საკუთრების გაუქმებას მოითხოვდა ძირითადად. ამის გამო ბევრი მკვლევარი დიდ ფილოსოფოსს კომუნიზმის თეორეტიკოსადაც კი თვლის. მან ნათლად შეიცნო, რომ ნატურალურ მეურნეობაზე აგებული მონათმებულებური სისტემა ინგრეოდა. მას სურდა ამ წყობილების განახლება, მაგრამ იდეალურ სახელმწიფოში თუ რა ზომით შეიძლებოდა კერძო საკუთრების შენარჩუნება საზოგადოებრივის გვერდით, ეს არა აქვს ნათლად მითითებული. თუმცა, როგორც რ. პელმენი აღნიშნავდა, მონათმფლობელურ სახელმწიფოს არ შეეძლო განეხორციელებინა

პლატონის იდეალები იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერძო საკუთრება შენარჩუნებული იქნებოდა ძველი მოცულობით.

მომდევნო ეპოქებში კიდევ უფრო გაძლიერდა ამ პრობლემებისადმი ინტერესი. ელინისტურ ხანაში შეიქმნა ისტორიული ჟანრის რომანები, რომელთაც ეწ. ოქროს ხანის იდელიზაცია ედო საფუძვლად. განსაკუთრებული ყურადღების დირსია ევგე-მერის „წმინდა ქრონიკები”, რომელთა ფრაგმენტები დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკაშია” დაცული. ევგემერმა მაკედონიის მეფის დავალებით წამოიწყო შორეული მოგზაურობა, გაცურა წითელი ზღვა და შევიდა ინდოეთის ოკეანეში, სადაც აღმოაჩინა კუნძულთა ჯგუფი. უკელაზე უფრო აღმოსავლეთით მდებარეობდა კუნძული პანქეა, რომელიც ოდესიდაც კრეტიდან წა-სული ტომებით ყოფილა დასახლებული. აქ მოელი სახნავ-სათესი ფართობები და საძოვრები საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. კერძო საკუთრებაში იყო მხოლოდ სახლები და ბაღები. აღგილო-ბრივი მცხოვრები შრომას ძალიან აფასებდნენ. ვინც შრომაში თავს გამოიჩნდა, მას გაცილებით მეტ პროდუქტს აძლევდნენ. მოქმედებდა პრინციპი: თითოეულს დამსახურებისა და შრომის მიხედვით.

ფეოდალიზმის ეპოქაშიც ვხვდებით სოციალისტური ში-ნაარსით გამსჭვალულ კუნომიკურ მოძღვრებებს. სამართლიანი საზოგადოებისკენ დაუცხრომელი სწრაფვა იგრძნობა ბურჟუაზიული რევოლუციების, გლეხთა ოქების თუ აჯანყებების ანალებში. კაპიტალიზმის გენეზისის დროიდან კი თანდათანობით იქმნება სოციალისტური შინაარსის მდიდარი ლიტერატურა, რომელშიც საკუთრება გაშუქებულია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძველი.

სწორედ კერძო საკუთრების ზღვარგადასული გაბატონება და მასზე დაფუძნებული მორღვეული სოციალურ-ეკონომიკური ყოფა გახდა ატლანტისური ცივლიზაციის დაღუპვის მიზეზი. მართვის სადაცების უსისტემოდ მიშვებამ და რაციონალური საქმიანი ვითარების მეტისმეტამ დაზიანებამ ბოლო მოუდო მოწე-რიგებულ ცხოვრებას. სახელმწიფო არეოპაგის მაღალორგანიზე-

ბული მოქმედების პირობებში, ცხადია, ეს არ მოხდებოდა. თავ-აშვებულობა ანადგურებს კაცთა მოდგმის ნებისმიერ საუკეთესო წარმონაშობს. ანარქიის ჭაბბში ჩაძირულ ქვეყნებს წარმატება არ უწერია. სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის სამედო გარანტი საკუთრებითი ურთიერთობის მაღალორგანიზებული მოწესრიგება შეიძლება იყოს.

კრიტიკული ვითარების სიღრმისეული გაცნობიერების ნი-მუშს წარმოადგენს აშშ-ის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის მიმართვა საზოგადოებისადმი. „ჩვენ, - ამბობდა იგი, - არავის ვაყვედრით სიმდიდრეს, თუ ის პატიოსანი გზითაა მოპოვებული, მაგრამ უნდა გავიაზროთ იმის აუცილებლობაც, რომ სახელმწიფო აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და გავაძლიეროთ კონტროლი. პარალელურად ჩვენი უდიდესი და უპირველესი მოცანაა – მივცეთ ადამიანებს სამუშაო. დიახ, ჩვენ უნდა უზრუნველყოთ საკუთრების დაცვაც და ადამიანთა კეთილ-დღეობაც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საქმე არჩევანზე მიდგება, მე ვუთანაგრძნობ ხალხს და არა მესაკუთრებებს”.

სახელმწიფო ხელისუფლება არის განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაცია, ლეგიტიმური ძალმომრეობის ფორმა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ანხორციელებს უმაღლეს ძალაუფლებას. მთავრობა ამა თუ იმ ფორმით ქვეყნის მართვის მუდმივმოქმედი ორგანიზაციული სისტემაა, რომლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ეროვნული ინტერესების დაცვა. მისი წარმოშობა განაპირობა მთელი საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობამ. თუ ერს სურს წარმატებას მიაღწიოს, მან უნდა შექმნას კორუფციისგან და მძარცველური ფსიქოლოგიური გარემოსგან თავისუფალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელსაც ექნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების ოპტიმალურად ჩამოყალიბებული ინსტიტუტები. იგი უმთავრეს ამოცანად უნდა ისახავდეს მრავალმხრივ განათლებული სპეციალისტების მომზადებას. სწორედ ეს შეიძლება გახდეს ერთს ყოველმხრივი დაწინაურების სამედო გარანტი.

ისტორიული წყაროებით საბუთდება, რომ სახელმწიფოს წარმოშობა, პირველ რიგში, ეროვნული ინტერესებით იყო განპირობებული. მისი მარტივი ფორმები ჯერ კიდევ პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის წიაღში ჩამოყალიბდა. სახელმწიფოს თავისებურ ფორმებს წარმოადგენდა თემთა გამოჩენილი თავკაცების, ხევისძერებისა და მახვშების მიერ ორგანიზებული მართვის სისტემები, რომლენიც მტკიცედ უძღვოდნენ წინ მთელი თემის მოსახლეობის ინტერესების დაცვის საქმეს.

მიზანშეუწონელია იმის მტკიცება, რომ თითქოს სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებული იყო მხოლოდ საზოგადოების კლასებად დაყოფასთან. მით უფრო გაუმართლებელია პოლიტიკური კონიუქტურის მიხედვით იმის ჯიუტად მტკიცება, რომ სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა არა მხოლოდ კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგად საზოგადოების კლასებად დაყოფამ, არამედ კლასებს შორის ანგარისტურმა წინადამდევობამ.

ნებისმიერი ერის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის წინააღმდეგობათა გაზიარებული შეფასება, ნაკლოვანებათა დაუსაბუთებელი და ტენდენციური გამოტანა სააშკარაოზე, არასტაბილურობის ვითარებას იწვევს სახელმწიფოში. ცივილიზებული ერები ასეთი ვითარების დაძლევისათვის იბრძვიან დღენიადაგ-დრმად მოაზროვნე ელიტარული გონება უნდა იღწვოდეს იმისათვის, რომ სოციალური ჯგუფები არ გადაკიდოს ერთმანეთს. ყოველი გადადგმული ნაბიჯი მეცნიერულ პრიზმაში გატარებას მოითხოვს უდავოდ.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოთა ეროვნული შინაარსი სულ უფრო მდიდრდება. ამიტომ, მთავრობათა ინტეგრალური პოლიტიკის გატარება ეროვნული ინტერესების ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს უცილობლად. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის სემუელ პანინგტონის მტკიცებით, თანამედროვე მსოფლიო ერი – სახელმწიფოების გზით ვითარდება. ამიტომ ერების ინტელექტუალური ელიტის ფუნქციად უნდა იქცეს ეროვნული

ფუნდამენტალიზმის დამკვიდრება.

დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ძალოვანი სტრუქტურებით სულ უფრო აქტიურად იცავს მთელი ხალხის ინტერესებს. ერების დამკვიდრება და განმტკიცება სახელმწიფო არეოპაგის უმთავრესი ფუნქცია იყო ყოველთვის. ხალხის ჰეშმარიტი წინამდლოდები ქვეყნის ინტერესებს პირად ინტერესებზე გაცილებით მაღლა აყენებდნენ და ამ პრინციპს შეურყეველი სიმტკიცით იცავდნენ ბოლომდე. ამის ერთ-ერთი უცილობელი მოწმობაა ბაგრატიონთა დინასტიის იგავმიუწვდომელი თავდადება ქართველი ერისათვის, მათი რელიგიურ კონცეფციამდე ამაღლებული სიკვარული სამშობლოსადმი. მეტად შთამბეჭდავია ის ფაქტი, რომ დ. აღმაშენებლის გენიამ ღრმა მეცნიერული პრინციპები შეიტანა რელიგიაში და დავთისმოსაობა უმაღლეს ფილოსოფიურ ხარისხში აიყვანა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ზომიერების დაცვით კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრება და ბაგრატიონთა მეომრული სულისკვეთების ახლებურად აღდგენა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, მისი შემდგომი სულიერი ამაღლების საიმედო გარანტი შეიძლება გახდეს. ბრიყვ ადამიანებს მატერიალური ფუნქციებისკენ დაუმკებელი ლტოლვა ამოძრავებო მხოლოდ. ისინი არსებითად უმტკიცნეულოდ ემორჩილებიან ბედის ტრიალს და ივიწყებენ ყოველივეს, რაც თავს გადახდათ წარსულში. ძლიერი ბუნების პირვენებები ბობოქრობენ და ხშირად უთანასწორო ბრძოლაში ებბებიან ძლევამოსილ ბედისწერასთან. ვინც პირველი იყო, ძალიან ძნელად ეგუება დაქვეითების მწარე ხევდრს. მაგრამ, თანმიმდევრული პრინციპებისა საბოლოოდ მაინც იმარჯვებს უგუნურ უხეშ ძალაზე, რეალიზმი იქვემდებარებს რომანგიზმს. წარმატებას აღწევს ის, ვისი ცნობიერებაც რაციონალური მიღრეკილებით გამოიჩევა მხოლოდ. საქმის არსი ბევრის ცოდნა კი არაა, არამედ – გონივრული ცოდნაა (დემოკრიტე). დიდი მიზნების განხორციელება შეუძლიათ

იმედშეულეველი რწმენით ფანატიკურად შეპყრობილ ისტორიულ პიროვნებებს, რომელიც თავგანწირული ბრძოლით მიისწრაფვიან გადალახონ ეპლოვანი ზღუდებით მოცული ურთულესი დაბრკოლებები.

## Legendary Atlandis and Modern Social-Economic Progress

*G. Todua*

Substantial strengths, that determines essence of any social-economic system, is the indivisible unity of private and public property. Achievement of the optimal balance between these forms must be a fundamental function of the state. Disorder in universal phenomena in economic and property relations causes gradual degradation of a state. This is how it was in past, similar processes are going on nowadays, and if the situation doesn't change seriously we have to expect similar results in the future. Achieving success, first of all, requires regulation of national states.

Protection of national unity must be the subject of every nation's care. Moreover, if these nations fundamentally are representatives of the same ethnoses. This was characteristic for Georgia during its whole history. Genetic development process of our nation does not show any reason for giving special meaning to ethnic origin. Georgia has always been undivided national organism and it will stay the same in future perspectives as well.

8 ივნისი საღისაუსილ ეკონომიკური  
ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საპითხო-  
ისთვის

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი

ტერმინების სწორად დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციური, მეცნიერულად გამართული მსჯელობისთვის. მხედ- ველობაში გვაქვს არა მარტო და არა იმდენად ფორმულირებები, არამედ (და განსაკუთრებით) ის, თუ რა შინაარსი დევს თითოეულ მათგანში. რაც უფრო არაორაზროვანი და საერთაშორისო მას-შტაბით უნიფიცირებულია ეს უკანასკნელი, მით უფრო ადვილი გასაგებია თითოეული ავტორის (ამერიკელი იქნება ის, თუ ქართველი) მსჯელობის არსი, ხოლო მის საფუძველზე გათვალისწინებული მაჩვენებლები – ურთიერთშესაძლებელი არადა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი.

წინამდებარე სტატიაში მკითხველს გვინდა შევთავაზოთ ჩვენი ნაფიქრალ-ნააზრევი შრომის ეკონომიკისა და სტატისტიკის ზოგიერთი სადისკუსიო ტერმინის ფორმულირებისადმი მათი შინაარსის ადეკვატურობის შესახებ. ჩვენ შორს ვართ იმის მტკიცებისგან, რომ მხოლოდ ჩვენი, ეკონომიკურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულისგან რამდენადმე განსხვავებული, შეხედულებაა ასხოლუტური ჭეშმარიტება, ხოლო სხვების ნააზრევი – არასწორი და მიუღებელი. თუმცა, ერთ რამეში კი ნამდვილად ვართ დარწმუნებული: ჩვენ მიერ ცალკეული ტერმინების თაობაზე გამოთქმული მოსაზრებანი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს ჭეშმარიტების დადგენაში. სადისკუსიოდ გამოგვაქვს ტერმინები: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ეკონომიკურად

არააქტიური მოსახლეობა, მოსახლეობის ეპონომიკური აქტიურობის დონე, დასაქმებული, თვითდასაქმებული, არასრულად დასაქმებული, დასაქმების დონე, უმუშევეარი, უმუშევრობის ბუნებრივი დონე, უმუშევრობის ფაქტობრივი დონე, სამუშაო ძალა, შრომითი რესურსები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდიკის თანახმად, რომელიც ძირითადად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) რეკომენდაციებს ემყარება, „ეკონომიკურად აქტიურია 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია ეკონომიკური საქმიანობით, და უმუშევრები“<sup>1</sup>.

ეკონომიკურ საქმიანობაში იგულისხმება როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო წარმოება. პირველი, ბაზრისთვის განტვრის ეკონომიკური დოკუმენტისა და მომსახურების წარმოებასთან ერთად, მოიცავს საქმიანობას სახელმწიფო და სხვა სოციალურ და კულტურულ დაწესებულებებში, რომელთა პროდუქცია შეიძლება არ იყოს რეალიზებული ბაზარზე. არასაბაზრო წარმოება კი, თავის მხრივ, მოიცავს საქმიანობის ოთხ ჯგუფს: საკუთარი მოხმარებისთვის პირველადი პროდუქციის წარმოებას; საკუთარი მოხმარებისთვის პირველადი პროდუქციის გადამუშავებას თვით მეწარმეთა მიერ; საკუთარი საჭიროებისთვის ძირითადი ფონდების წარმოებას და საკუთარი საჭიროებისთვის არაპირველადი პროდუქტების წარმოებას, რომელიც შეიძლება გატანილ იქნეს აგრეთვე ბაზარზე გასაყიდად.

ეს მსჯელობა მისაღებია და საკამათო თითქმის არაფერი გვაქვს.

„დასაქმებულებსა“ და „უმუშევრებს“, როგორც „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ ძირითად კომპონენტებს, ქვემოთ ცალ-ცალკე გავშიფრავთ. აქ კი გვინდა შევეხოთ აღნიშნული ტერმინის სხვა შინაარსობრივ ასპექტებს. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, ასაკობრივი მიჯნის განსაზღვრა, ანუ შრომის უ-

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული – 2009, თბილისი, 2009, გვ. 41.

## ეკონომიკური თითოეული და ეკონომიკური პოლიტიკა

ნარიანი (უფრო ზუსტად, სრული შრომისუნარიანი) ასაკის ქვედა და ზედა ზღვრების დაზუსტება.

ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივის შეტანას საჭიროებს საქართველოში ქვედა ზღვრად მიღებული 15 წელი, რამეთუ მოზარდი 18 წლამდე ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული შრომითი საქმიანობისთვის და მძიმე შრომითი დატვირთვა მისი ორგანიზმის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. თანაც, ახალგაზრდა ამ ასაკში, ჩვეულებრივ, საშუალო სრული ზოგადი განათლების მიღებით არის დაგვებული და მუშაობისთვის ვერ იცლის. ამიტომ უპრიანია ჩვენთან ქვედა ზღვარი 18 წლით განისაზღვროს. აშშ-ში ასეთ ზღვრად 16 წელია დაწესებული<sup>1</sup>.

რაც შეეხება ზედა ზღვარს, მისი განუსაზღვრელობა გაუმართდებლად მიგვაჩნია. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ პენსიონერები საერთოდ არ უნდა მუშაობდნენ და მოსახლეობის ეს კატეგორია საერთოდ უნდა ამოვიდოთ შრომითი რესურსების შემადგენლობიდან. ასეთი მსჯელობა, ცხადია, დინების წინააღმდეგ სვლა იქნებოდა. ჩვენი მიზანია ხაზგასმა იმისა, რომ დაუსაქმებელი პენსიონერი არ უნდა ჩაითვალოს ტიპურ უმუშევრად, როგორც ეს კანონზომიერად ხდება მსოფლიოს ბევრ ნორმალურ (ეკონომიკურად განვითარებულ) ქვეყანაში. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი არაა ისეთივე სრულყოფილი სამუშაო ძალა, როგორიც ანალოგიური კვალიფიკაციის სრული შრომისუნარიანი ასაკის პირია; და, მეორე, მან საზოგადოების წინაშე უკვე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი და დაიმსახურა როგორც დასვენების უფლება, ისე საარსებო წყარო – პენსია. იგულისხმება ისეთი პენსია, რომელიც თავისი რაოდენობრივი პარამეტრებით არ ჩამოუვარდება არა მარტო მინიმალურ, არამედ რაციონალურ საარსებო კალათასაც. პენსიონერს არც ეს გარემოება უცრმალავს, შენარჩუნებული შრომის უნარის ფარგლებში, საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში მონაწილეობას. მით უმეტეს, თუ ის შემოქმედია და უპირატესად გონიერივი შრომით არის დაკავებული.

არადამაჯერებლად გვეჩენება საქართველოს სტატისტიკის

<sup>1</sup> გრ. მექტიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 582.

ეროვნული სამსახურის ასეთი განმარტება: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის „ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა საკმაოდ მაღალია“. მთავარი სწორედ იმის ახსნაა, თუ რატომა, მაგალითად, საქართველოში, ეკონომიკური განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, პენსიონერთა ეკონომიკური აქტიურობა ესოდენ მაღალი. „საიდუმლოების“ არსი, საარსებო მინიმუმთან შედარებით, მკვეთრად დაბალი პენსიების დანიშვნაში უნდა ვეძიოთ. აი, რატომ ელოდებიან მოუთმენლად ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმებული პირები საპენსიო ასაკის მოსახლეობას და რატომ აღიქვამენ ამავე გარემოებას ტრაგიკულად საქართველოსა და მისნაირ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეები.

ქვენის მდგრადი ეკონომიკური განვითარება და მყარი მატერიალური ბაზის შექმნა, საპენსიო სისტემის სრულყოფის კვალობაზე, კველაფერს მიუჩენს თავის კუთვნილ ადგილს და პენსიონერთა დასაქმების პრობლემას ნაკლებად აქტუალურს გახდის. ეს კი, თავის მხრივ, ხდეს შეუწყობს შრომის (სამუშაო ძალის) ბაზრის ფუნქციონირების თაობაზე ჭეშმარიტი დასკვნების გაკეთებას.

ამრიგად, ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გახდავთ ის, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შესახებ მსჯელობა უნდა შემოიფარგლოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობით. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ისმის კითხვა: „შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა“ და „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“ იდენტური ცნებებია? – ცხადია, არა. ესენი არაა იდენტური ცნებები. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია (თუმც ძირითადი ნაწილი) ეკონომიკურად აქტიური, მეორე, შედარებით მცირე ნაწილი კი, ეკონომიკურად არაა აქტიურია. მაგალითად, საქართველოში 2008 წელს ეკონომიკურად აქტიური იყო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 62,6 პროცენტი, ხოლო ეკონომიკურად არაა აქტიური – 37,4 პროცენტი.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ის კატეგორია ით-

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ვლება ეკონომიკურად აქტიურად, რომელიც აქმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: აქვს შრომის უნარი, ასევე, მუშაობის სურვილი, როგორც წესი, ემქბელი მას და მზადად მუშაობის დაწყებისთვის. შრომისუნარიან ასაკში ყოფნის მიუხედავად, ამაში ვერ ხდებიან და, მაშასადამე, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას არ განეკუთვნებიან გონიეროვად განუვითარებელი, ინვალიდი, ფსიქიკურად და უკურნებელი სენიორ დაავადგებული მოქალაქეები, პატიმრები, დღის განყოფილების მოსწავლეები და სტუდენტები, მცირებლოვანი შვილების დედები, დიასახლისები, რომლებიც დაკავებულნი არიან საოჯახო საქმეებითა და ოჯახის წევრების მოვლით. ეკონომიკურად აქტიურია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მსახურობს (ე. ი. ეწვევა ეკონომიკურ საქმიანობას), წარმოებისგან მოუწყვეტლად (დაუსწრებლად ან სადამოს განყოფილებაზე) განაგრძობს სწავლას ან, მუშაობის სურვილის მიუხედავად, ვერ პოულობს სამუშაოს და უმუშევარია.

ზოგიერთი პუბლიკაციის<sup>1</sup> თანახმად, სამხედრო მოსამსახურები (ჯარისკაცები) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნებიან, რაც არ მიგვაჩნია მართებულად. ეკონომიკურად აქტიურად სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ ის ნაწილი უნდა ჩავთვალოთ, რომელიც, საკუთარი თანხმობის საფუძველზე, კონტრაქტით მსახურობს და ნორმალურ ხელფასსაც დებულობს, ანუ დაქირავებული მუშაკია. რაც შეეხება სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცებს, ე.წ. წვევამდელებს, ისინი არც უმუშევრები არიან და არც ეკონომიკური საქმიანობით დასაქმებულნი, ამიტომ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას არ განეკუთვნებიან.

ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მრავალ სხვა ჯგუფთან ერთად, უნდა მივაკუთვნოთ ის დაუსაქმებელი პირებიც, რომლებმაც დიდი ხნის განმავლობაში სამუშაოს უშედეგოდ ძიების გამო, ხელი ჩაიქნიეს, რწმენა დაკარგეს და აქტიურად აღარ ექცევ მას. თუ რატომ, ამაზე

<sup>1</sup>Современные международные рекомендации по статистике труда. М., 1994, с. 53; რ. ასათიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, თბ., 2010, გვ.324; ეკონომიკის წნივლობელი ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 193.

პასუხს გავცემთ ქვემოთ ტერმინი „უმუშევრის“ ახსნისას.

ჩვენ მიერ გაკეთებული შენიშვნებისა და გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით,,„ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ ჩვენებული განსაზღვრა ასეთია: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის სრული შრომისუნარიანი (18 წლიდან საპენსიო ასაკამდე) მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი დასაქმებულია, ხოლო მეორე ნაწილი – უმუშევარი, რომელსაც აქვს შრომის უნარი, დასაქმების სურვილი და როგორც კი თავისუფალი ვაკანსია გამოჩნდება, მზადაა საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობის დასაწყებად.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა. ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს მეთოდიკა, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშებისას: „ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა უდრის 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას გამოკლებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: 1. შრომისუნარიანი ასაკს მიუღწეველი მოსახლეობა (ბავშვები და მოზარდები 18 წლის ასაკამდე), რომელიც საერთოდ ამოვარდნილია მეთოდიკიდან, რომლითაც ხელმძღვანელობს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშებისას; 2. შრომისუნარიან ასაკს (ჩვეულებრივ 65 წელს) გადაცილებული მოსახლეობა (პენსიონერები); 3. მოსახლეობა, რომელიც გამოითვლება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკლებით.

ამ მომენტების გათვალისწინებით,,„ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის“ ჩვენებული განსაზღვრა ასეთია: ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა უდრის შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი მოსახლეობის, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობისა და შრომისუნარიან ასაკის მოსახლეობისგან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის

გამოკლებით მიღებული ნაშთის ჯამს. თითოეულ ქვეყანაში ეს არის მოსახლეობის ის დიდმიწვნელოვანი ნაწილი, რომელიც ძირითადად დასაქმებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კმაყოფაზე იმყოფება.

ყოველივე ეს გვაძლევს თუ არა იმის თქმის საფუძველს, რომ ეკონომიკურად არააქტიურია (პასიურია) ყველა ის პირი, რომელიც არ იყო დასაქმებული განსახილების პერიოდის განმავლობაში<sup>1</sup> – რა თქნა უნდა, არა, რამდენადაც დაუსაქმებლებში უმუშევრებიც შედიან, რომლებიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენერა.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე. სტატისტიკური აღრიცხვის ორგანოები ამ მაჩვენებელს ასე ანგარიშობენ: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (ანუ სამუშაო ძალის) რიცხოვნობას ყოველ ზრდასრული მოსახლეობის რიცხოვნობაზე და გამოხატავენ პროცენტებში<sup>2</sup>. ასეთი გათვლები ბევრ ცდომილებას იწვევს, ამიტომ გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს.

ჩვენი შენიშვნა ძირითადად მნიშვნელს – ზრდასრულ მოსახლეობას ეხება, რომელიც, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასთან ერთად, ამ ასაკს გადაცილებულ მოსახლეობასაც მოიცავს და რეალურ ვითარებაზე მრუდე წარმოდგენას იძლევა. ამ ცდომილების თავიდან ასაცილებლად საქმარისია აღნიშნული მაჩვენებლის (და მისი შესაბამისი ტერმინის შინაარსის) ასეთნაირად დაზუსტება: მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან შეფარდებით (გამოხატული პროცენტებში). „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ რიცხოვნობაში ვგულისხმობთ ამ ტერმინის ჩვენ მიერ კორექტირებულ შინაარსობრივ დატვირთვას.

მწვავე დისკუსიის საგანია ტერმინი „დასაქმება“. ადამიანის ნებისმიერი შრომითი საქმიანობა (მაგალითად, დიასახლისის მიერ ოჯახის წევრების დასაქმებლად კერძების მომზადება, საკუთარი

<sup>1</sup> ეკონომიკის ენციკლოპედიური დექსიკონი, თბ., 2005, გვ. 433.

<sup>2</sup> გრ. მენქიუს დასახ. ნაშრომი, გვ. 583.

შვილების მოვლა და ა.შ.) ვერ ჩაითვლება დასაქმებად. ასეთად ჩაითვლება მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელიც მიმართულია ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის (საზოგადოებრივი მატერიალური დოკუმენტისა და მომსახურების) წარმოებისთვის. განასხვავებენ დაქირავებით დასაქმებასა და თვითდასაქმებას.

დასაქმებული (დაქირავებით მომუშავე პირი). შსო-ის რეკომენდაცია, რომლითაც დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ასეთია: „დასაქმებული – 15 წლისა და უფროხი ასაკის პირი, რომელიც გამოსახვლები კვირის განმავლობაში მინიმუმ ერთი საათით მაინც იყო დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით“<sup>1</sup>.

ეს რეკომენდაცია, ჩვენი აზრით, ბევრ ნაკლს შეიცავს: ჯერ ერთი, მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთი საათით მომუშავე პირის დასაქმებულად მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, თავის მოტყუებაა. ასეთი მიდგომით შეუძლებელია რეალური სურათის დადგენა და სწორი დასკვნების გაკეთება; მეორე, არაფერია ნათქვამი შრომის ანაზღაურებაზე. ადამიანი, უწინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, ხომ იმისთვის დებს კონტრაქტს დამქირავებელთან და ოწყებს მუშაობას, რომ საკუთარი, ასევე, ოჯახის წევრების მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ამ ფუნქციას ერთ საათში მიდებული, ვთქვათ, თუნდაც 10 ლარი შეასრულებს? – რა თქმა უნდა, არა. მესამე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომუშავეთა ასაკის მითითება არაა საჭირო, რამდენადაც ის, რაზეც მიგუთითებთ, ყველა ასაკის დასაქმებულს ერთნაირად ეხება.

ამ შენიშვნების გათვალისწინებით, ტერმინი „დასაქმებულის“ (იგულისხმება დაქირავებით დასაქმებული) შინაარსის ჩვენეული ფორმულირება ასეთი იქნება: დასაქმებულია პირი, რომელიც, დამქირავებელთან კონტრაქტის საფუძველზე, ეკონომიკური საქმიანობითაა დაკავებული თვეში არანაკლებ ორი კვირის განმავლობაში და ხელფასის სახით დებულობს შემოსავალს, რომელიც არ ჩამოუვარდება ქვეყანაში დადგენილ ყოველთვიურ საარსებო

<sup>1</sup> შრომის ბაზარი საქართველოში – 2003-2005. სტატისტიკური კუბლიკაცია, თბ., 2006, გვ. 115.

მინიმუმს.

პირები, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობით თვეში საშუალოდ ორ კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში არიან დაპატბულნი და ამისთვის დებულობენ საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს, უპრიანია იწოდებოდნენ არასრულად (ნაწილობრივ) დასაქმებულებად.

თვითდასაქმებულს უწოდებენ პირს, რომელიც ახორციელებს საკუთარი ინიციატივით წამოწყებულ ეკონომიკურ საქმიანობას, რათა მიიღოს შემოსავალი ნატურით ან ფულის სახით. „თვითდასაქმებულის“ განსაზღვრასაც თითქმის იგივე ნაკლოვანებები ახასიათებს, რაც „დასაქმებულის“ განსაზღვრას, ამიტომ ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული შენიშვნები ძირითადად ამაზეც ვრცელდება. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ისაა, რომ აქ სამუშაო დროის ფაქტორს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

დასაქმების დონე ზოგიერთ ქართულ წყაროში ეს საკითხი ისეა წარმოდგენილი, რომ ადგილი შესაძლებელია მკითხველი დაიბნეს. მოვიტანო თრიოდე ამონარიდს:

„დასაქმების დონე, გ.ი. შრომით პროცესში ჩართვა, დამოკიდებულია თანაფარდობაზე – შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის, აგრეთვე სამუშაო ადგილების შესაბამისობაზე იმ მუშაკების გამოყენების შესაძლებლობასთან, რომელიც შეზღუდული არიან პროფესიით, სპეციალიზაციით, სამუშაო გამოცდილებით, ცოდნითა და უნარით“<sup>1</sup>.

რომ არაფერი ვთქვათ ამ ამონარიდის მეორე ნაწილის ბუნდოვნობაზე, პირველ ნაწილში მსჯელობა უნდა იყოს არა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის თანაფარდობაზე, არამედ შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებულთა რიცხოვნობასა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობას შორის თანაფარდობაზე.

მეორე ამონარიდი ასეთნაირად ჟღერს: „დასაქმების დონე – დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეკონომიკის ენციკლოპედიური დაქტიური, თბ., 2005, გვ. 193.

ეს უფრო ახლოსაა ჰეშმარიტებასთან, მაგრამ დაზუსტებას მაინც საჭიროებს. მხედველობაში გავქვს ის გარემოება, რომ როგორც მრიცხველში, ისე მნიშვნელში უნდა ავიღოთ არა უკელა ასაკის, როგორც მოტანილ ამონარიდშია აღნიშნული, არამედ მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა.

უმუშევარი. შსო-ის მკაცრი კრიტერიუმით, უმუშევარია 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მზად არის დაიწყოს მუშაობა და ეძებს სამუშაოს. ამავე ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმით კი, უმუშევარია 15 წლის და უფროსი ასაკის ის პირიც, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა მისი შოვნის იმედი, მაგრამ შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდეს მუშაობას<sup>2</sup>.

„დაუსაქმებელი“ და „უმუშევარი“ არ არის იდენტური ტერმინები. უკელა უმუშევარი დაუსაქმებელია, მაგრამ უკელა დაუსაქმებელი უმუშევარი არ არის. მაგალითად, დაუსაქმებელია (კ.ი. მთლიანი შიგა პროდუქტის შემქმნელ საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში არ მონაწილეობს) დიასახლისი, რომელიც მცირებულოვანი ასაკის ბავშვების აღზრდითა და საკუთრივ მისი ოჯახის წევრების მოვლითაა დაკავებული, მაგრამ ის უმუშევრად არ ითვლება. არც მოხუცი (ვთქვათ, 90 წლის) პენსიონერია უმუშევარი, მაშინაც კი, როცა ის არაა ჩამული საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში. პირი, რომელსაც ენიჭება უმუშევრის სტატუსი, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: ჯერ ერთი, ის უნდა იყოს შრომისუნარიანი ასაკის. თუ ეს პრინციპი არ იქნება დაცული, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, წაიშლება ზღვარი შრომისუნარიანი და საპენსიო ასაკის პირებს შორის და სწორ წარმოდგენას ვერ მივიღებთ ქვეყნის შრომის ბაზარზე რეალურად არსებული მდგომარეობის შესახებ<sup>1</sup>. ამიტომ

<sup>1</sup>რ. ასათიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>2</sup> ლ. ჩიქავა, შრომითი რესურსები და მათი გამოყენება. იხ. „კახეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსეპტივები“, თბილისი, 2008, გვ. 274.

უპრიანია, ჯერ ერთი, მოქმედ მეოთხივაში, ნაცვლად „15 წლის და უფროსი ასაკის პირისა“, ჩაიწეროს „შრომისუნარიანი ასაკის პირი“; მეორე, დაუსაქმებელ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის, ანუ მუშაობის სურვილი. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა არ იზიარებს ამ შეხედულებას. ასე მაგალითად, ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „...არასწორია, როდესაც „უმუშევარის“ განმარტებაში... ძირითადი აქცენტი გადაიტანება ადამიანის გადაწყვეტილებაზე – სურს თუ არა მას მუშაობა“!

ვფიქრობთ, ეს შენიშვნა უსაფუძვლო და მიუღებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, თუ მოქალაქე მუშაობის სურვილს არ ამჟღავნებს, ის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კატეგორიას არ განეკუთვნება, ამიტომ მსჯელობაც კი ზედმეტია იმაზე, ის უმუშევრად ითვლება თუ არა; მესამე, პირი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ აქვს მუშაობის სურვილი და მზადა მუშაობის დაწყებისთვის, როგორც წესი, უნდა იჩენდეს აქტიურობას.

განვითარებული ქვეყნების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, სამუშაოს ძებნაში აქტიურობის გამოვლენის საუკეთესო გზაა დასაქმების (სახელმწიფო ან კერძო) სამსახურში რეგისტრაცია და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში უმუშევრობისთვის ერთგარი დახმარების გაწევა სახელმწიფოს მხრივ. ასეთი კარგად ორგანიზებული სამსახურების ნაყოფიერი ფუნქციონირება ხელს უწყობს უმუშევართა შედარებით სწრაფ და სპეციალობების (პროფილის) მიხედვით დასაქმებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოქალაქეთა დასაქმების მხრივ არსებულ მდგომარეობას აღგენს შინამეურნეობათა შერჩევითი გამოკლევის მონაცემებით, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეს საუკეთესო მეოთხივია, არამედ იმიტომ, რომ ფაქტიურად არ ხდება უმუშევართა რეგისტრაცია, გაუქმებულია

<sup>1</sup> რ. აბგაძე, ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. იხ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთვის მიმდევნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული - „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი, 2010.

თვით ის სამსახური, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უმუშევართა დაფიქსირებაა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ამ ბოლო პერიოდში რატომდაც შეწყვიტა ე.წ. შერბილებული კრიტერიუმით უმუშევრობის მაჩვენებლის გაანგარიშება. ამით ხომ მხედველობის გარეთ რჩება ეკონომიკურ მეცნიერებაში „ჩახშობილ“ უმუშევრობის ფორმით ცნობილ უმუშევართა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა. ოფიციალური მონაცემებით, ასეთი კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში 2005 წელს 56,2 ათ. კაცს შეადგენდა<sup>1</sup>. ამ სერიოზული საკითხისადმი ესოდენ ზედაპირული მიღვომა ხელოვნურად ამცირებს ქვეყანაში უმუშევართა რიცხოვნობას. რატომ? – იმიტომ, რომ ნამდვილი (ტიპური) უმუშევრები (ცხადია, ვგულისხმობთ შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქეებს) სწორედ ესენი არიან. სამუშაოს მოძებნისადმი მათი არააქტიური დამოკიდებულება განპირობებულია არა იმით, რომ არ სურთ მუშაობა, არამედ იმით, რომ არაერთგზის იმედგაცრუების გამო, ჩაიქნიეს ხელი სამუშაოს პოვნაზე.

მოქალაქეთა ამ კატეგორიის სამუშაოს მოძებნაში გააქტიურება შეუძლია დასაქმების კარგად ორგანიზებულ სამსახურს, რომელიც უმუშევრებს არა მარტო თავისუფალ ვაკანსიებს შესთავაზებს, არამედ ასევე იზრუნებს მათი გადამზადებისა და ცოდნის მარაგის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებით გამდიდრებისთვის. საქართველოში არსებული დასაქმების სამსახური, ალბათ, იმიტომ გაუქმდა, რომ იგი ვერ ასრულებდა ამგვარ ფუნქციებს. ბუნებრივია, უმუშევარი არც კი ეცდება იმას, რომ მიაკითხოს იმ სამსახურს, რომელიც, წინასწარვება ცნობილი, ვერანაირ ქმედით დახმარებას ვერ გაუწევს.

უმუშევართა მხრივ ასეთი რწმენის დაკარგვის მიუხედავად, ვურჩევთ საქართველოს ხელისუფლებას კვლავ მიუბრუნდეს დასაქმების ისეთი სამსახურის, ანუ შრომის ბირჟის შექმნას, შრომის ბაზარი საქართველოში – 2003-2005. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2006. გვ.15.

რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და თვალსაჩინო წვლილს შეიტანს უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანაში.

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, ტერმინი „უმუშევრის“ შინაარსის ჩვენებული გაგება ასეთია: „უმუშევარი არის შრომისუნარიანი ასაკის პირი, რომელიც, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, აქვს შრომითი საქმიანობის როგორც უნარი, ისე სურვილი, მზად არის მუშაობის დაწყებისთვის და რეგისტრირებულია შრომის ბირჟაზე. ასეთი სამსახურის არარსებობისას, დროებითი დონისძიების სახით, უმუშევართა რიცხოვნობის დასაღვენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შინამეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მეოდი, როგორც ეს ხდება საქართველოში (და არა მარტო საქართველოში).

უმუშევრობის დონე ეკონომიკურ დიტერატურაში გახვდება მისი არაერთგვაროვანი (ე.ი. სწორ და მართებულთან ერთად, არასწორი და არაზუსტი) გაგება. ასე მაგალითად, ქართულ ენაზე ერთ-ერთ ახალგამოცემულ ნაშრომში ვკითხულობთ: „უმუშევრობის დონე – დაუსაქმებელი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში<sup>1</sup>.

ამ ამონარიდის ორივე კონკრეტული, ე.ი. როგორც მრიცხველი, ისე მნიშვნელი, საჭიროებს დაზუსტებას. ჩვენი აზრით, მისი სწორი ვარიანტია: „უმუშევრობის დონე - შრომისუნარიანი ასაკის უმუშევართა რიცხოვნობის შეფარდება ამავე ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან, გამოხატული პროცენტებში“.

სამუშაო ძალა. ვიზიარებთ სამუშაო ძალის ისეთ გაგებას. რომლის მიხედვითაც იგი წარმოგვიდგება როგორც შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებულთა და უმუშევართა ერთობლიობა<sup>1</sup>, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

ამ მხრივ საკამათო (მაგალითად, გრ. მენქიუსთან) მხოლოდ ისა გვაქვს, რომ სამუშაო ძალის ხვედრითი წონის გაანგარიშე-

ბისას მისი რიცხოვნობა უნდა შევუფარდოთ არა ზრდასრული მოსახლეობის რიცხოვნობას<sup>2</sup>, რომელშიც პენსიონერებიც შედიან, არამედ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობას<sup>3</sup>.

არსებობს სამუშაო ძალის სხვანაირი ინტერპრეტაციაც. მხედველობაში გვაქვს სამუშაო ძალა როგორც საქონელი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთ უახლეს პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამუშაო ძალის (გაგებული, როგორც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა) ჩათვლა საქონლად არასწორია, ვინაიდან საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდგა იგი იცვლის მესაკუთრეს. წარმოების პროცესში ადგილი აქვს არა პიროვნების უნარის გაყიდვას, არამედ მის დაქირავებას, ვინაიდან უნარის მესაკუთრედ კვლავ ეს პიროვნება რჩება და მისი უნარი არათუ მცირდება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, იზრდება კიდევაც. უნარი რომ გაიყიდოს, მაშინ მისი მესაკუთრე ადამიანიც უნდა გაიყიდოს... მუშაკი კი არ ყიდის თავის უნარს, არამედ იყენებს მას წარმოების პროცესში (შრომის) მესაკუთრის სასარგებლოდ, რისთვისაც იდგბს გასამრჯელოს“<sup>4</sup>.

ჯერ ერთი, სამუშაო ძალის, როგორც ადამიანის პოტენციური შრარმოებლური ძალის, საქონლად არ აღიარებაა არასწორი, თანაც იმ „არგუმენტის“ მოშველიებით, რომ საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდგა იგი იცვლის მესაკუთრეს. განა ცოტაა ისეთი სპეციფიკური საქონელი, რომლის გასხვისებისას მესაკუთრე არ კარგავს მასზე საკუთრების უფლებას? ასეთია, მაგალითად, ცოდნა. თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ შრომის უნარის გასხვისებით, მისი

<sup>1</sup>რ. ასათიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

<sup>2</sup>გრ. მენქიუს დასახ. ნაშრომი, გვ. 583.

<sup>3</sup>რ. ასათიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

<sup>4</sup>რ. აბესაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

განკარგვის (სურვილისამებრ გამოყენების) უფლება გამყიდველის ხელიდან მყიდველის (დამქირავებლის) ხელში გადადის; მეორე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ ადამიანის შრომის უნარი იყიდება, წარმოების მუშაკს კი ქირაობენ; მესამე, შრომის უნარის გაყიდვა სრულებით არ ნიშნავს იმავე დროს მისი მესაკუთრე ადამიანის გაყიდვას; „მეოთხე, იმის გამო, რომ მუშაკი ყიდის შრომის უნარს, ამ უკანასკნელს წარმოების პროცესში იყენებს არა თვითონ, არამედ მეწარმე (დამქირავებელი); დაბოლოს, მიუღებელ რეკომენდაციად მიგვაჩნია რჩევა სამუშაო ძალის ეკონომიკურ ლიტერატურაში მხოლოდ დასაქმებულთა და უმუშევართა ერთობლიობის გაგებით გამოყენების შესახებ.“

შრომითი რესურსები. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება ამ ტერმინის შინაარსის გაგებაში. ჩვენი აზრით, იგი არ შემოიფარგლება შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობით. გარდა უფლის ზომით მოიცავს შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომელიც დასაქმებულია (ნაწილობრივ დასაქმებულთა ჩათვლით) ან აქვს შრომით საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი და მზადად მუშაობისთვის.

ამ მომენტების გათვალისწინებით, „შრომითი რესურსების“ შინაარსი დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: შრომითი რესურსები – ერთობლიობა შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, ასევე, შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელიც მეტ-ნაკლებად დასაქმებულია ან აქვს შრომით საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის უნარი, სურვილი და მზადად მუშაობის დაწყებისთვის.

ასეთია ჩვენი მოკრძალებული მოსაზრებები დასმულ საკითხ-

ებზე. დიდი სიამოვნებით გავაანალიზებთ განსხვავებულ შეხედ-ულებებს და შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინებთ კიდევ.

## Importance of Contextual Meaning of Some Debatable Economic Terms

*L. Chikava*

Defining terms precisely is of essential importance for conducting scientific discussions properly. We mean not form but the content of these discussions. The more unambiguous and internationally unified the terms are, the more easily the idea of every author's discussions can be understood and the figures calculated on the base of them compared. There are a lot of misunderstandings in this field. Our comments regards such basic terms in Economics and Statistics as: economically active population, economically inactive population, level of economic activity of the population, employed, self-employed, employment rate, unemployed, unemployment rate, labor force, labor resources.

საქართველოს ეკონომიკის პოტენციალი მთლიანი  
მიზან პრედუქტისა და უმუშევრობის პუნქტიზე დღის

ეკონომიკული შევასება

02-ი ანანიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პოტენციური მშპ უმნიშვნელოვანესი საანალიზო მაკროეკონო-  
მიკური მაჩვენებელია და სშირ შემთხვევაში ქვეყანაში გასატარებელი  
ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებული დონისძიებების ხასი-  
ათის განმსაზღვრელად გვევლინება. ეკონომიკურ ლიტერატურაში  
პოტენციური მშპ-ს (შემოკლებით – პოტენციური გამოშვების) რამდენ-  
იმე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის ეკვივალენტზე განმარტებას ვხ-  
ვდებით. ერთი მათგანის მიხედვით, „პოტენციური ეწოდება გამოშვებას,  
რომლის მიღებაც შესაძლებელია წარმოების ფაქტორების სრული  
გამოყენების პირობებში“<sup>1</sup>.

ამ (და არა მარტო) განმარტებაში ფიგურირებს რესურსების ან  
წარმოების ფაქტორების სრული გამოყენების ცნება. ამიტომ, საჭიროა  
ამ უკანასკნელის დაზუსტება. საქმე ისაა, რომ ერთმანეთისაგან  
უნდა განვასხვავოთ სრული გამოყენება ფიზიკური და ეკონომიკური  
თვალსაზრისით. ფიზიკური სრული გამოყენება მკაცრი მოთხოვნაა  
და, მაგალითად, შრომითი რესურსის მიმართ ნიშნავს, რომ ყველა  
შრომისუნარიანი ადამიანი დასაქმებული იქნება წლის განმავლობაში  
და თითოეული მათგანი დღეში 16 საათს იმუშავებს<sup>2</sup>. დაახლოებით  
ანალოგიური შეიძლება ითქვას ძირითადი კაპიტალის მიმართაც –  
ფიზიკური სრული გამოყენება, სავარაუდოდ, გულისხმობს კაპიტალის  
სადღედამისო უწყვეტ ფუნქციონირებას ტექნოლოგიური ნორმებით  
გათვალისწინებული მოცდებების გამოკლებით.

<sup>1</sup> დორნიშ პ., ფიშერ ს. მაკროეკონომიკა. პერ. ც ანგл. - მოსკოვი, მგუ, 1997. ც. 25.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

პოტენციური მშპ-ის განმარტება ეფუძნება ფაქტორების სრული გამოყენების ეკონომიკურ და არა ფიზიკურ კონცეფციას. ფიზიკური სრული გამოყენებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური თვალსაზრისით ფაქტორების სრული გამოყენება პირობით დატვირთვას ატარებს და გარეულ შეთანხმებებს ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მკაცრად განსაზღვრული არ არის და სხვადასხვა დროსა და სხვა-დასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კრიტერიუმითა და მაჩვენებლებით ხასი-ათდება. ხშირ შემთხვევაში, წარმოების ფაქტორის სრული გამოყენება გულისხმობს მდგომარეობას, რომლის დროსაც მოცემული ფაქტორის ბაზარი იმყოფება წონასწორობაში. კერძოდ, კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, თუ შრომის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ადგილი აქვს სრულ დასაქმებას, რომ-ლის დროსაც ეკონომიკაში მხოლოდ ნებაყოფლობითი უმუშევრობა არსებობს<sup>1</sup>. ამ კრიტერიუმის თანახმად, წონასწორობისას შრომითი რესურსები სრულად არის გამოყენებული, რადგანაც იგულისხმება, რომ ყველა დასაქმებულია, ვისაც არსებული ხელფასის პირობებში სურს მუშაობა.

სრული დასაქმების სინონიმად, ხშირად, ბუნებრივი უმუშევრობა განიხილება, რომლის დასახასიათებლად მ. ფრიდმანმა (1968 წ) და კ. ფედასმა (1967 წ) შემოიღეს უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელი - NRU. ეს მაჩვენებელი გამოსახავს უმუშევრობის დონეს, რომლისკენაც ეკონომიკა მიისწრაფის გრძელვადიან პერსპექტივაში, ანუ იგი შეესაბამება შრომის ბაზრის მდგომარეობას, როცა სრულად არის დაძლეული ეკონომიკაზე მოკლევადიანი შოკების ზემოქმედება<sup>2</sup>. ბუნებრივი უმუშევრობის სხვანარი სახელმწიფო აუმჯობესობა სრული დასაქმების პირობებში. ითვლება, რომ ამ შემთხვევაში ეკონომიკაში მხოლოდ ფრიქიული და სტრუქტურული უმუშევრობა არსებობს. ვინაიდან უმუშევრობის აღნიშნული სახეობების არსებობა განპირობებულია არა ეკონომიკის “ცუდი” მუშაობით, არამედ ეკონომიკისათვის თანმდევი სხვა ობიექტური გარემოებებით, ბუნებრივი უმუშევრობის სიტუაცია განიხილება როგორც სრული დასაქმება.

<sup>1</sup> Тарасевич Л. С., Гальперин В. М., Гребенников П. И., Леуский А. И. Макроэкономика. С.-Петербург, СПбГУЭФ. 1999. сс. 189-190.

<sup>2</sup> Ахундова О. В., Коровкин А. Г. Опыт оценки естественного уровня безработицы в экономике россии. [http://www.ecofor.ru/pdf.php?id=books/kor\\_04/25](http://www.ecofor.ru/pdf.php?id=books/kor_04/25)

სრული დასაქმების კიდევ ერთი მახასიათებელია NAIRU - “უმუშევრობის დონე, რომელიც არ იწვევს ინფლაციის აჩქარებას”. ეს მაჩვენებელიც, ხშირ შემთხვევაში, გაიგივებულია უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან. იგი საფუძვლად უდევს ფილიპსის მოდიფიცირებულ (ვერტიკალურ) მრუდს და გამოიყენება ინფლაციისა და შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობის კავშირის დასახასიათებლად. NAIRU -ზე დაფუძნებული კონცეფცია ინფლაციის დონის ცვლილებას განიხილავს, როგორც შრომის ბაზრის ფენომენს და თვლის, რომ ამ ბაზრის წონასწორობის შემთხვევაში ინფლაცია სტაბილურია, რადგანაც მისი ფაქტობრივი და მოსალოდნელი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა.

უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე (ანუ სრული დასაქმების შესაბამის უმუშევრობის დონეზე), როგორც ეკონომიკურ მახასიათებელზე, მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. მათ შორისაა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მუშაკების პროფესიონებით მოცვის ხარისხი, მიგრაციული და გმიგრაციული პროცესები, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ეკონომიკური ზრდის ტემპები, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავსებურება, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების არსებობა, ტექნოლოგიური პროგრესი, შრომის მწარმოებლურობის დონე და სხვა. სხვადასხვა ქვეყანაში და დროის სხვადასხვა პერიოდში ამ ფაქტორების როლი ერთი და იგივე არ არის, ამიტომ, ბუნებრივი უმუშევრობის დონის მაჩვენებელი შეიძლება განსხვავდებული იყოს როგორც ქვეყნების, ასევე დროის პერიოდების მიხედვით. მაგალითად, ა. მელიონვისა და ა. საზოგას ნაშრომში<sup>1</sup> მოყვანილია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემები, რომლის თანახმადაც 1980-1999 წლებში აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავდებული იყო ქვეყნების მიხედვით და გაიზარდა აქსტრიაში 1,9%-დან 4,9%-მდე, გერმანიაში - 3,3%-დან 6,9%-მდე, იტალიაში - 6,8%-დან 10,4%-მდე, იაპონიაში - 1,95%-დან 4%-მდე, ესპანეთში - 7,85%-დან 15,1%-მდე,

<sup>1</sup> Melihovs A., Zasova A. The Assessment of Natural Rate of Unemployment and Capacity Utilisation in Latvia. Working Paper 22. 2009. [http://www.bank.lv/images/img\\_lb/izdevumi/english/citas/wp\\_2009-2\\_melihovs-zasova.pdf](http://www.bank.lv/images/img_lb/izdevumi/english/citas/wp_2009-2_melihovs-zasova.pdf)

დიდ ბრიტანეთში - 4,4%-დან 7,3%-მდე, ფინეთში - 4,3%-დან 9%-მდე. მ. ბურდასა და ჩ. გიპლოშის მაკროეკონომიკის ცნობილ სახელმძღვანელოში<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ 1966-1995 წლებში ბუნებრივი უმუშევრობის დონე სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად შეიცვალა აშშ-შიც და 5,2%-დან 6,3%-მდე გაიზარდა. ვ. ბრაგინისა და ვ. ოსაკოვსკის სტატიაში<sup>2</sup> მოცემულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის განსაზღვრის მცდელობა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკისათვის. ხოდრიკ-პრესკოგის მოდიფიცირებული ფილტრის საფუძველზე, მათ მიერ მიღებული შედეგების თანახმად რუსეთში 1994-1997 წლებში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 12%-დან 12,4%-მდე მერყეობდა, 2003 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 8,1%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის ბაზრისადმი მიმდვნილ პუბლიკაციებშიც ვხვდებით უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელს. ავტორთა ერთ ნაწილს<sup>3</sup> მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკაში, აშშ-ის ეკონომიკის მსგავსად, სრული დასაქმების პირობებში უმუშევრობის დონე დაახლოებით 6%-ს შეადგენს, მეორე ნაწილის მოსაზრებით,,საქართველოსათვის ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელიც 4,5% -დან 5,7%-მდე ფარგლებშია მოქცეული<sup>4</sup>. გვთავაზობენ ბუნებრივი დონის უფრო მაღალ, კერძოდ კი 10%-იან, მაჩვენებელსაც<sup>5</sup>. სამწუხაროდ, კველა ამ შემთხვევაში, ბუნებრივი დონის განსაზღვრა ეფუძნება ავტორების ვარაუდს და არა რაიმე დასაბუთებულ მეორიკას, ამიტომ საქართველოს შესახებ აქ მოვანილი მნიშვნელობები ნაკლებ სარწმუნოა და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით წარმოების ერთი ფაქტორის – შრომის სრული გამოყენების შესახებ. პოტენციური გამოშვების მნიშვნელობაზე ბურდა M., ვიპლო ზ. მაკროეკონომიკა. ევропейский текст. С.-Петербург, Судостроение. 1998. с. 152.

<sup>2</sup> Брагин В. А., Осаковский В. В. Оценка естественного уровня безработицы в России в 1994-2003 гг.: эмпирический анализ. // Вопросы экономики. 2004, №3.

<sup>3</sup> ლაცაბიძე ნ. ცარციძე მ. უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში// ეკონომიკა და ბიზნესი, №2, 2009.

<sup>4</sup> წერეთელი გ. ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, მეცნიერება, 2004, გვ. 65.

<sup>5</sup> კვარაცხელია დ. საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის დანაკარგები ოუკენის ანონის მიხედვით. // ეკონომიკა და ბიზნესი. №4, 2010.

გნელობის დადგენაში არანაკლებ როლს საწარმოო სიმძლავრეების, მათ შორის კაბიტაციის, სრული გამოყენება ასრულებს. 1978 წელს რ. მაკელათანმა (McElhattan) საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხის დასახასიათებლად შემოიღო NAIRU-ს ანალოგიური მახასიათებელი NAIRCU (ზოგჯერ იხმარება NAICU). ამ აბრავიატურის გაშლილი სახელწოდება “საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე, რომელიც არ იწვევს ინფლაციის აჩქარებას”. შემოკლებით NAIRCU-ს შეიძლება ვუწოდოთ საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის ბუნებრივი დონე. NAIRU-ს მსგავსად ეს მაჩვენებელიც პირობითია, არადაკვირვებადია, მაგრამ ეკონომიკური და შეფასების სხვა მეთოდების გამოყენებით დადგენილია, რომ, ზოგადად, განკითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის NAIRCU 75%-დან 85%-ის ფარგლებშია მოქცეული<sup>6</sup>. სხვადასხვა გაანგარიშებით NAIRCU-ს შეფასება აშშ-ისათვის სტატიურად დაახლოებით 82 %-ია<sup>7</sup>. ევროპის რამდენიმე ქვეყნისათვის კი, 1986-1996 წლების მინაცემებით, NAIRCU-ს შეფასებულმა მნიშვნელობამ შეადგინა<sup>8</sup>: გერმანიისა და საფრანგეთისათვის - დაახლოებით 85-86%, ბელგიისა და იტალიისათვის - დაახლოებით 78-79%. NAIRCU-ს შეფასების მცდელობა არსებობს რუსეთის ფედერაციისათვისაც. კერძოდ, საერთაშორისო საგადუტო ფონდის მოხსენებაში<sup>9</sup> აღნიშნულია, რომ 2004 წლისათვის NAIRCU-ს წერტილოვანი შეფასება საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო და “რუსული ეკონომიკური ბარომეტრის” (РЭБ) გაანგარიშებით 74,6% შეადგენდა, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტის (ИЭПП)

<sup>1</sup> Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. с. 8. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

<sup>2</sup> Garner A. C. 1994. Capacity Utilization and U. S. Inflation, Economic Review, Federal Reserve Bank of Kansas City, Vol. 74, No. 4. <http://www.kc.frb.org/PUBLICAT/ECONREV/pdf/4q94garn.pdf>

<sup>3</sup> Melihovs A., Zasova A. The Assessment of Natural Rate of Unemployment and Capacity Utilisation in Latvia. Working Paper 22. 2009. [http://www.bank.lv/images/img\\_lb/izdevumi/english/citas/wp\\_2009-2\\_melihovs-zasova.pdf](http://www.bank.lv/images/img_lb/izdevumi/english/citas/wp_2009-2_melihovs-zasova.pdf)

<sup>4</sup> Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. с. 12. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

გაანგარიშებით – 65%, ხოლო “ეკონომიკური კონიუნქტურის ცენტრის” (ПЭК) გაანგარიშებით კი - 57%. სამწუხაროდ, აღნიშნული მაჩვენებლის შეფასების რაიმე მცდელობა საქართველოსათვის არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ ჩვენთვის ცნობილი არ არის).

NAIRCU-ს ზემოთ მოყვანილი ყველა მნიშვნელობა 100%-ზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით საწარმოო სიმძლავრების “სრული გამოყენება”, შრომითი რესურსების ანალოგიურად, არ ნიშნავს მის 100%-იან დატვირთვას. საწარმოო სიმძლავრების ნაწილის დაუტვირთვი სახით არსებობის მიზანშეწონილობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ, როგორც წესი, მოკლევადიან პერიოდში ახალი კაპიტალის შექმნა დანახარჯების მზარდი ეფექტით ხასიათდება. ამიტომ, ფირმები ოპტიმალურად მიიჩნევენ ისეთ სიტუაციას, როცა მოთხოვნის ცვალებადობის პირობებში მოკლევადიან პერიოდში ნაკლები დანახარჯებით შეიძლება მიწოდების გაზრდა. ეს კი ფირმებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სიმძლავრების 100%-ზე ნაკლები დატვირთვის პირობებში.

სამუშაო ძალისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები NAIRU და NAIRCU თავისთავად მნიშვნელოვანი სიდიდეებია, რადგანაც ისინი ეკონომიკის მდგომარეობის ინდიკატორებს მიეკუთვნება. მაგრამ ამ მაჩვენებლების ცოდნა, პირველ რიგში, საჭიროა იმისათვის, რომ შევაფასოთ პოტენციური გამოშვებისა და პოტენციური გამოშვებიდან მშპ-ის ჩამორჩენის (გადახრის) მნიშვნელობები.

პოტენციური გამოშვების შეფასების მეთოდების მიმოხილვა. პრაქტიკაში პოტენციური გამოშვებისა და მიუღებელი გამოშვების (ანუ პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის) შესაფასებლად რამდენიმე მიღომა გამოიყენება. მათ დეტალურ მიმოხლევას შეიძლება გავეცნოთ სსფ-ს, ევროპის ცნტრალური ბანკის (ECB) და ეროვნული ცენტრალური ბანკების სამუშაო დოკუმენტებში, აგრეთვე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წარმომადგენლების პუბლიკაციებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის კალევის შედეგებს ასახავს და ადვილად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საიტებიდან<sup>1</sup>. არსებული მიღომები

შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაგყოთ<sup>2</sup>: წინასწარ მოცემული ტრენდის აგებაზე, სტატისტიკური ფილტრების გამოყენებაზე და საწარმოო ფუნქციებზე დაფუძნებული მიღომები. ჩამოთვლილთაგან უკლავაზე მარტივია მოცემული ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდი. მისი გამოყენებისას იგულისხმება, რომ პოტენციური გამოშვების დინამიკა აღიწერება ტრენდის სახით, რომელსაც, კონკრეტული პერიოდისა და ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება პერიოდეს  $Y^* = a + b$ , კვადრატული  $Y^* = a + b + t^2$ , ექსპონენციალური  $Y^* = a \cdot b$  და სხვა სახე. მოყვანილ გამოსახულებებში  $Y^*$  პოტენციური გამოშვების მნიშვნელობაა,  $a$ ,  $b$  და  $c$  - სტატისტიკურად განსაზღვრული პარამეტრები,  $t$  - დროის აღმნიშვნელი ცვლადი. მაგალითად, თუ განვიხილავ საქართველოს ეკონომიკას 1995-2009 წლებში და პოტენციური მშპ-ის წლიური მნიშვნელობების დინამიკას მოვარებოთ ტრენდს, მაშინ სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით ზემოთ მოყვანილი ტრენდებიდან განსაკუთრებით მისაღებს წრფივი და ექსპონენციალური წარმოადგენს.

პოტენციური გამოშვების წრფივი ტრენდით შეფასების შედეგად ვდებულობთ, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის დადებითი იყო 1999-2005, 2009 წლებში და უარყოფითი 1995-1998 და 2006-2008 წლებში (იხ. ნახ. 1, სადაც ტრენდის არითმეტიკული მორგებით პოტენციური გამოშვების შეფასების თვალსაზრისით იღუსტრირება მოცემული და ნახ. 2, სადაც წარმოდგენილია ტრენდის არითმეტიკული მორგებით


<sup>1</sup> იხ. მაგალითად: Carra V., Saxena S. Sh. Alternative Methods of Estimating Potential Output and the Output Gap: An application to Sweden. IMF Working Paper. European Department, March, 2000. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp0059.pdf>;

Cotis J.-Ph., Elmeskov J., Mourougane A. Estimates of Potential Output: Benefits and pitfalls from a Policy perspective. OECD Economics Department. <http://www.oecd.org/dataoecd/60/12/23527966.pdf>;


S. Adnan H. A. S. Bukhari, Safdar Ullah Khan. Estimating Output Gap for Pakistan Economy: Structural and Statistical Approaches. State Bank of Pakistan Working Paper Series, No. 24 June, 2008. <http://www.sbp.org.pk/publications/wpapers/2008/wp24.pdf>

<sup>2</sup> Mishkin, Frederic S., “Estimating Potential Output.” Remarks at the Conference on Price Measurement for Monetary Policy, Federal Reserve Bank of Dallas, Texas, May 24, 2007.

ტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრის დონამიკა). მაშასადამე, 1999-2005, 2009 წლებში აღილი პქნდა პოტენციურიდან ჩამორჩენას, ხოლო 1995-1998 და 2006-2008 წლებში კი ფაქტობრივი გამოშვება აღემატებოდა პოტენციურს.



ნახ. 1. გამოშვების პოტენციური მოცულობის შეფასება ტრენდის არითმეტიკული მორგების საფუძველზე



ნახ. 2. ტრენდის არითმეტიკული მორგების საფუძველზე განსაზღვრული პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრის შეფასება

მცირეოდენ განსხვავებული შედეგი მიიღება ექსპონენციალური ფუნქციის გამოიყენებით. ამ შემთხვევაში სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის დადებითია 1995, 2000-2004, 2009 წლებში, დანარჩენი წლებისათვის კი უარყოფითია. თუ, მაგალითად,

ექსპონენციალური ტრენდით პოტენციური გამოშვების შეფასების შედეგს ვაღიარებთ როგორც ჭეშმარიტს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, აგრეთვე, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად 1996-1999 და 2005-2008 წლებში, საქართველოში სამუშაო ძალის გამოყენება ან საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა (ან ორივე ერთად) არ ჩამოუვარდებოდა სრული გამოყენების შესაბამის ნიშნულს.

როგორც ვხედავთ, ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდის შემთხვევაში ჯერ დგინდება პოტენციური გამოშვებისა და პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის მნიშვნელობები, შემდეგ კი ფაქტორების სრული გამოყენებისა და ნაწილობრივი დაუტვირთაობის პერიოდები. ასეთივე სპეციფიკით ხასიათდება სტატისტიკურ ფილტრებზე დაფუძნებული მიდგომებიც. განსხვავება ისაა, რომ ჩვეულებრივ ტრენდებთან შედარებით, ფილტრების გამოყენებისას, როგორც წესი, პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის შედარებით უფრო გლუვი მწვრივი მიიღება. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდი და სტატისტიკური ფილტრებით მოსწორების მეთოდები წმინდა სტატისტიკური მიდგომებია და პოტენციური გამოშვების განსაზღვრისას არ იყენებს რაიმე ეკონომიკურ დასაბუთებას, მათ საფუძველზე განსაზღვრული პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის მნიშვნელობები და პერიოდები ხშირად რეალურობას არ ასახავს<sup>1</sup>. აღნიშნულის გამო ცენტრალური ბანკები გასატარებელი მონეტარული პოლიტიკის დასაბუთებისათვის, აგრეთვე, აკადემიური მკვლევარების ურავლესობა, პოტენციური გამოშვების დასადგენად უპირატესობას სხვა მოდგომებსა და მოდელებს ანიჭებენ.

პრაქტიკაში განსაზღვრული ფართოდ საწარმოო ფუნქციის მოდელზე დაფუძნებულ მიდგომა გამოიყენება. ამ შემთხვევში გამოშვების პოტენციური მნიშვნელობის დადგენისას მხედველობაში მიიღება

<sup>1</sup> უფრო მეტიც, ამ მიდგომებში აპრილულად ჩადებულია არარეალური დაშვება იმის შესახებ, რომ პოტენციური გამოშვების ტრაქტორიდან დადებითი და უარყოფითი გადახრების ჯამი იყოს ნული ტოლი. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრული პერიოდისათვის, რომლისთვისც ვადგენთ პოტენციური გამოშვების ტრაქტორიას, აუცილებელ პირობად მივიწევთ წარმოების ფაქტორების როგორც არასრული გამოყენების, ასევე ჭარბი გამოყენების პერიოდების არსებობას.

მომ ფაქტორების მოცულობა, მისი მაქსიმალური გამოყენების მახასიათებლები (NAIRU და NAIRCU), არსებული ტექნოლოგიის დონე. ამასთან, საწარმო ფუნქციის გამოყენების სამი ვარიანტი არსებობს, რომლებსაც შეიძლება პირობითად<sup>1</sup> „შრომითი მეთოდიკა“,, სიმძლავრეების მეთოდიკა“ და „განზოგადებული მეთოდიკა“ ვუწოდოთ.

კონკრეტულ სიტუაციებში ამ მეთოდიკებს შორის არჩევანი იმის მიხედვით კეთდება, თუ რომელი ფაქტორი ითვლება ფაქტორივი გამოშვების პოტენციურიდან გადახრის მთავარ მიზეზად. ცხადია, როცა მიუღებული გამოშვების არსებობას ძირითადად სამუშაო ძალის არასრული გამოყენება განაპირობებს, მაშინ „შრომითი მეთოდიკით“ უნდა ვისარგებლოთ, როცა გამოშვების მოცულობის პოტენციურიდან გადახრა კაპიტალის დატვირთვის არასტაბილურობით არის გამოწვეული, მაშინ „სიმძლავრეების მეთოდიკას“ უნდა მივმართოთ. ამავე დროს, ამ ორ მეთოდიკას შორის არჩევანის გაკეთებისას მხედველობაში მიიღება შრომისა და კაპიტალის გამოყენების დონეების კონკრეტული შეფასების შესაძლებლობა. როგორც წესი, ინფორმაციის მოპოვების თანამედროვე სისტემების პირობებში, გაცილებით ადგილა სამუშაო ძალის, ვიდრე სიმძლავრეების გამოყენების დონის დადგენა, ამიტომ პოტენციური გამოშვების შესახებ არსებული გამოკვლევების უმრავლესობაში აქცენტი „შრომით მეთოდიკაზე“ გადატანილი<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურიდან ფაქტორივი გამოშვების გადახრა იშვიათად არის გამოწვეული მხოლოდ ერთი ფაქტორის არასრული გამოყენების ან ჭარბად გამოყენების მიზეზით. როგორც წესი, ცვალებადი კონიუნქტურის შედეგად თუ იზრდება, მაგალითად, უმუშევრობის დონე, მაშინ შესაბამისად იზრდება, აგრეთვე, სიმძლავრეების დაუტვირთაობის ხარისხი და, პირიქით. ამიტომ, პოტენციური გამოშვების შეფასების მეტნაკლებად სრულყოფილი მიდგომა საწარმოო ფუნქციაში უნდა ითვალისწინებდეს როგორც შრომითი

**Балацкий Е. В. Оценка объема потенциального ВВП. Проблемы прогнозирования. 2000, №1.**

<sup>2</sup> „შრომითი მეთოდიკით“ პოტენციური გამოშვების შეფასება განხილულია, მაგალითად: Carra V., Saxena S. Sh. Alternative Methods of Estimating Potential Output and the Output Gap: An application to Sweden. IMF Working Paper. European Department, March, 2000. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp0059.pdf>;

Cotis J.-Ph., Elmeskov J., Mourougane A. Estimates of Potential Output: Benefit and pitfalls from a Policy perspective. OECD Economics Department. <http://www.oecd.org/dataoecd/60/12/23527966.pdf>;

რესურსების, ასევე საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხის ამსახველ მაჩვენებლებს. ასეთს წარმოადგენს „განზოგადებული მეთოდიკა“<sup>1</sup>. მაგალითად, თუ განვიხილავთ შემთხვევას, როცა მთლიანი გამოშვების პროცესის მოდელირების საბაზო ვარიანტად აღებულია კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, პოტენციური გამოშვება შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$Y^* = e^{\gamma t} (\mu^* K)^\alpha [1 - u^*] L]^\beta,$$

სადაც  $Y$  გამოშვების ფაქტორივი მოცულობაა,  $K$  - ძირითადი კაპიტალის მოცულობა,  $L$  - სამუშაო ძალის რაოდენობა,  $\mu^*$  - უმუშევრობის ბუნებრივი დონე,  $\mu$  - კაპიტალის ოპტიმალური დატვირთვის კოეფიციენტი,  $\gamma, \alpha, \beta$  - სტატისტიკურად შესაფასებელი პარამეტრები,  $t$  დროის აღმნიშვნელია,  $e$  კი ნატურალური დოგარითმის ფუძეა.

როგორც ვხედავთ, განზოგადებული მეთოდიკის გამოყენების დროს, წინასწარ უნდა შეგვეძლოს უმუშევრობის ბუნებრივი დონისა ( $\mu^*$ ) და სიმძლავრეების ოპტიმალური დატვირთვის ( $\mu$ ) მაჩვენებლების განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა არ არის. გარდა ამისა, საწარმოო ფუნქციის გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომა, იმისაგან დამოუკიდებლად, რომელი მეთოდიკით (შრომითი, სიმძლავრეების, განზოგადებული) ხორციელდება იგი, გულისხმობს, რომ შესაძლებელია საწარმოო ფუნქციის მეტნაკლებად მისაღები მოდელის აგება.

სამწუხაროდ, დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკისათვის კობ-დუგლასის ან სხვა უფრო სრულყოფილი ტიპის საწარმოო ფუნქციის სტატისტიკურად საიმედო მოდელის შეფასება

<sup>1</sup> პოტენციური გამოშვების შესაფასებლად „განზოგადებული მეთოდიკი“ გამოყენების ფოუსტრიქება იხ. მაგალითად: Балацкий Е. В. Оценка объема потенциального ВВП. //Проблемы прогнозирования. 2000, №1; Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r>.

შეუძლებელია, რადგანაც საქართველოში მოქმედი სტატისტიკის სისტემა არ იძლევა ინფორმაციას საწარმოო ფუნქციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის - რეალური კაპიტალის - არსებული მდგრადი მარეობის შესახებ. ამიტომ პოტენციური გამოშვების შესაფასებლად მიზანშეწონილია მივმართოთ სხვა ალტერნატიულ, ეკონომიკური ინტერპრეტაციის შქონების მიღება.

შრომის ბაზრის მოდელები და პოტენციური გამოშვება. როდესაც ვმსჯელობთ პოტენციურ გამოშვებაზე, მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ შრომის ბაზრის შესახებ არსებული შეხედულებები და მოდელები. თანამედროვე მაკროეკონომიკაში შეიძლება გამოვყოთ შრომის ბაზრის ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ორი ძირითადი მოდელი – კლასიკური და კეინზიანური.

კლასიკურის თანახმად, შრომის ბაზარი კონკურენტულია, ნომინალური ხელფასი ფასების დონის შესაბამისად იცვლება, ამიტომ წონასწორობის მდგომარეობაში ყოფნა, რასაც სრული დასქმება შეესაბამება, ასეთი ბაზრისათვის „უცხო ხილს“ არ წარმოადგენს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასიკური თეორიის თანახმად, სრულ დასაქმებაში ყოფნა ან მისენ სწრაფვა შრომის ბაზრისათვის ნორმალური მოვლენაა. თუ ეს ასეა, მაშინ კლასიკური თეორიის მიხედვით, ფაქტობრივი და სრული დასაქმება, ხშირ შემთხვევაში, ან ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ან ერთმანეთისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს – საშუალოდ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს. მეორე მხრივ, დასაქმებულთა რაოდენობა პოტენციური გამოშვების მთავარი განმსაზღვრელია. ამიტომ, თუ ჩავთვლით, რომ ფაქტობრივი დასაქმება მიახლოებით ასახავს სრულ დასაქმებას, მაშინ ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების მნიშვნელობებიც ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიდიდეებად უნდა განვიხილოთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური თეორიის სისწორის პირობებში, საშუალოდ ფაქტობრივი და სრული დასაქმების მნიშვნელობები, ასევე ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვების მნიშვნელობები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს. ამასთან, უმუშევრობის მაღალადი ფაქტობრივი დონის მქონე ეკონომიკაში მაღალადი იქნება უმუშევრობის ბუნებრივი დონე<sup>1</sup> და დაბალი - ჩამორჩენა პოტენციური

გამოშვების მოცულობიდან, რომელიც პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვებების სხვაობით იზომება.

კეინზიანური მოდელის მიხედვით შრომის ბაზარი ერთ-ერთი არასრულყოფილი ბაზარია რამდენიმე გარემოების გამო. მათშორის არასრულყოფილების მთავარ მიზეზად ნომინალური ხელფასის მოუქნელობა ითვლება, რომელიც ფასების დონის ცვლილებაზე ისე თავისუფლად არ რეაგირებს, როგორც ეს კლასიკური თეორიის წარმომადგენლებს სურთ წარმოგვიდგინონ. არასრულყოფილების შედეგია ის, რომ ქრონიკულად ადგილი აქვს იძულებით უმუშევრობას (სიტუაციას, როცა შრომის მიწოდება ადემატება შრომაზე მოთხოვნას), თუმცა შრომის ბაზარი მთლიანობაში შეიძლება კეინზიანურ წონასწორობაში იმყოფებოდეს<sup>2</sup>. კლასიკური წონასწორობისაგან განსხვავებით, კეინზიანური წინასწორობისათვის სავალდებულო არ არის შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების ერთმანეთთან გატოლება და სრულ დასაქმებაში ყოფნა<sup>3</sup>; მთავარია, რომ არსებული ნომინალური ხელფასისა და ფასების დონის პირობებში, შრომის ბაზარმა შესძლოს ეფექტიანი მოთხოვნის (ანუ საქონლის ბაზრის მხრიდან არსებული მოთხოვნის) დაქმაყოფილება. თუ ჩავთვლით, რომ კეინზიანური მოდელი ჰეშმარიტია, მაშინ ლოგიკურად მივდივართ დასკნამდე, რომ ეკონომიკაში ფაქტობრივი არსებული დასაქმება საშუალოდ შესამნევად უნდა ჩამოუგარდებოდეს სრულ დასაქმებას (ანუ ფაქტობრივი და არსებული უმუშევრობის დონე საშუალოდ შესამნევად უნდა აღმატებოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს). თავის

<sup>1</sup> რ. ბლანჩარი მაკროეკონომიკის თავის ცნობილ სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ შედარებით მაღალი უმუშევრობის ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში) „მაღალი უმუშევრობის დონე ასახავს უმუშევრობის მაღალ ბუნებრივ დონეს და არ უმუშევრობის დონის ბუნებრივი დონისაგან გადასრას. ეს, თავის მხრივ, გვგარნახობს, რომ ამ მოვლენის ასენა უნდა ვეძებოთ იმ ფაქტორებში, რომლებიც ხელფასის დაწესების და ფასწარმოქმნის დამოკიდებულებებს განსაზღვრავს“. Blanchard O. *Macroeconomics*. Prentice Hall, Pearson Education International. 2006. p. 172.

<sup>2</sup> Тарасевич Л. С., Гальперин В. М., Гребенников П. И., Леусский А. И. *Макроэкономика*. Санкт-Петербург, СПбГУЭФ, 1999. Ст. 191.

<sup>3</sup> კეინზიანიზმი მიიჩნევს, რომ კერძო შემთხვევაში, როდესაც ეფექტიანი მოთხოვნა საგარისად მაღალი და რეალიზებადია ფასები დონისა და ნომინალური ხელფასის მოცულული მნიშვნელობებისათვის შესაძლებელია სრული დასაქმების არსებობა.

მიხედვით პოტენციურ გამოშვების სიდიდეს საშუალოდ შესამჩნევად უნდა ჩამოუვარდებოდეს ფაქტობრივი გამოშვების სიდიდე.

მაშასადამე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ერთ-მანეთისაგან უნდა განვასხაოთ კლასიკური და კეინზიანური პოტენციური გამოშვება და კლასიკური და კეინზიანური უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ამასთან, ზოგად შემთხვევაში, კეინზიანური პოტენციური გამოშვება არანაკლებია კლასიკურ პოტენციურ გამოშვებაზე, ხოლო კეინზიანური უმუშევრობის ბუნებრივი დონე არ აღემატება კლასიკურ უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

განვიხილოთ მათემატიკური მოდელები, რომელიც ემპირიული მასალის გამოყენებით აქ მოყვანილი თეორიული დებულებების დასაბუთების საშუალებას მოგვცემს. პირველ რიგში შევჩერდეთ მოდელზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ესადაგება კეინზიანური თეორიის პირობებს.

პოტენციური გამოშვებისა და სრული დასაქმების კეინზიანური მოდელი. მოდელის აგებისათვის შემოვიდოთ გამოშვების თეორიული  $\tilde{Y}_t$ -მოცულობის ცნება. აღვნიშნოთ მისი სიდიდე  $\tilde{Y}_t$ -თი. ამ უკანასკნელში ვიგულისხმოთ გამოშვების ის შესაძლო მოცულობა, რომელიც შეიძლება მივიღოთ მოცემულ პერიოდში არსებული სამუშაო ძალის  $L_t$ -ს 100%-იანი დასაქმების შემთხვევაში (ანუ ვგულისხმობთ, რომ უმუშევრობის არცერთ ფორმას ადგილი არ ექნება). ბუნებრივია,  $\tilde{Y}_t$  არანაკლები იქნება გამოშვების ფაქტობრივ  $Y_t$  და პოტენციურ  $Y_t^*$  მოცულობებზე. სხვაობა თეორიულ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის აღვნიშნოთ  $\Delta\tilde{Y}_t$ -ით:

$$\Delta\tilde{Y}_t = \tilde{Y}_t - Y_t \quad (1)$$

$\Delta\tilde{Y}_t$ -ს შეიძლება ვუწოდოთ მიუღებელი გამოშვების თეორიული მოცულობა. ეს უკანასკნელი განსხვავდება მიუღებელი გამოშვებისაგან, ( $Y_t^* - Y_t$ )-საგან, რომელიც პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვებების სხვაობას წარმოადგენს. როგორც წესი,  $\Delta\tilde{Y}_t$  დადებითი სიდიდეა, მაშინ,

როცა  $(Y_t^* - Y_t)$  შეიძლება იყოს როგორც დადგბითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში  $\Delta\tilde{Y}_t > (Y_t^* - Y_t)$ .

ჩავთვალოთ, რომ დროის ყოველ მოცემულ  $t$  პერიოდში, ფაქტობრივად არსებული შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი  $APL_t$ , რომელიც ფაქტობრივი გამოშვების მოცულობის დასაქმებულთა რაოდენობასთან შეფარდებით მიიღება, ოპტიმალური სიდიდეა და დამოკიდებული არ არის მოცემულ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობაზე. სხვანაირად, ვგულისხმობთ, რომ მოცემულ პერიოდში შრომის საშუალო მწარმოებლურობა  $APL_t$  და ზღვრული მწარმოებლურობა  $MPL_t$  ერთმანეთის ტოლი სიდიდეებია:  $APL_t = MPL_t$ . ასეთ პირობებში ადგილად დავადგინთ  $\Delta\tilde{Y}_t$ -ს მნიშვნელობას:

$$\Delta\tilde{Y}_t = APL_t \cdot U_t,$$

სადაც  $U_t$  უმუშევართა მთლიან რაოდენობას აღნიშნავს. გავითვალისწინოთ ეს გარემოება (1)-ში. მაშინ გამოშვების თეორიული მოცულობის განსაზღვრის შემდეგ მარტივ წესს მივიღებთ:

$$\tilde{Y}_t = Y_t + \Delta\tilde{Y}_t = Y_t + APL_t \cdot U_t.$$

მივიღოთ პიპოთება იმის შესახებ, რომ პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის გადახრა  $(Y_t^* - Y_t)$  თეორიული და ფაქტობრივი გამოშვებების სხვაობის  $(\tilde{Y}_t - Y_t)$  პროპორციულია:

$$Y_t^* - Y_t = \lambda(\tilde{Y}_t - Y_t).$$

აქედან, პოტენციური გამოშვების მოცულობა  $Y_t^*$  შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ

$$Y_t^* = \lambda \tilde{Y}_t + (1-\lambda) Y_t = Y_t + \lambda \Delta \tilde{Y}_t. \quad (2)$$

<sup>2</sup> Corsetti et al. (1998) berufen sich in ihrer Arbeit allerdings nicht explizit auf McKinnon und Pill (1996). Jedoch ist die von ihnen gewählte Modellierung des Produktionsschocks weitgehend mit der Arbeit identisch.

können sie an ihre eigenen inländischen Unternehmen verleihen. Für die aggregierte Budgetrestriktion der Kapitalinhaber in der Periode  $t$  ergibt sich somit:

$$(K_{t+1} - K_t) - (D_{t+1} - D_t) \frac{E_t}{P_t} = y_t^{Eli} - r \frac{E_t}{P_t} D_t - c_t^{Eli} - T_t^{Eli} - \frac{M_t^{Eli} - M_{t-1}^{Eli}}{P_t}$$

Die rechte Seite der Gleichung (4) entspricht der realen Ersparnisbildung der Elite. Diese umfasst deren Einkommen ( $y_t^{Eli}$ ) abzüglich der Zinszahlungen an das Ausland, ihrem Konsum ( $c_t^{Eli}$ ) und den Abgaben an den Staat. Diese bestehen aus einer auf das Arbeitseinkommen erhobenen Steuer ( $T_t^{Eli}$ ) und der „seigniorage“-Steuer  $(M_t^{Eli} - M_{t-1}^{Eli})/P_t$ .  $E_t$  und  $P_t$  sind der nominale Wechselkurs und das inländischen Preisniveau. Die reale Ersparnis muss dem realen Vermögenszuwachs entsprechen, der sich auf der linken Seite der Gleichung (4) wiederfindet. Dieser beinhaltet die Ausdehnung des Kapitalstocks  $(K_{t+1} - K_t)$  abzüglich der realen Neuverschuldung gegenüber dem Ausland  $(D_{t+1} - D_t)E_t/P_t$ .

Von den Arbeitern sei angenommen, dass sie ihr gesamtes verfügbare Einkommen konsumieren, da ihnen der Zugang zu den Kapitalmärkten verwehrt ist. Für ihre Budgetbeschränkung in der Periode  $t$  ergibt sich:

$$y_t^{Arb} = c_t^{Arb} + T_t^{Arb} + \frac{M_t^{Arb} - M_{t-1}^{Arb}}{P_t} \quad (5)$$

Es soll der Einfachheit halber unterstellt werden, dass der Staat in der Ausgangssituation vor der Krise unverschuldet ist und keine Ausgaben tätigt, sondern seine gesamten Einnahmen in Form von Währungsreserven ( $R_t$ ) anlegt. Damit ergibt sich die Budgetrestriktion des Staates zu:

$$(R_{t+1} - R_t) \frac{E_t}{P_t} = r \frac{E_t}{P_t} R_t + \frac{M_t - M_{t-1}}{P_t} + T_t \quad (6)$$

Die Einnahmen des Staates befinden sich auf der rechten Seite der Gleichung (6). Sie bestehen aus den Zinsen der Devisenreserven, aus den<sup>1</sup> Analog zum FLOOD-GARBER-Modell wird ebenfalls angenommen, dass die Inflation im Rest der Welt gleich null ist und damit dem Realzinsniveau  $r$  entspricht.

Erträgen einer möglichen „seigniorage“-Steuer und der Einkommenssteuer ( $T = T^{Arb} + T^{Eli}$ ). Die Einkommenssteuer wird nur auf das Arbeitseinkommen erhoben. Sofern für die gesamte Bevölkerung der einheitliche Steuersatz  $\zeta$  gilt, ergibt sich:

(7)

Entsprechend  $\zeta T_t = \eta (1 - \alpha) \tilde{A}_t K^\alpha$  er Staat auf die Erhebung einer „seigniorage“-Steuer hten. Das Geldangebot wird so gesteuert, dass Preisniveau und Wechselkurs bis zum Ausbruch der Krise als konstant betrachtet werden können.

### An Overview of Newer Approaches in the Theory of Currency Crises

S. Gelashvili

A strong characteristic at the beginning of a financial crisis and in its process is that problems in the financial sector and a speculative pressure on a currency emerge at the same time. This scenario is very complex. The twin crisis problem isn't a recent problem of the current global financial crisis, although it gets more attention lately. Kaminsky and Reinhart (1999) have shown that at the beginning of the eighties a close connection exists between these two kinds of crises. This connection is originated with the liberalization of the financial sector. Kaminsky and Reinhart detect the empirical evidence that a twin crisis has harder consequences than a bank crisis or a currency crisis alone.

In the first part of this article the phenomenon of the twin crises will be explained. After that, the three different approaches for a currency crisis will be presented, with a particular notice of the banking sector. And in the last part the article paper-tiger model will be explained.

ახლებური მიდგომები სავალუტო  
კრიზისების თეორიაში

### ს. გელაშვილი

გამოკვეთილი დამასასიათებელი თვისება ფინანსური კრიზისის დასაწყისსა და მისი მიმდინარეობის პროცესში არის ის, რომ სპექულაციური წნევის პრობლემები ფინანსურ სექტორსა და ვალუტაზე ერთდროულად წარმოიშობა. ეს სცენარი ძალზედ კომპლექსურია. შეწყვილებული კრიზისი არ არის მხოლოდ მიმდინარე საფინანსო კრიზისისთვის დამასასიათებელი პრობლემა. კამინსკი და რეინკარტი (1999) აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში ამ ორ კრიზისს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. ეს კავშირი წარმოიშობა ძირითად ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციიდან. კამინსკიმ და რეინკარტმა ემპირიულ ფაქტებზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ შეწყვილებულ კრიზისს უფრო მძიმე შედეგები მოჰყვება, ვიდრე საბანკო კრიზისს ან კიდევ სავალუტო კრიზისს ცალკელები.

სტატიის პირველ ნაწილში განხილულია შეწყვილებული კრიზისის ფენომენი. შემდგომ წარმოდგენილია სავალუტო კრიზისის სამი განსხვავებული მიდგომა საბანკო სექტორზე განსაკუთრებული აქცენტით. სტატიის ბოლო ნაწილში კი აღწერილია ე.წ. „ქაღალდის ვეფხვის მოდელი”.

შელის მიწოდების უნაშელოებები და სტაბილური განვითარების მიზანი

მაია გოგონია  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უმაღლესი საბოლოო მიზანია ფულის სტაბილურობა, სრული დასაქმება და წარმოქმნის რეალური მოცულობის ზრდა. ეკონომიკაში ფულის როლის თაობაზე ეკონომისტთა შეხედულებები არაერთგვაროვანია. კლასიკური მოდელის მიხედვით, თუმცა ნომინალური ფულადი მასა საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის განმსაზღვრული ფაქტორია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ ახდენს არავითარ გავლენას რეალურ ეკონომიკურ აქტივობაზე. ტრადიციული მოდელის შესაბამისად კი, რომელიც აჯამებს კეინზიანური თეორიის ძირითად დებულებებს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს რეალურ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მონეტარისტები ამტკიცებენ, რომ ტრადიციული კეინზიანური მოდელი კარგია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაზარების მოკლევადიანი შედეგების აღწერისათვის, ანუ მოკლევადიან დროის ინტერვალზე ფულადი მასის ცვლილებები მართლაც მოქმედებს რეალურ ეკონომიკურ ცვლადებზე. როგორიცაა დასაქმების დონე და წარმოების რეალური მოცულობა. მაგრამ, გრძელვადიან პერიოდში ერთადერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც იცვლება ამ პოლიტიკის შედეგად, არის ფასების დონე. არსებობს ორი მნიშვნელოვანი და საკამათო საკითხი, რომელიც აღმოცენდა მონეტარისტების მცდელობის შედეგად – შეუთავსონ კეინზიანელების მოკლევადიანი პერიოდი კლასიკოსების გრძელვადიან პერიოდს. ჯერ ერთი, გაურკვეველია გრძელვადიანი პერიოდის დროითი საზღვრები და მეორე, როგორი უნდა იყოს ქვეყანაში უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომლისკენაც

უნდა ისწრაფვოდეს ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში. თანამე-დროვე ეკონომისტების უმეტესობა იზიარებს აზრს, მონეტარისტების იმ დამსახურების შესახებ, რომ მათ უარი თქვეს მხოლოდ კეინზიანური ან მხოლოდ კლასიკური მეთოდების გამოყენებაზე. მაგრამ შეეცადნენ რა შეეთავსებინათ ორი კონცეფცია, მონეტარისტები ახალ პრობლემებს შეაწყდნენ, რომელთაგან მთავარია ფასწარმოქმნისა და ინფლაციურ მოლოდინებთან დაკავშირებული პრობლემა.

ერთობლივი მიწოდების ტრადიციული მოდელი დაფუძნებულია ეკონომიკური აგენტების შეზღუდული ინფორმირებულობის გარაუდზე. ის ამტკიცებს, რომ ინდივიდები ახდენენ თავიანთი მოლოდინის ფორმირებისას ადაპტიურად, ანუ მოლოდინის ფორმირებისას მხოლოდ წარსულზე ინფორმაციას იყენებენ. ამგვარ ადაპტიურ მიდგომას აქვს ორი საკამათო მომენტი, რომელიც განსაკუთრებით ცხადი ხდება ფასებისა და ინფლაციის დონეთა ეკონომიკური მოდელირებისას. ჯერ ერთი, ადაპტიური მოლოდინის თეორია ამტკიცებს, რომ ინდივიდები არ იყენებენ ბოლო ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ, წარსულზე ინფორმაცისთან ერთად და, შესაბამისად, არ იყენებენ ეკონომიკური პროცესების თავიანთ გაგებას, თუმცა სინამდვილეში ბევრი ადამიანი სარგებლობს ზემოთ აღნიშნულით ზუსტი პროგნოზების შედგენისათვის. მეორე, არსებობს ადაპტიური მოლოდინის ფორმირების სქემების დიდი რაოდენობა და არ არსებობს არცერთი ხერხი, მათგან ამორჩეულ იქნეს ერთი საყოველოად მიღებული ეკონომიკური პროცესების მოდელირებისას.

რაციონალურ მოლოდინთა პიპოთეზაც არ არის იდეალური და აქვს რიგი ნაკლოვანებებისა, რომელთაგან ერთ-ერთია არაკონკრეტულობა, რის გამოც რთულია მისი გამოყენება ეკონომიკურ მოდელებში. აღმოცენდება კითხვა, ხომ არ მოუწევთ ეკონომისტებს განახორციელონ ყველა ინდივიდის რაციონალური მოლოდინის მოდელირება ცალ-ცალკე? შესაძლებელია თუ არა ეს საერთოდ?

სწორედ ამ კითხვებზე პასუხებზე ვერ თანხმდებიან თანამე-დროვე ეკონომისტები. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ რაციონალურ მოლოდინთა თეორია იმდენად არაკონკრეტული და ლოგიკურად იმდენად ჩახლართულია, რომ მისი ეფექტიანი გამოყენება ეკონომიკური მოდელირებისას შეუძლებელია. ეს ეკონომისტები

ძირითადად უბრუნდებიან თეორიის კლასიკურ ან ტრადიციულ კეინზიანურ საფუძვლებს, უარს ამბობენ რა თავიანთ თეორიებში მოლოდინთა ფორმირებისა და ცვლილებების მოდელების გამოყენებაზე, მაგრამ თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ ეკონომიკურ მოდელებში მომავალი ფასებისა და ინფლაციის დონის თაობაზე ინდივიდთა მოლოდინის გაუთვალისწინებლობა დაუშევებელია ასეთი მოლოდინის მნიშვნელობის გამო. პირიქით, ეს თეორიიტიკოსები უმნიშვნელოვანებს ამოცანად მიიჩნევენ მოლოდინთა ფორმირების მოდელირებას იმ მოდელების შექმნისას, რომელიც აღწერს ეკონომიკურ პროცესებს, განსაკუთრებით კი ფულის, როგორც ეკონომიკური აქტივობის ცვლილების უმნიშვნელოვანების დეტერმინანტის, როლს. მეცნიერთა ეს ჯგუფი თვლის რაციონალური მოლოდინის პიპოთეზას თავიანთი მოდელების ძირითად მომენტად, აგრძელებს რა ამ პიპოთეზის გამოყენებას და სრულყოფას ეკონომიკური ანალიზის დროს.

კეინზის მიერ წამოყენებული ძირითადი და უტყუარი პოსტულატი, რომელიც შემდგომ მისმა მიმდევრებმა შეავსეს, ის არის, რომ ინდივიდები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ და მათი გადაწყვეტილებები ეფუძნება მოლოდინს ეკონომიკური ცვლადების - ფასებისა და ინფლაციის დონეთა მიმდინარე და სამომავლო დინამიკის შესახებ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დონისძიებები, მიმართული ნომინალური ფულადი მასის და, შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდაზე, გამოიწვევს ფასების დონის ზრდას, რაც განაპირობებს შრომაზე მოთხოვნის გადიდებას და შესაბამისად, დასაქმების დონეც გაიზრდება.

ახალი კლასიკური თეორიის თანახმად, მუშაკების მსგავსი ქცევა ირაციონალურია, თუ მათ არ უზღუდავენ წვდომას ინფორმაციისადმი ცენტრალური ბანკის საქმიანობის შესახებ და თუ მათ არ ესმით მსგავსი ქმედებები რა გავლენას მოახდენს ფასების დონესა და ინფლაციაზე. თუ ცენტრალური ბანკი სისტემატიკურად აქვეყნებს ანგარიშებს გატარებული პოლიტიკის შესახებ, მაშინ, ახალი კლასიკური თეორიის მომხრეების აზრით, მუშაკებს უნარი შესწევთ დაპროგნოზობრი ცენტრალური ბანკის ქმედებები. ამ შემთხვევაში მუშაკები შეცვლიან თავიანთ მოლოდინს და ქცევას

შრომის ბაზარზე, რაც ანეიტრალუებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე. ახალი კლასიკური თეორიის თანახმად, ინდივიდები მოელოდნენ იქნება და განჭერუტენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სისტემატურ დონისძიებებს, რასაც ექნება ნეიტრალური ეფექტი ეკონომიკაზე, თანაც მოკლევადიან პერიოდშიც კი.

რა თქმა უნდა, ადამიანები არ არიან დაჯილდოვებული განჭერების აბსოლიტური ნიჭით. ამასთან, ეროვნული ბანკი ხშირად მოულოდნელად იქცევა. ხანდახან ის აცხადებს განსაზღვრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების თაობაზე, მაგრამ შემდგომ მას არ გამოსდის, ან როგორც ზოგიერთი ცინიკოსი ამტკიცებს, ის სპეციალურად არ მისდევს ამ პოლიტიკას. ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის ქმედებები დროდადრო აუცილებლად არასისტერუტი და განუჭრებადი იქნება, ე.ი. ინდივიდებიც ვერ შეძლებენ ამ ქმედებათა განჭვრეტას.

ახალი კლასიკური თეორიის დებულება იმის თაობაზე, რომ ფულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გრელვადიან პერიოდში ნეიტრალურია რეალური ეკონომიკური ცელადების მიმართ ფასებისა და ხელფასის მოქნილობის პირობებში და, ასევე, რაციონალურ მოლოდინთა თეორიის პიპოთების მართლზომიერების პირობებში, ცნობილია, როგორც ვარაუდი პოლიტიკის არაეფექტურობის შესახებ (policy ineffectiveness proposition). სწორედ ეს ძალზედ მკვეთრი და თამამი დებულება ეკონომისტების უმრავლესობაში ასცირდება ახალ კლასიკურ თეორიასთან. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი ქმედებები ფულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ჩარჩოში, გატარებული წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების დონის სტაბილიზების მიზნით, ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების დახმარებით, საბოლოო ანგარიშით, მარცხისათვის არის განწირული.

კეინზიანელებისათვის და ზოგიერთი მონეტარისტისათვის გაუგებარია შემდეგი: თუ ახალი კლასიკური თეორია ზუსტია, მაშინ რატომ აქვს ადგილი წარმოების გრძელვადიან დაცემას. კეინზიანელები ახალი კლასიკური თეორიისა და, შესაბამისად, პოლიტიკის არაეფექტურობის ვარაუდის მთავარ მოწინააღმდეგებს წარმოადგენენ. კეინზიანელების შეტევებისათვის მთავარი

სამიზნე იყო რაციონალურ მოლოდინთა პიპოთებია. თანამედროვე კეინზიანელების აზრით, ხელფასი და ფასები არ არის მოქნილი იმის გამო, რომ რეალურ ცხოვრებაში ფირმები და მუშაკები ხშირად დებენ ხელშეკრულებებს, რომელიც არეგულირებს შრომის პირობებს (მაგალითად, ხელფასისა და სხვა გადასახელების სიდიდეს), რომლითაც ფირმები ხელმძღვანელობენ მუშაკების დაქირავებისას განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მსგავსი გრძელვადიანი ხელშეკრულებების არსებობა, თანამედროვე კეინზიანელების აზრით, ზღუდვას დაუყოვნებლივ რეაქციის შესაძლებლობას იმ მოლოდინის ცვლილების საპასუხოდ, რომელიც გამოწვეულია ცვლილებებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, თანამედროვე კეინზიანური სახელშეკრულებო მოდელები შეიცავს ერთ ელემენტს ახალი კლასიკური თეორიიდან – რაციონალური მოლოდინის პიპოთებას – და უარყოფს მეორე ელემენტს – დებულებას თავისუფალი კონკურენციის თაობაზე. რაც შეეხება ხელფასების ინდექსაციას, ის დღემდე რჩება საიდუმლოდ ეკონომისტებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში ხელფასი ინდექსირდება ნაწილობრივ, თუ პრაქტიკულად მთლიანად არა, ფასების დონის მიმართ. სხვა ქვეყნებში ინდექსაცია დაბალია, თუ საერთოდ არსებობს. ეს ფენომენი დღემდე სრულად არ არის ახსნილი ეკონომისტების მიერ<sup>1</sup>. ხელფასის სრული ინდექსაცია ეკონომიკაში ოპტიმალური არჩევანი იქნებოდა, ერთობლივი მოთხოვნა ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობის ერთადერთი წყარო რომ იყოს, მაშინ ხელფასის სრული ინდექსაციისას ფასების დონის მიმართ, მუშაკები და დამქირავებლები სრულად იქნებოდნენ დარწმუნებულები იმის თაობაზე, რომ დასაქმება და წარმოების მოცულობა მუდმივად დარჩება ბუნებრივ დონეზე.

ეკონომისტები თავს კარგ სოციოლოგებად თვლიან. ისინი ცდილობენ გამოიყენონ მეცნიერული მეთოდი, რომლის თანახმადაც ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს თეორია, ხოლო შემდგომ შემოწმდეს ის იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელიც მიიღება რეალურ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად. აქედან გამომდინარე, სწორი იქნებოდა მსგავსი მიღვიმის გამოყენება და როგორც ახალი კლასიკური მოდელის,

<sup>1</sup> Роджер Лерой Миллер, Дэвид Д. Ван-Хуз, Современные деньги и банковское дело, пер. 3-го английского издания, М., 2000, с. 612.

ასევე თანამედროვე კეინზიანური თეორიის შემოწმება. მაგრამ ორი თეორიის ემპირიული შედარება ძალზედ რთული საქმე აღმოჩნდა. კეინზიანური თეორიის ცალკეულ დატყულებათა ისტორიული მტბიცუ-ბულებანი ახდენს ფასების არაელასტიკურობას და შესაბამისად ფულის ნეიტრალურობის არარსებობის დემონსტრირებას.

ფულის ნეიტრალურობის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სულაც არ არის განსაციიფრებელი სერიოზულ უთანხმოებათა აღმოცენება ამ საკითხის გარშემო თანამედროვე ეკონომისტებს შორის. ამასთან, ორივე თეორია შიდის დასკვნამდე (ეკრდნობა რა სხვადასხვა მტკიცებულებას), რომ წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებები ფასების დონის არარაციონალურ მოლოდინთან არის დაკავშირებული.

თანამედროვე კეინზიანელი თეორიტიკების გუნდმა შეიმუშავა ეკონომიკის მოდელი, რომელიც წარმოადგენს კლასიკური მოდელის სრულიად საპირისპიროს, რომლის საფუძველია თეზისი, რომ „საქონელზე მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას“ და არა „საქონლის მიწოდება წარმოშობს მოთხოვნას“. ამ და სხვა მოდელებში, რომელიც შეიმუშავეს ეკონომისტებმა (მათ უწოდებენ ნეოკეინზიანელებს – new Keynesian theorists), კლასიკური მოდელის წანამდგარი სრული კონკურენციის არსებობის შესახებ უარყოფილია. ისინი თვლიან, რომ ბაზრები განსაზღვრავს ფასებს და წარმოების მოცულობას, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ ბაზრებზე არ არსებობს კონკურენცია. ზოგიერთი ნეოკეინზიანელი ასევე უჭირებს აყენებს ინდივიდების რაციონალური ქცევის წანამდგარს, რომელიც ეკონომისტების უმრავლებობის მიერ არის აღიარებული.

ეკონომისტების მეორე ჯგუფის სრულიად საწინააღმდეგო თეორიის თანახმად „საქონლის მიწოდება წარმოშობს მოთხოვნას“. მათ მიერ შემუშავებული მოდელების თანახმად ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება არ ახდენს გავლენას წარმოების რეალურ მოცულობასა და დასაქმების დონეზე. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც სხნის რეალური მაჩვენებლების ციკლურ ცვლილებებს, მათი აზრით არის მიწოდების ცვალებადობა. ამგარად, ეს ეკონომისტები გახდნენ ცნობილი, როგორც საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის თეორეტიკოსები (reibusines cicle theorists).

ფასების მოუქნელობის, როგორც მონოპოლიების შედეგის იდეა, რა თქმა უნდა, ახალი არ არის. მაგალითად: 1930-იან წლებში ეკონომისტმა გარდინერ მინსმა (Means) შექმნა მართვადი ფასების თეორია (administered pricing hypothesis). მინსის თეორიის ინტერპრეტირებისას ფართო გაგებით, ფირმები ახორციელებენ თავის საქონელზე ფასების დისკრეიტულ და არა კონკურენტულ დადგენას. ვიწრო გაგებით მინსის თეორია დაიყვანება იმ ფირმების ტენდენციის არსებობაზე, რომლებიც მონოპოლიას ფლობენ, შეინარჩუნონ ფიქსირებული ფასები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამ იდეას აკრიტიკებდნენ 1940-იან წლებში, მაგრამ ის ისევ გამოჩნდა 1950-იან წლებში და ფართოდ იყო პროპაგანდირებული 1960-იან წლებში.

ამგვარად, მოსახრება, რომ ფასები შეიძლება იყოს არაელასტიკური მონოპოლიური ფასების დადგენის შედეგად, შეიძლება აღვიქვათ როგორც ძველი იდეა, რომელსაც კვლავ დაუბრუნეს ციცოცხლე, მაგრამ, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მართვადი ფასების თეორია უარყოფილ იქნა წარსულში ბევრი ეკონომისტის მიერ, იყო ამ თეორიის შემქმნელთა უუნარობა აეხსნათ, რატომ შეიძლება იყოს ფირმებისათვის რაციონალური მუდმივი ფასების შენარჩუნება, მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილების დროსაც კი. ეს თითქოსდა არ ეთანხმებოდა მოგების მაქსიმიზაციას და ამიტომ ირაციონალური იყო. დაბალი ინფლაციური (დეფლაციური) ხარჯების ნეოკეინზიანური თეორია, შემუშავებული 1980-1990-იანი წლების ბოლოს, შეცადა აეხსნა, რატომ არჩევენ რაციონალური მენეჯერები შეინარჩუნონ ფიქსირებული ფასები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში. როგორც ამ თეორიის სახელწოდებიდან ჩანს, ფირმები გასწევენ დაბალ ინფლაციურ (დეფლაციურ) ხარჯებს (small menu costs). დანახარჯთა ბევრი სახეობა, მაგალითად: კატალოგების ბეჭდვის ხარჯები არ არის მაღალი, მაგრამ ზოგიერთმა სხვა ხარჯმა, მაგალითად, რომელიც დაკავშირებულია მთხლი ქვეყნიდან ან მთელი მსოფლიოდან ერთ ადგილზე მენეჯერების შესაკრებად, რათა განიხილონ ფასების ცვლილება ან კლიენტებთან ხელშეკრულების თავიდან დადება, შეიძლება შეასრულოს არსებითი როლი. ფასების ზრდა რომ არ იწვევდეს დანახარჯებს, ფირმა წავიდოდა ამაზე, რომ მიეღო დიდი მოგება.

თუ ვივარაუდებთ, რომ არსებობს დანახარჯები, რომელსაც ფირმა გახწევს ფასების შემცირების შედეგად, ფირმა შეამცირებს ფასს მხოლოდ მაშინ, როცა მოგება მიღებული ფასების ამ შემცირების შედეგად მეტია, ვიდრე დანახარჯები. თუ ფასის შემცირების შედეგად მიღებული მოგება დანარჯებზე მცირეა, ფირმა არ შეცვლის ფასს. ეს ფასი იქნება სისტი, ხოლო რეაქცია მოთხოვნის შემცირებაზე ძირითადად იქნება წარმოების მოცულობის შემცირება. ფირმის ფასი იქნება არაელასტიკური მხოლოდ მაშინ, თუ ფასის ცვლილების შედეგად მიღებული მოგება, კიდევ უფრო მცირე იქნება. შედეგად დაბალმა ინფლაციურმა (დეფლაციურმა) ხარჯებმა შეიძლება აიძულოს ფირმები არ შეცვალონ ფასები მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებისას; წონასწორობის დამყარება ძირითადად დაკავშირებული იქნება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან.

ნეოკეინზიანური მოდელების დამახასიათებელი მეორე თვისებაა კოორდინაციის შეცდომათა (coordinatian failures) არსებობა. კოორდინაციის შეცდომები – ეს არის მუშაკებისა და ფირმების უუნარობა დაგეგმონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება წარმოებისა და ფასების დონეს, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების შედეგად, როგორიცაა ინფლაციის დონე ან ერთობლივი რეალური შემოსავალი. კოორდინაციის შეცდომათა იდეა ის არის, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება ახდენს საგარეო ეფექტებს (spillover effects) ეკონომიკური აგენტების მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ნეოკეინზიანელების აზრით, მაკროეკონომიკური ცვლადების ცვლილება გავლენას ახდენს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე და (თუ უკანასკნელთ დაგაჯამებთ) მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

მართლაც, აცხადებენ ნეოკეინზიანელი თეორიტიკოსები, სწორედ ბაზრის ჩავარდნებისა და კოორდინაციის შეცდომათა მიზეზია ეკონომიკაში აქტიური ჩარევა. ნეოკეინზიანელების თვალსაზრისით, ეკონომიკა წარმოადგენს არასტაბილურ სისტემას, რომლის რეგულირებაც აუცილებელია ფულად-საპრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით.

საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის თეორია განსხვავდება

კლასიკური მოდელისგან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტით. კლასიკური მოდელით ნომინალური ფულადი მასა მთლიანად კონტროლდება სახელმწიფო ორგანოს ან ცენტრალური ბანკის მიერ. საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის თეორიაში ნომინალური ფულადი მასა მთლიანად განისაზღვრება სადეპოზიტო დაწესებულებებისა და არასაბანკო სექტორის ურთიერთქმედებით. ამ თეორიის თანახმად არასაბანკო სექტორის რეალური შემოსაჭლის ზრდისას, მოთხოვნა მომსახურებაზე გარიგებების მიხედვით არარეგულირებადი ბანკებისა და სადეპოზიტო დაწესებულებების მხრიდან, აგრეთვე იზრდება (ზუსტად ასევე ძლიერდება ფულის შენახვის ტრანზაქციური კეინზიანური მოტივი). ბანკები პასუხობენ გარიგებათა მიხედვით მომსახურების მოცულობის გაზრდით და ამით იზრდება თანხები ტრანზაქციურ ანგარიშებზე. საბანკო ანგარიშებზე არსებული მოდიანი თანხა – ხშირად მას უწოდებენ შიგა ფულს (inside money), რამეთუ მისი რაოდენობა განისაზღვრება ბანკებისა და არასაბანკო სექტორის ურთიერთქმედებით – იცვლება უშუალოდ რეალური შემოსავლის ცვლილებასთან ერთად და სრულად არ კონტროლდება ცენტრალური ბანკის მიერ.

უფრო მეტიც, საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის მოდელში საბანკო ფულს დეპოზიტებზე არა აქვს მნიშვნელობა ფასების დონის განსაზღვრისას. ამის სანაცვლოდ ფასების დონე განისაზღვრება მხოლოდ ფულისა და საბანკო რეზერვების (რომელთაც საგარეო ფული (outside money) ეწოდება და მას უშვებს სახელმწიფო), მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით, რამეთუ ისინი იმყოფება საბანკო და არასაბანკო სექტორის კონტროლს მიღმა. მოცემული თეორიის თანახმად, ეს არის ნომინალირი ფულადი მასის ერთადერთი კომპონენტი, რომლის გაკონტროლებაც სახელმწიფოს შეუძლია და რომელიც განსაზღვრავს ფასების დონეს. ამგვარად, ერთადერთი ფული, რომელიც თამაშობს როლს საქმიანი აქტივობის ციკლის მოდელში არის ფულადი ბაზა (საგარეო ფული), ხოლო ფულად ბაზას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმ პირობით, რომ ფულის მიწოდება განსაზღვრავს ფასების დონეს საქონელსა და მომსახურებაზე. მაგრამ, შესაძლებელია კი ფაქტობრივად ავსენათ ეკონომიკური ციკლები მხოლოდ რეალური ფაქტორებით მიწოდებან?

ეკონომისტები აგრძელებენ დისკუსიას ამ საკითხის გარშემო.

თუ სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიას გამოვიყენებოთ თანამედროვე ეკონომიკის განსხვავებული ნაწილებისადმი, მაშინ ნებისმიერი ცალკე აღებული თეორია, იქნება ეს კლასიკური, ტრადიციული კეინზიანური, მონეტარისტული, ახალი კლასიკური, თანამედროვე კეინზიანური, ნეოკეინზიანური თუ რეალური ეკონომიკური ციპლის, იქნება არასაკმარისი ეკონომიკური აქტივობისა თუ ფასების დონის განსაზღვრის გაგებისათვის. ნებისმიერი ცალკე აღებული თეორია იქნება ცუდი დასაბუთება ეფექტიკის გატარებისათვის.

ამგვარად, ხელფასისა და ფასების არაელასტიკურობის ნეოკეინზიანური თეორია გულისხმობს, რომ რეალური ხელფასის გაზრდა იწვევს მეტი შრომის მწარმოებლურობას. ეფექტიანი ხელფასის ეს თეორია ნიშნავს, რომ დასაქმება იცვლება ნომინალური ფულადი მასის ცვლილებასთან ერთად, ამიტომ ფული ნეიტრალური არ არის.

კეინზიანურ მოდელებს აქვს ორი თავისებურება: ერთია, თავისუფალი კონკურენციის შესახებ კლასიკური თეორიის წანამდლვარზე უარის თქმა, მეორე კი – კოორდინაციის შეცდომების, ანუ მაკროეკონომიკური საგარეო ეფექტების არსებობა, რაც ხელს უშლის ცალკეული მუშაკებისა და ფირმების მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

ნეოკეინზიანური ფულადი და მაკროეკონომიკური თეორიის სრულებით საპირისპიროა საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის თეორია, რომლის თანახმადაც წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებას აღგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკაში ტექნოლოგიების ცვლილების გამო, რაც გამოწვეულია ისეთი მოგლენებით, როგორიცაა ომები, სტიქიური უბედურებები, წარმოების ფაქტორებსა და ტექნოლოგიურ დამუშავებებზე შეფარდებითი ფასების ცვლილება. ფული ყოველთვის ნეიტრალურია. საქმიანი აქტივობის რეალური ციკლის თეორიაში სახსრები ანგარიშებზე ბანკებში (შიგა ფული) არ ახდენს ზაგავლენას არც რეალურ ცელადებზე, არც ფასების დონეზე. ფასების დონე განისაზღვრება ფულისა და საბანკო რეზერვების (ფულადი ბაზის, ანუ საგარეო

ფულის) მოთხოვნით და მიწოდებით.

ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომა ფულისა და მაკრო-ეკონომიკური თეორიისადმი არის მრავალსექტორიანი მოდელების განხილვა, რომელშიც ეკონომიკის სექტორები ხასიათდება ქცევით, აღწერილი განსხვავებულ ეკონომიკურ მოდელებში.

ეკონომისტების თვალსაზრისი ეკონომიკაში ფულის როლზე თითქმის ყოველთვის არ ეთანხმება ერთმანეთს, არ არის, რა თქმა უნდა, თეორიების ნაკლებობა: ეს არის კლასიკური, ტრადიციული კეინზიანური, მონეტარისტული, თანამედროვე კეინზიანური, ნეოკეინზიანური თეორიები. ფულის ესა თუ ის თეორია სხვადასხვა ეპოქასა და დროში სახელმწიფოების მიერ დადგენილ ქვეყნის ფულად სისტემასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახა.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკებს უწევს არჩევანის გაკეთება, რა იქნება მათთვის საბაზისო თეორია, ოპტიმალური ფულად - საკრედიტო პოლიტიკის მიებაში. მიმდინარე ფულად - საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირდება კონკრეტულ და მიღწევად მიზნებზე. ეს კონკრეტული მიზნები მოიცავს ტაქტიკურ მიზნებს და შუალედურ მიზნებს. უმაღლესი ამოცანები, შუალედური და ტაქტიკური მიზნები აყალიბებენ იერარქიულ სტრუქტურას, სადაც ყოველ განსაზღვრულ დონეზე ხდება შესაბამის მიზანში კორექტივების შეტანა უფრო მაღალი ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად.

იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა აირჩიოს შუალედური მიზანი, რომლის ეფექტიანად გაკონტროლებასაც შეძლებს, ფინანსური ბაზრის ცვლადები შუალედური მიზნების ყველაზე აღეპატური ვარიანტია. მირითად ცვლადს ფინანსურ ბაზრებზე წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთები. მეორე მნიშვნელოვანი ცვლადი, რა თქმა უნდა, ფულადი მასაა. სხვა შუალედური ცვლადი ფინანსურ ბაზარზე შესაძლებელია იყოს დაკრედიტების მოცულობა ეკონომიკაში.

შუალედური მიზნის სახით ასევე შეიძლება წარმოჩნდეს ნომიმალური შემოსავალი, საქონლის ფასები და სხვა. ზოგიერთი ეკონომისტი ემხრობა საპროცენტო განაკვეთების ტარგეტირების ისეთ მოდიფიკაციას როგორიცაა მოკლევადიან და გრძელვადიან

საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის ტარგეტირება.

უფრო მიმზიდველი შუალედური მიზნის არჩევისათვის უნდა ვიცოდეთ ყოველი მათვანის თავისებურებანი.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთები, როგორც შუალედური მიზანი, გამოირჩევა ყველა ცვლადს შორის რიგი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ეროვნულ ბანკს შეუძლია მუდმივად დააკვირდეს საპროცენტო განაკვეთებს. აგრეთვე მას აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებზე სახელმწიფო ფასიანი განაკვეთების ყიდვა-გაყიდვით. ნომინალური საპროცენტო განაკვეთის გამოყენება შუალედური მიზნის სახით ავტომატურად აღმოფხვრის ეფექტს რელური შემოსავლის მერყეობიდან, რაც გამოიხატება ნომინალური ფულადი მასის ცვლილებით. ინარჩუნებს რა წონასწორობას IS-LM მოდელში, საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირება ავტომატურად ასტაბილიზირებს ერთობლივ მოთხოვნას, მიუხედავად ფულზე მოთხოვნისა და ფულადი მულტიპლიკატორის არასტაბილურობისა. მანამ, სანამ ერთობლივი მიწოდება სტაბილურია, საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირება პასუხობს ინფლაციის დონის მინიმიზების მიზანსაც. მაგრამ ცნობილი IS გრაფიკის ცვალებადობისას, ცენტრალურმა ბანკმა სჯობს თავი შეიკავოს შუალედური მიზნის სახით ნომინალური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებისაგან - მსხვილი ცვლილებები ავტომომიურ მოხმარებაში, ინვესტიციებში, სახელმწიფო ხარჯებსა და დაბეჭვრაში შესაძლოა წინაღობად გადაიქცეს საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირებისათვის. ამასთან, ეკონომისტები ვერ თანხმდებიან საპროცენტო განაკვეთის ხელოვნური შენარჩუნების (peg) შესაძლებლობაზე გრძელვადიან პერიოდში, რისი მიზეზიც ის არის, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით ტოლია რეალური საპროცენტო განაკვეთისა და მოსალოდნელი ინფლაციის ტემპების ჯამის. ბევრი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ რე-

<sup>1</sup> რ. ასათიანი. როგორ აისახა ფულის თეორიები მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში, პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და ადადმიიტის პატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე (8-9 ივლისი, 2010), თბ., 2010, გვ.

ალურ ფაქტორებზეა დამოკიდებული და ამიტომ ეროვნულ ბანკს არ შეუძლია მასზე გავლენის მოხდენა გრძელვადიან პერიოდში. თუ ასეა, მცდელობა, ხელოვნურად შევინარჩუნოთ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, უტოლდება მცდელობას დავაფიქსიროთ ინფლაციის მოსალოდნებით ტემპები განსაზღვრულ დონეზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ, სხვა ეკონომისტები ამტკიცებენ რომ არ არსებობს თეორიული მიზეზი, რომელის გამოც საპროცენტო განაკვეთის ხელოვნური შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა, რამთუ ცენტრალურ ბანკს შეუძლია იმოქმედოს ფასების მოსალოდნებლ ცვლილებაზე საპროცენტო განაკვეთის ხელოვნური შენარჩუნების პოლიტიკის საშუალებით.

იმის გამო, რომ შუალედური მიზნის სახით ფულადი მასის გამოყენებისას, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს LM გრაფიკის მდებარეობასა და ფორმაზე, შეიძლება მოგვეჩვნოს რომ ფულადი მასის ტარგეტირება არ წარმოადგენს იმდენად მისაღებ სტრატეგიას. მაგრამ საქმე ასე როდია. ფულადი მასის ტარგეტირებას აქვს გარკვეული უპირატესობები, თუმცა ნაკლოვანებებიც. მირითადი უპირატესობა ის არის, რომ ეს სტრატეგია იცავს წონასწორულ რელურ შემოსავალს და აქედან გამომდინარე, ერთობლივ მოთხოვნასაც IS გრაფიკის ცვალებადობის გავლენისაგან. მონეტარისტების აზრით, კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც მიიღწევა ფულადი მასის ტარგეტირებისას, არის ფასების დონის სტაბილიზაციის შესაძლებლობა, რეალური შემოსავლის წონასწორული დონის სტაბილიზაციასთან ერთად.

მაგრამ, შუალედური მიზნის სახით ფულადი მასის გამოყენებას აქვს ნაკლოვანებებიც. ერთ-ერთი კი ის არის, რომ პოტენციურად რთულია ფულადი მასის გაზომვა. ტარგეტირების ორი სტრატეგიის შედარების შეჯამებისას აღვნიშნოთ, რომ:

- საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირება სჯობს ფულადი მასის ტარგეტირებას, თუ ფულზე მოთხოვნა უკიდურესად არასტაბილურია, თუ მას აქვს დიდი ელასტიკურობა პროცენტის მიხედვით და თუ ადგილი აქვს IS გრაფიკის შედარებით მცირე გადანაცვლებას;

- ფულადი მასის ტარგეტირება სჯობს საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირებას, თუ საპროცენტო განაკვეთი მიღებულია მნიშ-

ვწელოვანი მერყეობისადმი (IS გრაფიკის), თუ ფულზე მოთხოვნა შედარებით არაელასტიკურია პროცენტის მიხედვით და თუ ადგილი აქეს ფულზე მოთხოვნის შედარებით მცირე ცვალებადობას.

ამრიგად, ISLM მოდელი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს რომელი მაჩვენებლები უნდა გაკონტროლდეს ცენტრალური ბანკის მიერ. თუ IS მრუდი (რომელიც წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წონასწორობის წერტილების გამაერთიანებელს) ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე LM მრუდი (რომელიც აერთიანებს ფულის ბაზარზე წონასწორობის წერტილებს), უპირატესობა უნდა მიენიჭოს მონეტარული ტარგეტირების პოლიტიკას, ვინაიდან მას თან ახლავს ერთობლივი გამოშვების მოცულობის უფრო მცირე რყევები. თუ LM მრუდი უფრო ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე IS მრუდი, საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირებაა უმჯობესი.<sup>1</sup>

რაც შეეხება ნომინალური შემოსავლის ტარგეტირებას, მას პოტენციურად შეუძლია შეამციროს ინფლაცია და მისი რყევები გამოწვეული ერთობლივი მიწოდების არასტაბილურობით, მაგრამ კავშირი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ნომინალური შემოსავლის დონეს შორის შეიძლება საკმაოდ რთული იყოს. ამასთან, მონაცემები ნომინალური შემოსავლის შესახებ შემდის ცენტრალურ ბანკში საკმაოდ იშვიათად.

სხვა შესაძლო შეალედური მიზნები შეიძლება იყოს სხვაობა გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის, სასაქონლო ფასების ინდექსები და კრედიტის მაჩვენებლები. სასაქონლო ფასების ტარგეტირება გვპირდება ფასების გარკვეულ სტაბილურობას, რომელიც შეიძლება მოგვიზანოს სასაქონლო სტანდარტში მისი ოპტიმალური გამოყენებისას, პლუს კიდევ მეტი სტაბილურობა სტანდარტში ერთზე მეტი საქონლის ჩართვისას. მაგრამ, დამოკიდებულება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და სასაქონლო ფასებს შორის ისევე გაურკვეველია, როგორც კავშირი სასაქონლო ფასებისა და რეალური შემოსავლის დონისა და უმუშევრობის.

ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული ტაქტიკური მიზნის არჩევანი კი ფაქტობრივად ამა თუ იმ ფორმას აძლევს ფულის მიწოდების მრუდს. მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის

ფიქსაციის მიზანი გვაძლევს ფულის მიწოდების ვერტიკალურ მრუდს. პროცენტის ნორმის ფიქსაციის მიზანი, გვაძლევს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფულის მიწოდების მრუდს – პორიზონტალურს. ამ უკიდურეს პოზიციებს შორის შეალედური ვარიანტების მრავალფეროვნება (სახესხვაობები) გვაძლევს ფულის მიწოდების დახრილ მრუდს მისი დახრის კუთხის მნიშვნელობების ძალზედ ფართო სპექტრით.

აქამდე ჩვენ უურადდება გავამახვილეთ ეკონომიკაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების შესაძლებლობებზე. მაგრამ, ასევე საკითხავია-ეროვნულმა ბანკმა აქტიურად უნდა გამოიყენოს თავისი პოლიტიკის ინსტრუმენტები ეკონომიკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის? რომელია უმჯობესი: დისკრეციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (რომელიც მოქმედებათა თავისუფლებას გულისხმობს), თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წესები. ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ დროითი ლაგების პოლიტიკა გადაწყვეტილი რომ იყოს, მოქმედების თავისუფლება, (რომელიც გულისხმობს, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია შეცვალოს მიმდინარე პოლიტიკა ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, მინიმალური შეზღუდვებისას ლია ბაზარზე ოპერაციებზე, სააღრიცხვო ფანჯრის პოლიტიკასა და სარგებლობის მოთხოვნებზე), უმჯობესი იქნებოდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წესებზე. ამასთან, დისკრეციული ინფლაციური ტენდენციის სიდიდე შეიძლება შეგზღუდოთ, თუ ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ინფლაციასთან მეტობობის საკუთარ რეპუტაციას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეალედური მიზნების შესაძლო საქეტრიდან არცერთი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც იდეალური საშუალება, უნივერსალური, ეკონომიკური სისტემის განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტისათვის. აქედან გამომდინარე, ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები მივიდნენ დასკვნამდევრობის კონტროლს მათი მხრიდან უნდა დაექვემდებაროს ეკონომიკური სისტემის პარამეტრების-მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ფულადი მასის მოცულობას, გაცემული კრედიტების<sup>1</sup> მ. გოგოხია, მონეტარული თეორია და პოლიტიკა, ურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №4, გვ. 56.

საერთო მოცულობა: წარმოების ნომინალურ და რეალურ მოცულობათა დონეების ცვლილების ტენდენციები, ფასების განსხვავებული ინდექსების ცვლილებები, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარების რიგი მაჩვენებელი—საგარეო სავაჭრო საგადამხდელო ბალანსი, გაცვლითი სავალუტო კურსი და ა.შ. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ აუცილებელია ცენტრალურ ბანკებს მიენიჭოს მოქმედების სრული თავისუფლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ჩარჩოებში შესაძლო უფრო სწრაფი და ადეკვატური რეაქციისათვის ეკონომიკურ სისტემაში მომხდარ ცვლილებებზე. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ფულის მომქცევასთან დაკავშირებული დონისძიებების მქაცრი რეგლამენტი თავის თავში შეიცავს უფრო მეტ საფრთხეებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ საპარო ხომალდის მეთაურის მოქმედებას: მას ესმის ავტოპილოტის ყველა უპირატესობა ორდინალური ფრენისას, მაგრამ იღებს თავზე ხომალდის მართვას, როცა აღმოცენდება გაუთვალისწინებელი მანევრირების აუცილებლობა.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „2010-2012 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, აღნიშნულ პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6%-ს. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2010-2012 წლებში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები (ლიკვიდობის მიწოდება), სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები (ლიკვიდობის ამოღება), ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო სვოპ ოპერაციები, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები (ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლებიდან დროებითი გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე

(ინფლაციის მოლოდინი, მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა<sup>1</sup>).

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის ნოემბერის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში პოლ კრუგმანი ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ-ს ეკონომიკურ პოლიტიკაში აღზევებულ მონეტარიზმს „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტს უწოდებს. მისი აზრით, დავიწყებულ იქნა რთულად მოპოვებული ცოდნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჯული ირაციონალური და არაპნოგროზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდა რეალობისაგან<sup>2</sup>.

### **Modern modifications of theories of money and monetary policy**

**M. Gogokhia**

The article deals with modern theories of money. One of the modern manners to money and macroeconomic theories is consideration of multifactor models, in which sectors of economic are characterized with behavior described in different economic models. Theories of money are represented in monetary policy realized by Central Banks, that's why they are important. The highest final goal of monetary policy is stability of prices, full employment and growth of real volume of production. Current monetary policy is oriented on concrete goals, which includes tactical and intermediate goals. There are described the preferences and deficiencies of such their variants, as interest rate, money mass, nominal income, difference between short-term and long-term interest rates, merchandise price indexes and credit data. Finally discretionary monetary policy and rules of monetary policy are compared.

**როგორისაციული კულტურა როგორის  
ადამიანერი რესურსების მართვის  
განუყოფელი ნაწილი**

ნებგარ პატარე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ორგანიზაციული კულტურა ყოველთვის იყო და არის სამეცნიერო პრაქტიკის და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, მას დღემდე ჩვენი ქვეყნის უმეტეს ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ აქვთ.

უკანასკნელ წლებში ინდუსტრიული მოწინავე ქვეყნებში ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იაპონურმა გამოცდილებამ, კერძოდ, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების იაპონური კონცეფციის წარმატებამ. მისი საფუძველია საზოგადოების ტრადიციებზე დაყრდნობილი სპეციფიკური ორგანიზაციული კულტურა. ახლა იგი გვევლინება როგორც კონკურენტუნარიანობის და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორი. რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო ნაკლებად მოითხოვს ორგანიზაციათა პერსონალი ხელმძღვანელობიდან დირექტივებს, მუშაობის დეტალურ სქემებსა და ინსტრუქციებს. ამასთან ერთად, რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო მაღალია საწარმოთა პრესტიჟი და კონკურენტუნარიანობა.

ორგანიზაციული კულტურა განიხილება როგორც მძლავრი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ორგანიზაციის შემთხვევაში და მისი თითოეული წევრი მომართოს ძირითად მოცავებზე. იგი ახდენს თანამშრომელთა ინიციატივის მთბილიზებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციისადმი ერთგულებას და აადვილებს ადამიანებს შორის ურთიერთობას.

ორგანიზაციული კულტურის, როგორც შესწავლისა და მარ-

<sup>1</sup> [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>2</sup> პ. გრუგმანი. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80.

თვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია: 1) იგი სოციალურია, რამდენადაც მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენებ ორგანიზაციის მომუშავები; 2) არეგულირებს კოლექტიფის წევრთა ქცევას და ამით ზემოქმედებს თანამშრომელთა შორის ურთიერთობაზე; 3) იქმნება ადამიანების მიერ, ანუ იგი ადამიანური მოქმედების, აზროვნების და სურვილის შედეგია; 4) მიუხედავად იმისა – შეცნობილია თუ შეუცნობელი, აღიქმება ყველა თანამშრომლის მიერ; 5) ტრადიციის მატარებელია, რამდენადაც გაივლის განვითარების ისტორიულ პროცესებს; 6) შესაძლებელია მისი შეცვლა და ა.შ.

ორგანიზაციული კულტურა ეკონომიკურ დიტერატურაში<sup>1</sup> მოიხსენიება სხვა ისეთი ტერმინებითაც, როგორიცაა: „ორგანიზაციის კულტურა“, „ეორპორაციული კულტურა“, „მეწარმეობის კულტურა“ და ა.შ.

ჯერჯერობით არაა შემუშავებული „ორგანიზაციული კულტურის“ ცნების ერთიანი განმარტება. მისი განსაზღვრა ძალიან რთულია, რამდენადაც იგი ერთობ მრავალგანზომილებიანია და სასიათდება არც ისე სწორსაზოვანი კანონზომიერებებით. ბოლო წლებში მისი განმარტების შედარებით უფრო გავრცელებული ვარიანტების განზოგადების საფუძველზე, „ორგანიზაციული კულტურის“ ცნება შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციის ფასეულობებისა და ნორმების შემცველი ორგანიზაციის წევრების მიერ გამოსაყენებლივ (გამოყენებული) ყველაზე მნიშვნელოვანი და აღიარებული დებულებების გრობლითაა, რომელიც ადამიანებს აძლევს მათი ქცევისა და მოქმედების ორიენტირებს.

„ორგანიზაციული კულტურის“ ცნებასთან ახლოსაა ცნება „ორგანიზაციული კლიმატი“. ხშირად მათ ერთმანეთში ურევენ. ჩვენ ვემსრობით მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარის დენისონის<sup>2</sup> მოსაზრებას, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოცემულ ცნებებს. მისი მოსაზრებით, ორგანიზაციული კულტურა

<sup>1</sup> Кибанов А. Я. и др. Управление персоналом организации, М., 2001, с. 514-527; Веснин В.Р. Управление персоналом, М., 2008, с. 493-513.

<sup>2</sup> Майкл Армстронг. Практика управления человеческими ресурсами, 8-е издание, М., 2007, с. 195.

ემყარება ორგანიზაციის წევრებისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს, რწმენასა და განზრასულობებს, ხოლო ორგანიზაციული კლიმატი დაკავშირებულია მოცემული ორგანიზაციის წევრების მიერ შეგნებულად აღქმული ირგვლივ მყოფი გარემოს ასპექტებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციული კლიმატი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადამიანების მიერ თავისი ორგანიზაციის კულტურის აღქმა.

ორგანიზაციული კულტურის როლი განსაკუთრებით დიდია ადამიანური რესურსების მართვაში. მიუხედავად ამისა მოცემული პრობლემის ფართომასშტაბიანი მეცნიერებლი კვლევა დაიწყო მხოლოდ გასული საჟურნალის 80-იანი წლებიდან აშშ-ში<sup>1</sup> დღეს ორგანიზაციული კულტურა ითვლება ფირმის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორად, განსაკუთრებით თუ იგი შესაბამისობაშია ფირმის განვითარების სტრატეგიასთან.

ორგანიზაციული კულტურა ყალიბდება როგორც ორგანიზაციის წევრთა ურთიერთქმედების და ადმინისტრაციის მიზანდასაზღვრი საქმიანობის პროცესში, ასევე სოციალური და საქმიანი გარემოცვისა და ეროვნულ-სახელმწიფო ბრძოლისა და ეთნიკური ფაქტორების ზეგავლენით. ორგანიზაციული კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორები და ნორმები ყალიბდება შემდეგი ოთხი გზით: პირველი, მათ აყალიბებებს მოცემული ორგანიზაციის ლიდერები, რამდენადაც ორგანიზაციის თანამშრომლები, როგორც წესი, თავიანთ მოქმედებებს საფუძვლად უდებებ ლიდერთა მოქმედებებსა და შეხედულებებს. ისინი ყერადღებას აქცევენ იმას, თუ რაა მნიშვნელოვანი ლიდერებისათვის და მას განიხილავენ როგორც თავიანთი ქცევის მოდელს; მეორე, ორგანიზაციული კულტურა ხშირად მკვიდრდება უკვე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიდან მიღებული გაკეთილების საფუძველზე (სასურველი და არასასურველი ქცევების შესახებ); მესამე, ორგანიზაციული კულტურა გამომუშავდება ორგანიზაციის წევრებს შორის საქმიანი სამუშაო ურთიერთობის მოთხოვნილების საფუძველზე; მეოთხე, ორგანიზაციული კულტურა იქმნება ორგანიზაციის ირგვლივ

<sup>1</sup> Веснин В.Р. Управление персоналом, М., 2008, с. 493.

მყოფი გარემოს ზაგავლენით. ცხადია, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების ოთხივე გზა ურთიერთკავშირშია და ხშირად ისინი ერთდროულად მოქმედებენ.

ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება რთული სტრუქტურით – ჯერ ერთი, იგი იერარქიულია და აქვს სამი დონე: ზედა-პირული, შუალედური და სიღრმისეული. ზედაპირულ დონეში იგულისხმება ადამიანების ქცევის წესები და ნორმები, აგრეთვე, საგნობრივი ატრიბუტები – ემბლემები, დიზაინი, საურთიეროობო ენა, ლოზუნები და სხვა. შუალედური უკვე დაფუძნებული ფასეულობები და რწმენა, ხოლო სიღრმისეული დონეა მისი (ორგანიზაციული კულტურის) ფილოსოფია. მეორე, ორგანიზაციული კულტურა შედგება შეფარდებითად დამოუკიდებელი სუბკულტურებისაგან: საქმიანობის ცალკეული სფეროების (წარმოების, გასაღების და სხვ.); საქმიანობის სახეობის (მართვის, შრომის და სხვ.); მატერიალურ-საგნობრივი ფაქტორების (წარმოების პირობების და სხვ.); პიროვნებათა შორისი ურთიერთობების; სოციალური ჯგუფების (მმართველების, საკუთალისტების, მუშების) და ა.შ. მიხედვით.

სუბკულტურები აკონკრეტებს და ავთარებს საერთო ორგანიზაციულ კულტურას. ისინი, როგორც წესი, ერთმანეთთან თანაარსებობენ, ხოლო ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ზომიერების ფარგლებში, ასეთი წინააღმდეგობა დასაშვებია. უფრო მეტიც, იგი ორგანიზაციული კულტურის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორიცაა. მთავარია ამ წინააღმდეგობამ არ მიიღოს ანტაგონისტური ხასიათი. ამიტომ, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა გამოიჩინოს (ზომიერების ფარგლებში) მომთმენიანობა სუბკულტურისადმი და წახალისონ ისინი.

გამოყოფენ ორგანიზაციული კულტურის ორ ასპექტს: ობიექტურსა და სუბიექტურს. ობიექტური ასპექტი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ორგანიზაციაში არსებულ ფიზიკურ გარემოცვასთან (შენობა, მისი დიზაინი, ადგილმდებარეობა, მოწყობილობა, ავეჯი, ფერი, სივრცის მოცულობა და სხვა). სუბიექტური ასპექტები გამომდინარეობს მომუშავეთა მიერ გაზიარებული წესებისაგან, გარაუდებისაგან, რწმენისაგან, მოლოდინისაგან. იგი დამოკიდებულია, აგრეთვე,

პიროვნების გარეთ მყოფი ფასეულობების, ქცევის ნორმებისა და როლების ჯგუფურ აღქმაზე. მთავარი სუბიექტური ელემენტებია ფასეულობები და ქცევის ნორმები. მასში შედის, აგრეთვე, სიმბოლიკის, განსაკუთრებით „სულიერი ნაწილის“ რიგი ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ორგანიზაციის გმირი, წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, ლეგენდები და მითები, ლოზუნებები, მენტალიტები და სხვა.

ვ. ვესნინი<sup>1</sup> ორგანიზაციაზე ზემოქმედების მიხედვით, სავსებით სამართლიანად გამოყოფს ორგანიზაციული კულტურის შემდეგ ტიპებს; უცილობელი (უგადო), ძლიერი და სუსტი. უცილობელი ორგანიზაციული კულტურა, როცა მისი საერთო ნორმების განუხრელად შემსრულებლები, აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, იშვიათად ახდენენ მასში კორექტივებს. ასეთი კულტურა დახურულია. იგი არ უშვებს მასზე სპონტანურ ზეგავლენას როგორც გარედან, ასევე შიგნიდან, ნიდბავს ნაკლოვანებებს და ქმნის ერთიანობისა და კეთილდღეობის მოჩვენებით შთაბეჭდილებას. მართალია, იგი ფორმალურად აერთიანებს პერსონალს, მაგრამ ერთდროულად თრგუნავს მას და, ამდენად, არაა საზოგადოებრივი პროგრესის ფაქტორი. ძლიერი ორგანიზაციული კულტურა მოიცავს ნორმებისა და ფასეულობების სიმრავლეს, გახსნილია ნებისმიერი გავლენისათვის, აქტიურად ითვისებს ყველა საკუთაროს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, უშვებს დიალოგს ორგანიზაციის წევრებს შორის და უცხო პირებთანაც კი. სუსტი ორგანიზაციული კულტურა პრაქტიკულად არ მოიცავს ზოგად ფასეულობებს და ნორმებს (ორგანიზაციის თითოეულ ელემენტს ისინი საკუთარი აქვს, რომლებიც, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს). ასეთი კულტურა ყოფს ადამიანებს, აპირისპირებს მათ ერთმანეთთან და ართულებს მართვის პროცესს.

გარდა ზემოაღნიშვნებისა, სხვადასხვა ნიშნით გამოიყოფა ორგანიზაციული კულტურის სხვა ისეთი ტიპებიც, როგორიცაა; ძალაუფლებაზე ორიენტირებული კულტურა, პიროვნებაზე ორიენტირებული კულტურა, ამოცანაზე ორიენტირებული კულტურა, კვლევითი კულტურა, ბიუროკრატიული კულტურა, სამურნეო კულ-

<sup>1</sup> Веснин В.Р. Управление персоналом, М., 2008, с. 497.

ტურა, სამრეწველო კულტურა, სტაბილური კულტურა, კლანური კულტურა, გაჭრობის კულტურა და ა.შ.

ფასეულობანი, როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზაციული კულტურის მთავარი შინაგანი საფუძველია. მასში იგულისხმება, თუ რა საუკეთესო ან ცუდი მოცემული ორგანიზაციისათვის და საითკენ უნდა მიისწრაფოდეს იგი. ორგანიზაციულ კულტურაში დრმად დამკვიდრებული და ხელმძღვანელობის ქცევით განმტკიცებული ფასეულობები სერიოზულ გავლენას ახდენს ადამიანებზე. ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა; ა) ფასეულობა როგორც საზოგადოებრივი იდეალი, მაგალითად, სამართლიანობა; ბ) პიროვნების საბოლოო მიზნის ამსახველი პირადი ფასეულობა, მაგალითად, გამდიდრების სურვილი; გ) ინსტრუმენტალური ფასეულობა (მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება), მაგალითად, ინიციატივიანობა, ცოდნის ამაღლება და ა.შ.) და სხვა.

რაც შეეხება ორგანიზაციული კულტურის ფილოსოფიას, ესაა ორგანიზაციის საკვანძო ფასეულობითი სისტემა. იგი განსაზღვრავს ხელმძღვანელობის სტილს, იძლევა ფუნქციონირებისა და განვითარების მთავარ მიმართულებას, ადამიანთა მოტივაციის საფუძლებს, კონფლიქტების გადაწყვეტის წესს, პერსონალის ქცევის წესს და ა.შ.

ქცევის ნორმები ადამიანთა მოქმედებების დაუწერელი წესებია. მათი დახმარებით განსაზღვრავენ ადამიანები, ამა თუ იმ ვითარებაში, რა და როგორ გააკეთონ, როგორ ილაპარაკონ, როგორ მოიქცნენ, როგორი ტანსაცმელი ჩაიცვან და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ქცევის ნორმების ჩამოყალიბება არასოდეს არ ხდება წერილობითი სახით. ის გადაეცემა პიროვნებიდან პიროვნებას ქცევის საშუალებით. მისი განმტკიცება კი ხდება ადამიანების რეაქციით მათ დარღვევაზე. ნორმები ვრცელდება ქცევის ისეთ ასპექტზე როგორიცაა; 1) როგორ ექცევიან მენეჯერები თავისი გუნდის წევრებს (ხელმძღვანელობის სტილი) და ეს უკანასკნელი როგორ ექცევიან თავის მენეჯერებს; 2) მუშაობის გაბატონებული ეთიკა („გულმოდგინედ მუშაობა“, „წესიერი ქცევა“, „სამუშაოზე ადრე

მისვლა,“ „სამუშაოდან ადრე წასვლა“ და ა.შ.; 3) ამბიცია; 4) დამოკიდებულება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებისადმი; 5) დამოკიდებულება ხელისუფლებისა და პოლიტიკისადმი; 6) ლოიალურობა; 7) ოფიციალურობა და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებში ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რომლიც განპირობებულია ისტორიული, ეთიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეროვნული კულტურების უნიკალურობით.

ეროვნული ორგანიზაციული კულტურები განსხვავებულია იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია მათი ფუძემდებლური ფასეულობები: ოჯახი, ხელისუფლების, დამქირავებლისა და კანონისადმი პატივისცემა, რწმენა ბიზნესში და დასაქმების სტაბილურობა, შრომის ანაზღაურების დონე, პიროვნების ცოდნისა და პროფესიონალიზმის პატივისცემა და სხვა. შესაბამისად, ორგანიზაციული კულტურის ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია: მკაცრი პრაგმატიზმი, ორიენტაცია ფულზე, ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებლობა, პატრიოტიზმი და ა.შ.

ზოგადად, დასავლებური კულტურისათვის დამახასიათებელია: ინიციატივიანობა, ფხიანობა, მეცნიერებლობა და რაციონალურობა, დემოკრატიულობა, ინდივიდუალიზმი, შემოქმედებითობა, თვითგანვითარება და სხვა.

მთლიანობაში ადმინისტრაციული ორგანიზაციული კულტურის მთავარი მახასიათებელია: მორჩილება ხელისუფლებისადმი, ავტორიტარიზმი, ეროვნული და ეთნიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა, საზოგადოების ელიტისა და მასას შორის დიდი დაშორება და ა.შ.

ორგანიზაციული კულტურის ჩინური მოდელის თავისებურებებია: მორჩილება, მომთმენიანობა და შეუპოვრობა, მოტყუებისადმი შემწყნარებლობა, ხარისხისადმი უყურადღებობა, ხუმრობისა და იუმორისადმი მაღალი მგრძნობელობა, კლანურობა და სხვა.

ისლამური ქვეყნების კულტურული სტერეოტიპი გულისხმობების: აუჩქარებლობის, მეგობრობისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნას; ორიენტაციას სამუშაოზე და არა მის შედეგზე; კონფრონ-

ტაციისაგან და სხვების კრიტიკისაგან თავის შეკავებას; ფარულად ძალის გამოყენებისადმი პატივისცემას; სიამაყესა და ამაღლებულ ქმოციონალურობას და ა. შ.

იაპონური კულტურული სტერეოტიპი პებისათვის დამახასიათებელია უსაზღვრო შრომის მოყვარეობა და მოთმინება; სილამაზისა და სრულყოფისადმი მისწრაფება; პატივისცემა ტრადიციებისადმი და, ამასთან ერთად, მისწრაფება სხვებისგან საუკეთესო სიახლის გადმოტანისადმი; კოლექტივიზმი და პატიოსნება; თავაზიანობა და აძლირაზულობა და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ხდება დასავლეთის და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის კულტურის ექსპანსია სხვა ქვეყნებში, რომლის ნიადაგზეც ადგილი აქვს კულტურათა დაახლოებას, მათში ბევრი საერთო ელემენტის გამოჩენას, რაც, თავისთავად, უთუოდ პროგრესული მოვლენაა. თუმცა, აქ აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა, რომ ამ მოვლენამ არ დააზარალოს ეროვნულ კულტურათა საუკეთესო და უნიკალური ტრადიციები.

ორგანიზაციული კულტურა ექვემდებარება შეფასებას, კონტროლსა და მართვას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზაციული კულტურის შეფასება შეიძლება მხოლოდ მისი რეალური გარემოს გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ ორგანიზაციულმა კულტურამ, რომელიც პროგრესულია ერთ მდგომარეობაში ან დროის გარევულ პერიოდში, შეიძლება არ იმუშაოს (ივარგოს) სხვა პირობებში ან სხვა დროში. რამდენადაც კულტურა ვითარდება და სხვადასხვა თრგანიზაციაში წარმოჩინდება განსხვავებულად, არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი კულტურა უკეთესია მეორეზე. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ განსაზღვრულ ას-პექტებით ისინი სხვადასხვაგვარია. ამდენად, არ არსებობს იდეალური კულტურები. შეიძლება იყოს მხოლოდ მოცემული სიტუაციის შესაბამისი კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს კულტურის მართვის უნივერსალური რეცეპტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია იდეალური კულტურის რაიმე დადგენილებით დამკვიდრება, წარმატებით შეიძლება

იმის მტკიცება, რომ კონკრეტულ გარემოებათა ზემოქმედებით ორგანიზაციული კულტურა შეიძლება შეიცვალოს. ცხადია, თუ საწარმოში არსებობს ორგანიზაციის მისის შესაბამისი კულტურა, საჭიროა ზომების მიღება მის შესანარჩუნებლად, ხოლო თუ იგი არ შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებს, აუცილებელია მუშაობა მის შესაცვლელად.

ორგანიზაციული კულტურის ცვლილებაზე ზემოქმედება  
შეიძლება შემდეგი დონისძიებებით: ცვლილებები მართვის სტილსა  
და მომუშავეთა სწავლების პროგრამებში, თანამშრომელთა  
სტიმულირების სრულყოფა, პროგრესული ცვლილებები საპადრო  
პოლიტიკაში, მომუშავეთა შერჩევა-მიღებისას, დაწინაურებებისა და  
დაცვალების მიკვემდებარების კრიტერიუმების დახვეწია და ა.შ.

ორგანიზაციული კულტურის შეცვლაზე მუშაობა, ჩვეულებრივ, იწყება არსებულის ანალიზით. შემდეგ, ამ უპარანასკნელის საფუძველზე კლინდება როგორი კულტურის დამკვიდრებაა საჭირო და ადამიანთა ის ქცევები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურველი კულტურის დამკვიდრებას. ორგანიზაციული კულტურის ცვლილების პროგრამები შეიძლება ემყარებოდეს კულტურის ისეთ ცალკეულ ასპექტებს, როგორიცაა: მუშაობის მაჩვენებლები, ერთგულება, მუშაობის ხარისხი, კლიენტების მომსახურება, გუნდში მუშაობა და სხვა.

ორგანიზაციულ კულტურაზე გავლენის მოხდენა შეიძლება: 1) თვით ადამიანთა შეცვლით, რაც მიიღწევა აღზრდისა და პროპაგანდის გზით, სიმბოლიკის, რიტუალებისა და სხვათა გამოყენებით; 2) სხვადასხვა წამახალისებელი ინსტრუმენტის გამოყენებით, ზოგჯერ ზეწოლითაც კი; 3) შესაბამისი კულტურის მქონე ადამიანების შერჩევით; 4) თანამდებობრივი სტრუქტურის, მომუშავეთა შრომით და სოციალური როლის შეცვლით და ა.შ.

ამრიგად, ორგანიზაციული კულტურა ადამიანური რესურსების მართვის ისეთი განუყოფელი ნაწილია, რომლის სრულყოფაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანთა პარმონიული (ფიზიკური და სულიერი) განვითარება და მათი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, რაც მიუთითებს აღნიშნული პრობლემის მეცნიერებული კვლევის აუცილებლობაზე.

**Organizational Culture as Indivisible  
Part of Human Resources**

**N. Paithadze**

In This article the essence, importance and basic features of organizational Culture on the contemporary stage of economic development of the society is observed. The special attention is focused on explanation of the regulations of its formation and to the questions of rather complicated structure.

In the article it is considered independent subcultures which in the constituent part of organizational culture, which develops and concertizes common organizational culture and as a rule, they cooperate to each other, but sometimes they contradict to each other. at the same time there is critically considered aspects and types of organizational culture.

In this article great attention is paid to important issues of improvement of organizational culture, its characteristics and analysis in the enterprises of our country.

**საქართველოს ეკონომიკაში ტერიტორიული და კულტურული საკითხებისათვის**

მააა მარგველაშვილი  
სრული პროფესორი,  
თსუ ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი,  
ტურიზმის საერთაშორისო  
სკოლის დირექტორი

ბოლოდროინდელი ემპირიული კვლევებით დადგინდა პირდაპირი ურთიერთკავშირი ტურიზმსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. ფაქტები ნათლად გვჩვენებს, რომ ისეთმა ქვეყნებმა, რომლებიც ძირითადად ტურიზმზე არიან ორიენტირებული (ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, პორტუგალია და სხვა), მიაღწიეს საგრძნობ ეკონომიკურ ზრდას. დადგინდა, რომ მათი ეკონომიკური ზრდა განაპირობა საერთაშორისო ტურიზმის ექსპანსიამ, ანუ გამართლდა ტურიზმზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის პიპოტება (Balaguer და Cantavella-Jordá, 2002; Dritsakis, 2004; Gunduz და Hatemi, 2005; Soukiazis და Proença, 2007; Eugenio-Martín და სხვები, 2008).

ადნიშნულის ფონზე დიდ ინტერესს იწვევს საქართველოში ტურიზმის განვითარების არსებული მდგრადეობის შესწავლა და მისი როლის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაში.

ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილ იქნა საქართველოს ტურიზმის როლი საერთაშორისო მასშტაბით. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული წარმატების მიუხედავად, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის “Doing Business” შეფასებებით (საერთო მე-11 ადგილი ბიზნესის გაიოლებაში 2010 წელს, საერთო მე-15 ადგილი 2009 წელს და საუკეთესო რეფორმატორი ქვეყნების ათეულში მოხვედრა 2008 წელს), ტურიზმის სფერო, სამწუხაროდ, უძრესად არასახარბიელოდაა წარმოდგენილი. კერძოდ: მოგზაურობისა და ტურიზმის ინდიკატორებში ტურიზმის

ეკონომიკისა და ტურიზმის ინდუსტრიის მშპ-ს ოდენობა, ასევე მისი წილი მშპ-ში და ზრდის ტემპი, ისევე როგორც დასაქმება დარგში, საერთოდ არა არა წარმოდგენილი (როგორც გაირკვა მონაცემთა არა-სებობის ან არასანდობის გამო). ხოლო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში - "The Travel & Tourism Competitiveness Report 2009" მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენცუარიანობის ინდექსით, საქართველო 73-ე ადგილზეა 133 ქვეყანას შორის. უფრო ძეგლი, ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: მოგზაურობისა და ტურიზმის ბიზნეს-გარემო და ინფრასტრუქტურა - 99 ადგილზეა, დარგის ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსებით - 92-ზე, საკუთრების უფლების დაცვით - 109 ადგილზე, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მდგრადობით - 79 ადგილზე, მარკეტინგისა და ბრენდინგის ეფექტიანობით - 74 ადგილზე, სასტუმროს ფასების ინდექსით - 106 ადგილზე და ა.შ.

იმავდროულად, საქართველოს ტურიზმის სექტორის ოფიციალური მონაცემები ასეთია:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით ([www.dotr.gov.ge](http://www.dotr.gov.ge)), 2008 წელს ქვეყანა მოინახულა 1290000 უცხოელმა ვიზიტორმა, რაც წინა წელთან შედარებით 23%-ით მეტია (ა.შ. 20 აპრილისათვის ოფიციალურ საიტზე 2009 წლის უცხოელთა მიერ ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთის მხოლოდ 11 თვის მონაცემებია). 2007 წელს ტურიზმის წილი ქვეყნის მშპ-ში შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 3.86% (2006 წელს შეადგენდა 3.98%-ს). ამასთან, ტურიზმის წილი მომსახურების ექსპორტში 2007 წელს გაიზარდა და შეადგინა 26% (2008 და 2009 წლების ანალოგიური მონაცემები დეპარტამენტს საერთოდ არ გააჩნია!). შევნიშნავთ, რომ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ანგარიში, დანარჩენ მონაცემთა წყარო კი კვლევის შედეგად მოძიებული ვერ იქნა.

სრული ქაოსია ეროვნული ტურიზმის სტატისტიკაში:

1. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - "ტურიზმის სტატისტიკა, 2008წ.", "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმომკვეთი უცხოელი მოქალაქეები", აბ-

სოლუტურად გაიგივებულია "ტურისტებთან", რის გამოც 2007 წელს ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობამ შეადგენდა 1 051 769 ადამიანი, რაც არასწორია. ამავე პერიოდში, საქართველოს 339 სასტუმროში სტუმართა რიცხვმა კი შეადგინა სულ 282 ათასი ადამიანი, რომელთაგან მხოლოდ 103 500 იყო არაეზიდენტი. 2008 წელს კი - 353 სასტუმროში სტუმართა რიცხვი იყო 266 ათასი, რომელთაგანაც არარეზიდენტი დაფიქსირდა 103 700.

ამ მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ 2007 წელს 948 000, ხოლო 2008 წელს - 1 187 000 უცხოელი ვიზიტორი: ა/განთავსდა ახლობლებთან და აღურიცხავ კერძო სექტორში (რაც წარმოუდგენელია საქართველოს პირობებში), ან ბ/ საქართველოში დამე საერთოდ არ გაუთვეია (ანუ წარმოადგენენტნ ტრანზიტულ მგზავრებს), ან გ/ორივე ერთად. სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობის ანალიზიც ამ ორი უკანასკნელი ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებს. შემთხვევითობის თავიდან აცილების მიზნით, მოგვყავ 2007 და 2008 წლების მონაცემები:

2007 წელს საქართველოში შემოსული 1051769 უცხოელი ვიზიტორიდან 281629 იყო აზერბაიჯანის მოქალაქე (27%), 243133 - სომხეთის მოქალაქე (23%), 248028 - თურქეთის მოქალაქე (24%), 91361 - რუსეთის მოქალაქე (8%), რაც ჩამოსულ ვიზიტორთა 82%-ს შეადგენს, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან კი - მხოლოდ 18%.

2008 წელს საქართველოში შემოსული 1290134 უცხოელი ვიზიტორიდან 344936 იყო აზერბაიჯანის მოქალაქე (27%), 281463 - სომხეთის მოქალაქე (22%), 351410 - თურქეთის მოქალაქე (27%), 114459 - რუსეთის მოქალაქე (9%), რაც სულ ჩამოსულ ვიზიტორთა 85%-ია. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან კი - მხოლოდ 15%.

სასტუმროთა მონაცემების პარალელურად ტრანზიტულ მგზავრთა სასარგებლოდ მეტყველებს ეს ფაქტიც, რომ კ.შ. "ტურისტთა" უდიდესი რაოდენობა (818357 ადამიანი 2007 წელს, ანუ 77% და 1 020 879 ადამიანი 2008 წელს, ანუ 79%) შემოვიდა ქვეყანაში საავტომბილო ტრანსპორტით.

ახლა, თუ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ტურისტის განმარტებას გავიხსენებთ ("ტურისტი არის ადამიანი, რომელიც მოგზაურობს და ჩერდება თავისი ჩვეული

საცხოვრებელი ადგილის გარეთ 24 საათზე მეტი დროის განმაფლობაში და არა უმეტეს ერთი წლისა - დასვენების, ბიზნესის და სხვა მიზნებით, რაც არაა დაკავშირებული მონახულების ადგილში ანაზღაურებად საქმიანობასთან”), აღმოჩნდება, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2008 წელს, ისევე როგორც 2007 წელს, საქართველო მოუნახულებია მხოლოდ 103 ათასს ვიზიტორს, ისიც თუ ადარ ჩავუდრმავდებით ჩამოსვლის მიზნებს (ოფიციალური მისიები, სამთავრობო დელგაციები) და “ანაზღაურებად საქმიანობას”, რომელსაც უდავოდ ადგილი აქვს ძირითადად აზერბაიჯანისა და თურქეთის მოქალაქეების შემთხვევაში.

ამგვარი დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემიც ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს დაცული ტურიზმის 2008 წელს მოინახულა მხოლოდ 3056 უცხოელმა ვიზიტორმა. ეს ფაქტი, რასაკირებელია არ ნიშნავს, რომ მეტი ტურისტი არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგადად მაინც მეტყველებს საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის რეალურ მოცულობაზე.

2. აბსოლუტურად განსხვავებულ სტატისტიკურ მონაცემებს იძლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - “საქართველოს სტატისტიკური წელიწეული” 2008 და 2009, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებ-გვერდი [www.dotr.gov.ge](http://www.dotr.gov.ge).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2007 წელს რეგრაციისა და დასვენების მიზნით ქვეყანაში ჩამოვიდა 18816 ადამიანი, ხოლო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემით – 198574 (ანუ 11-ჯერ მეტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2007 წელს საქმიანი და პროფესიული მიზნით ქვეყანაში ჩამოვიდა – 70953 ადამიანი, ხოლო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემით – 387219 (ანუ 5.5-ჯერ მეტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2007 წელს სამკურნალო მიზნით საქართველოში ჩამოვიდა 227 ადამიანი, ხოლო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის

მონაცემით – 18857 (ანუ 83-ჯერ მეტი). და სხვ.

იგივე “საქსტატის” მონაცემებით (“საქართველოს სტატისტიკური წელიწეული 2009”), მართალია, არ ჩანს ქვეყნის რეგიონებში, მაგალითად აჭარაში, ჩასულ ვიზიტორთა რაოდენობა, მაგრამ მასზე შეგვიძლია ვიზუალური მატრიცური რესპუბლიკის სასტუმროებში გაწეული მომსახურების მოცულობით. მთლიანად საქართველოს სასტუმროებში სტუმართავის გაწეული მომსახურების მოცულობამ 2007 წელს შეადგინა 68,7 მლნ ლარი, ხოლო 2008 წელს 77,3 მლნ ლარი. აჭარის სასტუმროებში მომსახურების მოცულობა აღმოჩნდა შესაბამისად 6,2 მლნ ლარი (მთელი ქვეყნის სასტუმროების მომსახურების 9%) და 10,1 მლნ ლარი (13%).

ამ მონაცემთა სისტორეზე მეტყველებს რესტორნებისა და კვების სხვა საწარმოების მომსახურების მოცულობის შედარებაც: 2007 წელს ამ მომსახურების მოცულობამ მთლიანად საქართველოში შეადგინა 100,6 მლნ ლარი, ხოლო 2008 წელს – 120,6 მლნ ლარი. შესაბამისად აჭარის /რ-ში – 5,8 მლნ ლარი (მთელი ქვეყნის რესტორნების მომსახურების 5,8%) და 4,7 მლნ ლარი (3,9%).

ამ ოფიციალური მონაცემების ანალიზით შეგვიძლია ვივარაულო, რომ აჭარა, რომლის ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლების უკადღების ცენტრშია და რაზეც მრავალმილიონიანი ინვესტიციები ისახავება, 2007 წელს მოუნახულებია მხოლოდ 16-დან 25 ათასამდე სტუმარს (როგორც რეზიდენტებს, ასევე უცხოელ ვიზიტორს), ხოლო 2008 წელს – 14-დან 45 ათასამდე სტუმარს, ნაცვლად განცხადებული ასობით ათასისა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სტატისტიკა აბსოლუტურად ზუსტი მეცნიერებაა, ხოლო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემების წერტილი – გაურკვეველი, საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის რეალური მოცულობის სურათი უფრო ნათელი ხდება.

3. საერთოდ ყურადღების გარეშეა დარჩენილი ტურიზმის ისეთი უმნიშვნელოვანების სეგმენტი, როგორიცაა შიგა ტურიზმი. წლების განმავლობაში არ ხდება მისი სტატისტიკური აღრიცხვა და შესაბამისად არც მისგან მიღებული შემოსავლები აღირიცხება. ეს სეგმენტი კი უკელა ქვეყანაში გაცილებით მეტია, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმისა. ასე მაგალითად, კანადაში ტურიზმიდან

არსებული მთელი შემოსავლების 77.1%-ს შეადგენს მოსახლეობის ხარჯები შიგა ტურიზმზე, რაც 2007 წელს 54.6 მლრდ აშშ დოლარი იყო. შემოსავლები შიგა ტურიზმიდან 3-ჯერ და მეტად აღემატება შემოსავლებს საერთაშორისო ტურიზმიდან. დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებლებია სხვა ქვეყნებშიც (Canadian Tourism Commission, Tourism Snapshot, Facts and Figures 2007).

საქართველოში ამ მხრივ არსებული სურათი აბსოლუტურად გაურკვეველია. ერთადერთი მონაცემი, რომელიც შესაძლოა გამოდგეს შიგა ტურიზმის მოცულობაზე მიახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად, არის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის იგივე დაცული ტერიტორიების მონახულების 2008 წლის ანგარიში. ამ ანგარიშის შესაბამისად ქვეყნის დაცული ტერიტორიები მოინახულა სულ 52736 ვიზიტორმა, რომელთაგან მხოლოდ 3056 (ანუ 5.8%) იყო უცხოელი. თუ ამ ლოგიკით ვისარგებლებთ, საქართველოს შიგა ტურიზმი თავისი მოცულობით 20-ჯერ უნდა აღემატებოდეს შემოყვანის ტურიზმს. მართალია, სტატისტიკა და ეკონომიკა მოითხოვს აბსოლუტურ სიზუსტეს და ლოგიკით სარგებლობა უშედგოა, თუმცა, ეროვნული ტურიზმის მესვეურებმა სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს.

4. არ აღირიცხება საზღვარგარეთ გასული ქართველი ტურისტების რაოდენობა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ, თუმცა, საზღვარი ამ მონაცემებს ფლობს. მაგალითად, 2007 წელს საქართველოს მოქალაქეებმა ქვეყნის საზღვარი გადაკვეთეს 2915079-ჯერ. თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს ყველა გასული მოქალაქე უკან დაბრუნდა (თუმცა, ამაში ალბათ ბევრს შეეპარება ეჭვი), მაშინ აღმოჩნდება, რომ საქართველოს 1457539 მოქალაქეს უმოგზაურია საზღვარგარეთ. ეს კი იგივე პერიოდში შემოსულ უცხოელ ვიზიტორებზე 405770 ადამიანით მეტია! არც ამ სტატისტიკით და არც ამ გზით ქვეყნიდან გადინებული ვალუტის ოდენობით არავინ ინტერესდება. შედეგად, შეუძლებელი ხდება საერთაშორისო მოგზაურობასა და ტურიზმი არსებული ბალანსის განსაზღვრა, ანუ გაურკვეველია თუ როგორია საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. მაგალითად, იგივე კანადაში ეს სალდო უარყოფითია და მისმა დეფიციტია 2007 წელს 10.3 მლრდ დოლარი შეადგინა.

5. სრული გაუგებრობაა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ამ მონაცემებს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი არ აქვთნებს, თუმცა, აშშ-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსა და კომპანია SW Associates LLC-ის ექსპერტთა მიერ 2007 წელს შემუშავებულ დოკუმენტში "Tourism Development and Investment Plan and Strategy for Georgia", დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დაფიქსირებულია, რომ "დასაქმებამ ტურიზმში 2006 წელს მიაღწია 17 ათასს, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 12%-ით, ამასთან ხელფასები გაიზარდა 50%-ით" (საბოლოო ანგარიშის გვ. 20-21). იქვე აღნიშნულია, რომ "ტურიზმით წარმოქმნილი არაპირდაპირი დასაქმების მონაცემები არ არსებობს" (გვ. 16). ეს მაშინ, როდესაც პირდაპირი დასაქმება ტურიზმის სექტორში ჯერ კიდევ 1999 წელს შეადგენდა 17 ათასს, ხოლო არაპირდაპირი და სტიმულირების ეფექტის გათვალისწინებით – 45 ათასს (წყარო: TACIS, "ტურიზმის განვითარების სტრატეგია", სამუშაო დოკუმენტი, 2001 წელი, გვ. 22).

ნამდვილად შეუძლებელია იმის თქმა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ტურიზმის ეროვნული ინდუსტრია არ განვითარებულა (თუნდაც ახალი სასტუმროების, რესტორნების, კაზინოებისა და ატრაქციონების ხარჯზე). უფრო ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ დეპარტამენტი ამ ინფორმაციის არ ფლობს და უბრალოდ სარგებლობს მეცნიერებით. ამაგდროულად, "საქსტატი" იძლევა ინფორმაციას, რომ 2007 წელს საქართველოს სასტუმროებში დასაქმებული იყო სულ 3955 ადამიანი, ხოლო 2008 წელს – 4237(!). იგივე "საქსტატი" დასაქმების სხვა მონაცემსაც აქვთნებს: სასტუმროებსა და რესტორნებში 2007 წელს დასაქმებული იყო 11554 ადამიანი, 2008 წელს – 11184 და 2009 წელს – 9435 ([www.geosatstat.ge](http://www.geosatstat.ge)).

ამრიგად, ეროვნული ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რეალური რაოდენობის დადგენა მიახლოებითაც კი შეუძლებელია.

აბსოლუტური გაუგებრობაა ტურიზმის ეკონომიკურ პარამეტრთა განსაზღვრაში. ასე მაგალითთაც, "საქსტატი" ტურიზმის წილს მშპ-ში ვერ ითვლის, რადგან საქართველოს ეკონომიკის სექტორების ნუსხაში - "მოგზაურობა და ტურიზმი", საერთოდ არაც ცალკე გამოყოფილი. არის მხოლოდ ცალ-ცალკე "სასტუმროები და სხვა

მოქლევადიანი საცხოვრებელი ადგილები”, “რესტორნები, ბარები და სასადილოები” და “სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა”. “საქსტატოან” კრთად ჩატარებული მოქლევისას ამ სამი სექტორის შეჯამებით მიმდინარე ფასებით პირობითად - “ტურიზმის” წილი მშპ-ში 2006 წელს აღმოჩნდა 3.45%, ხოლო 2007 წელს - 3.09%-ს, რაც ასევე არ ემთხვევა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებს (3.98% და 3.86%).

უფრო გაუგებარი ვითარებაა მომსახურების ექსპორტში ტურიზმის წილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მომსახურებების ექსპორტ-იმპორტში, “საქსტატოსაგან” განსხვავებით, მომსახურების სფეროებს შორის ფიგურირებს “ტურიზმი” და 2007 წლის “საქართველოს საგადასახლელო ბალანსში” დაფიქსირებულია, რომ ტურიზმის წილი მომსახურების ბალანსში დადებითია და 208 მლნ დოლარს შეადგენს (გვ. 21). ასევე, აღნიშნულია, რომ ტურიზმის წილმა მომსახურების ექსპორტში, 2006 წელთან შედარებით, 22.8%-ით მოიმატა და 35.1%-ს გაუტოლდა (გვ. 23). ეს მონაცემიც საგრძნობლად განსხვავდება ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემისაგან (26%), რომლის წყაროც ასევე ვერ იქნა მოძიებული.

სხვათა შორის, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშებშიც, საქართველოს შესახებ ბოლო მონაცემები ტურიზმიდან 2007 წლის შემოსავლებს განეკუთვნება და შეადგენს 384 მლნ დოლარს (UNWTO World Tourism Barometer, Volume 7, January 2009). რატომდაც, 2005 წლის შემდეგ საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობას და 2007 წლის შემდგომ ტურიზმიდან შემოსავლების მონაცემებს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია აღარ აქვეყნებს (სავარაუდოდ ამ მონაცემთა არასანდონობის გამო).

უნდა ითქვას, რომ რიგი საკუთარი მონაცემის შემუშავებისას, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ეყრდნობა საკუთარ მარკეტინგულ კვლევებს, რასაც ძირითადად სტიქიური და ფრაგმენტული სასიათო აქვს. ასე მაგალითად, დეპარტამენტის მიერ 2007 წლის მაისის თვეში თბილისის აეროპორტში საერთაშორისო მოგზაურთა გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მათი დღიური დანახარჯი საქართველოში ყოფნისას შეადგენდა 181 დოლარს, ხოლო მთლიანიძანას-

არჯი - 1 166 დოლარს. ამ და ამდაგვარი კვლევების საფუძველზე რაიმე განმაზოგადებელი დასკვნების გამოტანა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებზე, რბილად რომ ვთქვათ, – არაკომპლექტურია. მართალია, რიგი მარკეტინგული კვლევისა ტარდება დაკვეთით კომპანიების BCG Research, IPM-Research და სხვ. მიერ, მაგრამ ამასაც ასევე არასისტემატური და ფრაგმენტული ხასიათი აქვს. სავარაუდოდ, ეს კომპანიები მზად იქნებოდნენ მუდმივი და ფუნდამენტური კვლევები ეწარმოებინათ (რადგან ეს თავად დეპარტამენტს არ ძალუმს), თუ ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. მაგრამ დარგის ეკონომიკური პარამეტრების დადგენა ამგვარი კვლევებით დღეისათვის მიუღებელია და გასული საუკუნის გადმონაშოთ წარმოადგენს.

საკუთრივ მარკეტინგულ კვლევებს რაც შეეხება, მარკეტინგული აქტივობა და მუდმივი კვლევები უნდა შეადგენდეს ტურიზმის აღმინისტრირების უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ნაწილს. თუმცა, სტრატეგიული და ოპერატიული მარკეტინგის გეგმა საერთოდ არაა შემუშავებული; ჩატარებული იშვიათი კვლევები და გამოკითხვები ვერ აკმაყოფილებს E (Essential) კოდის მოთხოვნებსაც კი; მოპოვებული მწირი მასალაც კი არ ანალიზდება და არ მიეწოდება არც დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურებს და არც სხვა დაინტერესებულ მხარეებს (საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს); საერთოდ არ ხდება ტურიზმის მარკეტინგსა და რეკლამაზე დახარჯული სახელმწიფო სახსრების ROI-ის (Return Of Investment) განსაზღვრა, რის გამოც უცნობია ამ სახსრების ხარჯების ფინანსურული და სხვ.

ამ ნაკლოვანებებს სერიოზული შეფასება მისცა აშშ-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსა და კომპანია SW Associates LLC-ის ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფმაც, რომელმაც 2007 წელს თავის საბოლოო ანგარიშში დააფიქსირა, რომ: “ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი უნდა ასრულებდეს გადაწყვეტ როლს ტურიზმის ინდუსტრიისათვის ბაზრისა და ეკონომიკური ზეგავლენის კვლევების შედეგების მიწოდებაში. ინდუსტრიას არა აქვს ამგვარი კვლევების თავად განხორციელების საშუალება. კვლევის გეგმის, როგორც ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის გრძელვადიანი ამოცანის შემუშავება, დაწყებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ” (საბოლოო ანგარიში, გვ. 39).

თუმცა, ექსპერტთა ეს რეკომენდაციაც - ქაღალდზე დარჩა.

უოველივე ზემოხსენებულმა, ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ეროვნული ტურიზმის ზუსტი ეკონომიკური პარამეტრების დადგენა და გაანალიზება, რის გამოც დღეისათვის ეროვნული ტურიზმის რეალური მოცულობა, მისი წილი ქვეყნის მშპ-სა თუ მომსახურების ექსპორტში და საერთოდ ტურიზმის სარგებლიანობა ეროვნული ეკონომიკისათვის, დაუდგენელია!

ტურიზმის ეკონომიკური პარამეტრების ზუსტად დადგენის მიზნით, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ჯერ კიდევ 1999 წელს რეკომენდებულ იქნა ტურიზმის ე.წ. „სატელიტური“ ანგარიშის (TSA) დანერგვა, რომლის გარეშე დღეისათვის ფაქტიურად შეუძლებელია ტურისტული საქმიანობის ეკონომიკაზე ზემოქმედების შეფასება და საონადო ანალიზის ჩატარება (UNWTO, OECD and EUROSTAT, Tourism Satellite Account, UNSC, 2000). სწორედ სატელიტური ანგარიში იძლევა ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების ზუსტი განსაზღვრის საშუალებას, როგორიცაა: მოგზაურობასა და ტურიზმზე საერთო მოთხოვნა, ამ მოთხოვნის ზრდის ტემპი; მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკის მშპ; უშუალოდ მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მშპ, მისი ზრდის ტემპი; დასაქმება მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკაში, დასაქმება უშუალოდ მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში, მისი ზრდის ტემპი; კაპიტალური ინფესტიციების ოდენობა მოგზაურობასა და ტურიზმში, მისი ზრდის ტემპი და ა.შ. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, დღეისათვის გაერო-ს მიერ მიღებული ტურიზმის სტანდარტული ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების საშუალება – ტურიზმის სატელიტური ანგარიში, დანერგილია მსოფლიოს 200-მდე ქვეყანაში (WTTC, Progress and Priorities, 2008/2009, Vision 1, Economic Highlights).

ტურიზმის სატელიტური ანგარიში საქართველოში დღემდე არაა დანერგილი, რისი მნიშვნელობაც, ეროვნული ტურიზმის მენეჯერთ არა აქვთ გაცნობიერებული. რეალურად ამ ანგარიშის დანერგვა არც თუ ისე დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, საჭიროებს მცირეოდენ დაფინანსებას და უბრალო მონდომებას. ასე მაგალითად, კვლევის პროცესში „საქსტაგმა“ მოკლე დროში, საკუთარი ინიციატივით შეძლო ტურიზმის სატელიტური ანგარიშის

საცდელი ვარიანტის მომზადება.

ამრიგად, საქართველოს ტურიზმის სექტორში არსებული ვითარების დატალიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ დღეისათვის შეუძლებელია ტურიზმის წვლილის განსაზღვრა ეროვნულ ეკონომიკაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რეალურად არ ხდება ეროვნული ტურიზმის ზუსტი ეკონომიკური პარამეტრების დადგენა და შესაბამისად - მისი გაანალიზება.

უოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად ბოლო წლების მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებისა სამოქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფის საქმეში, ეროვნული ტურიზმის განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო ასარეზზე მოითხოვს მეტ პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას. ბრძანდ და რეალური ეკონომიკური სურათის ცოდნის გარეშე ტურიზმის, ისევე როგორც ეკონომიკის ნებისმიერი სხვა დარგის, პრიორიტეტიად აღიარება, არასწორია და შესაძლოა, ნაცვლად ეკონომიკური ზრდისა, საპირისპირო შედეგი გამოიღოს. იმას კი, რასაც დღეს ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას უწოდვა ბენ (სავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა, ელექტრო და წყალმომარაგების ნორმალიზება, კომუნიკაციების გაფართოვება და სხვ.) რეალურად წარმოადგენს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ეს კი ტურიზმის განვითარების მხელოდ ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია და არა განმაპირობებელი, ისეთივე ხელშემწყობი ფაქტორი, როგორიცაა: ადამიანური რესურსები, საგარეო გაჭრობაში ქვეყნის გასსინილობის ხარისხი, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გითარება, დაცულობა და უსაფრთხოება და სხვ.

დაბოლოს, თუ ჩვენს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ტურიზმის გეგმაზემიერი განვითარება და ამით ქვეყნის ეკონომიკაში რეალური წვლილის შეტანა, ასევე მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, მაშინ დაუყოვნებლივ განსახორციელებელი უმნიშვნელოვანების ამოცანაა ტურიზმის სტატისტიკური ინფორმაციისა და ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე სისტემების, მათ შორის, ტურიზმის სატელიტური ანგარიშის დანერგვა.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოთავაზებული სტრატეგიული ამოცანების განხორციელების დაუყოვნებლივ დაწყება,

რათა მსოფლიო ეპონომიკური კრიზისის დასრულებისა (2010 წლის მეორე ნახევარი - მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით) და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის მომენტს საქართველოს ტურიზმის სექტორი შეხვდეს სათანადო მზადყოფნით.

### For the Issue of the Role and Place of Tourism in the Georgian Economy

Maya Margvelashvili

Within context of renewed interest in economic growth comes increasing interest in the role that tourism plays in promoting growth. Empirical evidence clearly demonstrated that a range of countries that were highly dependent on tourism had achieved considerable increases in income and growth. In this context, it was conducted research of existing situation in the National Tourism sector and its role in country's economic growth.

Detailed study of situation in the Georgian Tourism sector revealed, that it is impossible to determine Tourism contribution to the national economy, because nobody is calculating and analysing Travel & Tourism Demand, Travel & Tourism Economy GDP, Travel & Tourism Direct Industry GDP, Travel & Tourism Direct Industry Employment, Travel & Tourism Capital Investment, etc. Thus, despite positive movement for the recent years in developing civil and tourism infrastructure, the national tourism development and increasing its competitiveness in the international level demands more professionalism and competence. Finally, provided some recommendations.

### სამთხუამონი მომსახურების მიზანი

მომხმარებელთა დამოკიდებულების  
მარკეტინგული კვლევა

### ნუგარ მოძვა

ივანეგანიშვილის სახელობის  
თსუ სრული პროფესორი,  
დინარა ლომინაძე  
თსუ დოქტორანტი

მომხმარებელთა ქცევის სხვადასხვა ასპექტის კვლევას მარკეტინგში უმნიშვნელოვანები როლი ენიჭება.<sup>1</sup> უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით, XX საუკუნის შუასანებიდან მოყოლებული, უცხოელი მკვლევარები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევებისადმი. ერთ-ერთი ასეთი ადრეული ნაშრომია რ.შულერის სტატია, რომელიც მომხმარებლებზე პროდუქტის დამამზადებელი ქვეყნის კვექტის გავლენას შექმნა.<sup>2</sup> პ. ბარკსდალემ და ვდარდენმა ასევე პირველებმა შეისწავლეს მარკეტინგული დონისძიებებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების საკითხები აშშ-ში.<sup>3</sup> მსგავსი კვლევები აგსტრალიასა და პონკონგში ჩატარეს კვიმ და გ. ჩანმა.<sup>4</sup> გ. შიმპმა და ს.შარმამ შეისწავლეს მომხმარებელთა ეთნოცენტრიზმი და მისი გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Энджели Дж.Ф., Брукэлл Р.Д., Миниард Т.Н. Поведение потребителей. 8-е изд.: Пер. с англ. – СПб: Питер Ком, 2000, с. 41.

<sup>2</sup> Schooler, Robert D. (1965). Product bias in the Central American Common Market. Journal of Marketing Research, 4 (November): 94-97.

<sup>3</sup> Barksdale,H.C.,Darden,W.R.(1972). Consumer attitudes toward marketing and consumerism. Journal of Marketing, Vol. 36 No.October, pp.28-35.

<sup>4</sup> Wee,C.H., Chan, M. (1989). Consumer sentiment towards marketing in Hong Kong. European Journal of Marketing, Vol.23 No.4, pp.25-39.

<sup>5</sup> Shimp, T., Sharma, S. ( 1987). Consumer ethnocentrism: construction and validation of the CETSCALE. Journal of Marketing Research, 24, 280-9.

ურად შეისწავლება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ლაგუდმა და პ. პადლესტონმა დაადგინეს პოლონელი და რუსი მომსმარებლების ეთნოცენტრული ტენდენციები და მათი ცვლილება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.<sup>1</sup> ჯ. ენდრიუსმა სხვებთან ერთად გამოიკვლია რეკლამისადმი მომსმარებლების დამოკიდებულება რუსეთში და შეადარა იგი აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებლებს.<sup>2</sup> ჯ.ვონდორმა და ი. აკიმოვამ დაადგინეს რეკლამის მიმართ რუსი და უკრაინელი მომსმარებლების ერთნაირი დამოკიდებულება, რომელიც მსგავსი ისტორიული და კულტურული გარემოთია განპირობებული.<sup>3</sup> დ.ჰეტროვიჩმა სხვებთან ერთად აჩვენა რუსინელ და ბულგარელ მომსმარებლებს შორის რეკლამისადმი განსხვავებული დამოკიდებულება.<sup>4</sup> რ. ვაგნერმა შეისწავლა მარკეტინგული საქმიანობის ინსტრუმენტები რუსეთში და შეადარა იგი საერთაშორისო მაჩვენებლებს.<sup>5</sup> საკმაოდ საინტერესო კვლევები ჩაატარეს აგრეთვე ახალ ზელანდიაში ს. ლისონკიმ,<sup>6</sup> ჩინეთში თ. ჩანმა და გ.სუიმ<sup>7</sup> და სხვებმა.

მომსმარებელთა ქცევის კვლევა შედარებით ახალია საქართველოში. ა.აპილმა, ე.ქაინაქმა და ნ.თოლეუმ შეისწავლეს ქართველი მომსმარებლების დამოკიდებულება უცხოური პროდუქციისადმი და დაადგინეს, რომ მომსმარებლების მიერ

<sup>1</sup> Good, L.K., Huddleston, P. (1995). Ethnocentrism of Polish and Russian consumers: are feelings and intentions related? International Marketing Review, 12, 5, 35-48.

<sup>2</sup> Andrews,J. et.al.(1994). Testing the cross-national applicability of US and Russian advertising belief and attitudes measures. Journal of Advertising, Vol.23, No.1, pp.71-82.

<sup>3</sup> VonDorn,J.,Akimova,I. (1998). Advertising in Ukraine: Cultural perspective. International Journal of Advertising. Vol.17, No. 2, pp.189-211.

<sup>4</sup> Petrovici, D., Marinova, S., Marinov, M., Lee,N.(2007). Personal uses and perceived social and economic effects of advertising in Bulgaria and Romania. International Marketing Review, Vol.24, No. 5, pp. 539-562.

<sup>5</sup> Wagner, R. (2005). Contemporary marketing practices in Russia. European Journal of Marketing. Vol.39, No.312, pp.199-215.

<sup>6</sup> Lysonski, S., Dursulava, S., Watson, J. (2003). Should marketing managers be concerned about attitudes towards marketing and consumerism in New Zealand? A longitudinal view. European Journal of Marketing. Vol.37, No.3/4, pp.385-406.

<sup>7</sup> Chan,T.S., Cui G. (2004). Consumer attitudes toward marketing in a transitional economy: a replication and extension. Journal of Consumer Marketing. Vol. 21, No.1, pp.10-26.

ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა<sup>1</sup>. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე ნაკლებადა შეისწავლილი მომსახურების ცალკეული სახეობის მიმართ ქართველი მომსმარებლების დამოკიდებულების საკითხები, რაც კვლავაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს.

მომსახურების სფერო თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით 80% მოდის მომსახურების სექტორზე<sup>2</sup>. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წლისათვის მსოფლიო მომსახურების ექსპორტმა 3.7 ტრლნ დოლარი შეადგინა.<sup>3</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების ბაზრის შეისწავლა მეცნიერთა დიდ დაინტერესების იწვევს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა მომსახურების მარკეტინგის აღიარებული ავტორიტეტების დ.კოუელის,<sup>4</sup> კ.გრენბროოსის,<sup>5</sup> ე.გამესონის,<sup>6</sup> მ.ბიტნერის<sup>7</sup> და სხვათა შრომები. მომსახურების სფეროში განსაკუთრებული აღგილი უკავია ჯანდაცვას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

საქართველოში, სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისა და საბაზრო მექანიზმების ფორმირებასთან ერთად, ჯანდაცვის ორგანიზაციების უმეტესობა აღმოჩნდა არაკონკურენტუნარიანი და, შესაბამისად, ისინი მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ცხადია, რომ საზოგადოებრივი ცხოველების ცვლილებებიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს ჯანდაცვის სისტემის

<sup>1</sup> Apil.A, Kaynak. E., Todua N.. Georgian Consumers Evaluation of Products Sourced From a Geographically Close Proximity Country. USA. Journal of Euromarketing, 2008, Vol. 17, Issue:3/4, pp.199-218.

<sup>2</sup> [www.grebennikon.ru/article-e6cW-113.html](http://www.grebennikon.ru/article-e6cW-113.html)

<sup>3</sup> [www.wto.org/english/news\\_e/pres09\\_e/pr554\\_e.htm](http://www.wto.org/english/news_e/pres09_e/pr554_e.htm)

<sup>4</sup> Cowell, D. (1884). The Marketing of Services, London: Heinemann.

<sup>5</sup> Gronroos C. Services Management and Marketing-West Sussex, 2000.

<sup>6</sup> Gummesson,E.The Marketing and Purchasing of Professional Services, Stockholm.- Marketitng Technology Center,1977.

<sup>7</sup> Bitner M., Zeithaml V.Services Marketing.-Massachusetts,1996.

მოქმედებაც, რაც აუცილებლად მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობას საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ჯანდაცვის სისტემა საქართველოში ნაკლებადაა ორიენტირებული ბაზარზე მიმდინარე მოვლენებზე. ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ არ ხდება ბაზრის სისტემური ანალიზი და მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა. ამიტომ, აუცილებელია კლიენტთა მოლოდინისა და სურვილების გაგება მარკეტინგული კვლევების საფუძველზე. ასეთი კვლევის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ კრიტერიუმები, რომლებსაც მომხმარებლები სამედიცინო მომსახურების შეძენისას ეყრდნობან. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო მომსახურებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების გამოვლენა.

საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მიმდინარე პროცესების შესასწავლად 2009 წელს ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის კვლევის ჯგუფის განსაზღვრა. ასეთი მიღომის მიზანშეწონილობა აიხსნება კვლევის თავისებურებით, კერძოდ, საერთო სტრატიულიცირებული შერჩევიდან აუცილებელია იმ ფენების გამოყოფა, რომლებიც დაინტერესებული არიან ფასიანი სამედიცინო მომსახურების შეძნით. ამისათვის კი საჭიროა ამ ფენებს შორის პროცენტული და რაოდენობრივი თანაფარდობის დადგენა. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა რეპრეზენტაციულობის მეორდის გამოყენების აუცილებლობა. ამისათვის ვისარგებლეთ სტრატიულიცირებული შერჩევით. როგორც ცნობილია, სტრატიულიცირებული შერჩევა წარმოადგენს გენერალური ერთობლიობის ელემენტების გარდაქმნას სხვადასხვა სახობის ერთგაროვან ფენებად.<sup>1</sup> ჩვენს შემთხვევაში ესაა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გამოყოფა, რომლის მიზანია შერჩევის რეპრეზენტაციულობის დაცვა. ამ მახასიათებლის მიხედვით ჩატარდა მოსახლეობის დაჯგუფება. შემდგომ, თითოეული ჯგუფის მოცუ-

<sup>1</sup>Черчилль Г., Браун Т. Маркетинговые исследования. 5-ое изд. / Пер. с англ. СПб.: Питер, 2007, с.421.

ლობის პროპორციულად, მოვახდინეთ ამონაკრების ფორმირება ისეთნაირად, რომ იგი რეპრეზენტაციული ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ ფასიანი სამედიცინო მომსახურების მოხმარების მონაცემები არ იქნებოდა სარწმუნო.

ამონაკრების მოცულობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ მექანიკური შერჩევის მეთოდი, რომლითაც ამონაკრების რაოდენობა (n) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:<sup>1</sup>

$$n = \frac{t^2 \times \delta^2 \times N}{t^2 \times \delta^2 + \Delta^2 \times N},$$

სადაც  $t$  არის ნორმირებული გადახრა, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება სტატისტიკურ ცხრილში მოცემული სანდო ალბათობის მიხედვით,  $\delta^2$  არის დისპერსია,  $\Delta$  - შერჩევის ცდომილება (შეცდომა),  $N$  - გენერალური ერთობლიობის რაოდენობა.

რაც შეეხება სანდოობის დონეს, მარკეტინგული კვლევის ჩატარებისას, ჩვეულებრივ, განიხილება მისი ორი მნიშვნელობა: 95 % ან 99 %. ჩვენ ავიდეთ 95 %-იანი სანდო ალბათობა, შესაბამისად,  $t = 1,96$ .<sup>2</sup>

დისპერსია განისაზღვრება ექსპერიმენტის, მეორადი მონაცემების, საცდელი კვლევის ან ანალოგიური კვლევის საფუძველზე. ჩვენს შემთხვევაში ამონაკრები ახლად ფორმირდება, ამიტომ დისპერსია უცნობია და ვიყენებთ მის საგარაულო მნიშვნელობას. ცნობილია, რომ უდიდეს ვარიაციას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა გენერალური ერთობლიობის ერთი ნახევარი (50 %) მოიხმარს მოცემულ პროდუქტს, ხოლო მეორე ნახევარი (50 %) – არა.<sup>1</sup>

შედეგების საიმედოობის დადგენისათვის გამოვიყენეთ მარკეტინგულ კვლევებში მიღებული შეფასების სისტემა. კერძოდ, მაღალი საიმედოობა უშვებს ამონაკრების შეცდომას 3 %-მდე,

<sup>1</sup>Беляевский И., Кулагина Г., Коротков А. Статистика рынка товаров и услуг. – М.: Финансы и статистика, 1995, с. 120.

<sup>2</sup>Малхотра, Нэреш К. Маркетинговые исследования.. Практическое руководство, 3-е издание.: Пер. с англ. – М.: Издательский дом ‘Вильямс’, 2003, с. 449.

ჩვეულებრივი – 3-დან 10 %-მდე, მიახლოებული – 10-დან 20 %-მდე, საორიენტაციო - 20-დან 40 %-მდე.<sup>2</sup> ჩვენს შემთხვევაში ცდომილება არის 4 %.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, აგრეთვე, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ სამედიცინო მომსახურების მირითადი მომხმარებლები საქართველოში 20 წელს გადაცილებული მოსახლეობაა, რომელთა რაოდენობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არის 2784 ათასი ადამიანი<sup>3</sup>, ამონაკრების მოცულობა ჩვენს შემთხვევაში იქნება 601 ადამიანი.

მარკეტინგული კვლევის პრაქტიკა აჩვენებს, რომ დარიგებული ანგების გარკვეული ნაწილი (დაახლოებით მესამედი) არ პრუნდება.<sup>4</sup> ამიტომ, მარკეტინგული კვლევის მეორე ეტაპზე დარიგდა 800 ანკეტა. დაბრუნებული ანკეტებიდან 13-ზე უარი იყო ნათქვამი სოციალური კატეგორიისადმი მიკუთვნებაზე. ასეთი ანკეტები არ იქნა გათვალისწინებული კვლევისას და, შესაბამისად, ამონაკრები შეადგენდა 668 ადამიანს. მათ შორის მამაკაცი იყო 194, ხოლო ქალი – 474, რომლებიც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას წარმოადგენენ.

ბუნებრივია, გამოკითხულთა უმრავლესობა (77%) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას ყველაზე მნიშვნელოვნად ექიმის კონსულტაციას თვლის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემების წარმოქმნისას, რესპონდენტთა ნაწილი (15,8%) ექიმის კონსულტაციაზე მეტად საკუთარ გამოცდილებასა და ახლობლების რჩევებს უყრდნობა. გამოკითხულთა მცირე რაოდენობა (4,6%) კი სამედიცინო ლიტერატურის გაცნობით ცდილობს პრობლემების მოგვარებას, რაც, საგარაუდოდ, მსუბუქი დაავადებების შემთხვევებს ეხება. მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა (2,6%) ვერ ახერხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების

<sup>1</sup> Голубков Е. П. Маркетинговые исследования: теория, методология и практика.

- М.: Издательство «Финпресс», 1998, с. 223.

<sup>2</sup> Ядов В. Социологическое исследование: методология, программа, методы. - М.: Наука, 1995, с. 72.

<sup>3</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>4</sup> Беляевский И. К. Маркетинговое исследование: информация, анализ, прогноз: Учеб. пособие. - М.: Финансы и статистика, 2001, с. 53.

გადასაწყვეტად უპირატესობის მინიჭებას.

საქმიან საინტერესოა რესპონდენტთა პასუხები ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული ბრძოლის ხერხებთან მიმართვბით. ადსანიშნავია, რომ ქართველი მომხმარებლები ჯანმრთელობის გაუმჯობესებას სხვადასხვა საშუალებითა და ხერხებით ცდილობენ და იშვიათად, სავარაუდოდ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ექიმს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ავადმყოფობისას ახლობლების ჩარევა და მათი კონსულტაცია, დასახელებული პასუხების სიხშირის გათვალისწინებით, რესპონდენტების ჩვევად შეიძლება ჩაითვალოს. სხვადასხვა დაავადებისას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (61,5%), ძირითადად, ახლობლებს მიმართავს, კერძოდ, გამოკითხულთა 24,9% ყველაზე მეტად ეკონტაქტება ოჯახის წევრებს — 20,2%—მეგობრებსა და თანამშრომლებს - 16,4%.

ექიმთან მიმართვიანობას პრივილეგიას ანიჭებს 13,7%. თუმცა, მათი ძირითადი რაოდენობა (56%) ექიმს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დროდადრო, მიმართავს. რესპონდენტთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დახმარებისთვის უმეტესად მოძვარს მიმართავენ. რელიგიური მსახურების დახმარებით განტურნებას გამოკითხულთა მეათედი - ხშირად, ხოლო 11,7% გარკვეული პერიოდულობით ცდილობს. რესპონდენტთა მცირე რაოდენობა (8,6%) თვლის, რომ ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება უპირატესად ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, კვების რაციონის შეცვლით ან დიეტით არის შესაძლებელი. კვლევის შედეგად დაფიქსირდა საგმაოდ საინტერესო ფაქტი, რომ სხვადასხვა დაავადებისას აღკოპოლს და ნარკოტიკს მიმართავს ქართველი მომხმარებლების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა (2,5%).


რაც შეეხება ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით მიმართვის სიხშირეს, ქართველი მომხმარებლები ყველაზე ხშირად მიმართავენ ოჯახის წევრებს (58,7%). დროდადრო მიმართვის პოზიციაში წამყვანია ექიმები (30,4%), მეგობრები (21,9%) და ოჯახის წევრები (17,4%). იშვიათად მიმართვის შემთხვევაში წამყვანი პოზიცია აქვთ მეგობრებს და თანამშრომლებს (შესაბამისად, 21,3%), შემდეგ აღგილზეა მოძვარი (12,2%), ხოლო ექიმები და საჭმელი თანაბარ პოზიციაშია (დაახლოებით 11%). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღკოპოლისა და ნარკოტიკისადმი ქართველი მომხმარებლების მიმართ დაკავშირებული არიან უმნიშვნელო რაოდენობა (1,4%).

ბლების მიმართვის სიხშირე ყველა პოზიციაში უმნიშვნელო

საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება წლის განმავლობაში ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად დახარჯულ თანხებშიც აისახება. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 75% კონკრეტული საჭიროებისთვის წლის განმავლობაში მინიმალურ ოდენობას, მხოლოდ 100-200 ლარს ხარჯავს. უფრო მეტიც, მათ შორის, უმრავლესობის დანახარჯი 100 ლარს არ აღემატება. 500 ლარამდე ოდენობის თანხას ასახელებს რესპონდენტთა 15,6%. სამედიცინო სფეროში 1000 ლარამდე და ზევით დანახარჯებზე მიუთითებს მცირე რაოდენობა, დაახლოებით 7%. საქმაოდ უმნიშვნელოა იმ ადამიანთა რაოდენობა (1,9%), რომელებიც ვერ ასახელებენ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ თანხებს.

რესპონდენტთა პასუხებს სამედიცინო დაწესებულებებში  
მიმართვასთან დაკავშირებით, ექიმთან ვიზიტის დასახელებული  
მიზეზებიც ადასტურებს (იხ.დიაგრამა). როგორც მოსალოდნელი  
იყო, რესპონდენტები სამედიცინო დაწესებულებებს, ძირითადად,  
სამკურნალოდ და სხვადასხვა სახეობის გამოკვლევისთვის მიმარ-  
თავენ. ამიტომ, მოცემული კვლევის მიზანი იყო, დასახელებულ  
საჭიროებასთან ერთად, გამოგვევლინა პროფილაქტიკური და სხვა  
სახეობის გასინჯვა-დათვალიერებისათვის მიმართვის სიხშირე. კვ-  
ლევამ აჩვენა, რომ პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება რე-  
სპონდენტებში არააქტუალურია და ამგვარ მომსახურებას მხოლოდ  
7,5% იყენებს. სხვადასხვა სახეობის გასინჯვა-დათვალიერებას  
რესპონდენტების 5,8% იტარებს, რაც, სავარაუდოდ, ჯანმრთელობის  
პროცედურების წარმოქმნას ერთვის თან.

ქართველი მომსმარებლების მიერ ჯანდაცვაში თანხების გამეტების გამოვლენის მიზნით, რესპონდენტებს ვთხოვთ გა-დაენაწილებინათ 1000 დოლარის ოდენობის ნაჩუქარი ან ნა-პოვნი თანხა სხვადასხვა საჭიროებისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ მეათედმა ნაწილმა დაასახელა ჯანდაცვა და განათლება. რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად თანხა გადაანაწილეს საყიდლებისთვის (17,7%), საცხოვრებელი ბი-ნის რემონტისა (13%) და სამოგზაუროდ (14,7%). რესპონდენტთა მცირე რაოდენობამ დაასახელა აზარტული თამაშები, გართობა და კვება. ოუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გართობისთვის თანხის გამოყ-



ზერელე დამოკიდებულება, რაც სამედიცინო დაწესებულებების მიმართ დაბალი ხდობისა და ეკონომიკური პრობლემების გარდა, რასაც წლების განმავლობაში სამედიცინო სფეროს მიმართ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი იწვევს, ზოგადად, ცხოვრების წესიდან და ტრადიციული მიღვმოდან გამომდინარეობს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო მომსახურების ბაზარი საქართველოში ფორმირების პროცესშია და ქართველი მომხმარებლების ქცევა ასეთ ბაზარზე საკმარ თავისებურებით ხასიათდება, რაც სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა გაითვალ-

ისწინონ პაციენტთა მოზიდვისა და კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად.

### **Marketing research of Customer Attitude Towards Medical Service**

**N.Todua, D.Lominadze**

financial resources of the company; skills to develop and manage the human resources (talents) of the company. The following four competences appeared to be of high-priority across Europe: analysis of the problems of the company, structuring and problem-solving skills; learning skills, e.g. how, when and where personal development is necessary; writing in, speaking, reading and understanding a foreign language; determining and using adequate instruments (e.g. market analysis, statistical analysis, comparative coefficients).

Despite the differences, the comparison of the survey results in Europe, Georgia and Latin American countries show a convergence in understanding the priorities of educational programmes by four groups of stakeholders of higher education: academic personnel, students, graduates and employers. For example, these priorities for the business education must be the formation of skills to identify corporate problems and use adequate instruments in the decision-making process (operational, tactical and strategic planning skills; accounting and financial information interpreting skills; market analysis; statistical analysis; project management). The research results prove that students are the ones who have a better intuitive understanding of labour market demands and the types of competences that ensure competitiveness. According to the research findings, the importance of competences is higher than the level of their acquisition in educational institutions. This gap is especially visible regarding the skill to use knowledge in practice and the level of forming this skill.

Competitive educational programmes should be designed based on the following principles: the definition of the programme profile and competences formed as a result of learning; the implementation of a learning-teaching evaluating approach; determining the load for students: constant insurance of quality; encouraging the mobility of students and academic personnel for the purpose of gaining international experience; taking students' opinions into consideration in the process of designing the programme; increasing the role of internships in the curriculum; the organization of consultations between academic personnel and employers in order to bring their opinions closer; the involvement of study courses in curricula necessary for the formation of first-priority competences in Europe and the whole world.

The main impact of the Bologna process on the management of edu-

cational programmes and higher education as a whole is the increase of co-operation on the methods of evaluation, the concept of performance-based outcomes, consensus about the question of higher education, the legitimization of the educational system by all parties involved and deeper integration among participating countries.

#### References

1. Support of educational structures in Europe. Contribution of universities in the Bologna process. Final report. Pilot project – phase 2. Tbilisi 2008;
2. Tuning Latin America. Reflections on and Outlook for Higher Education in Latin America. Final Report – Tuning Latin America Project 2004-2007, Edited by Pablo Benetone, Cesar Esquetini, Julia Gonzalez, Maida Marty Maleta, Gabriela Siufi, Robert Wagenaar. Printed in Spain 2007;
3. Summary of Outcomes – Business. Business Groups. [http://tuning.unideusto.org/tuningeu/images/stories/template\\_Template\\_Business.pdf](http://tuning.unideusto.org/tuningeu/images/stories/template_Template_Business.pdf). Last retrieved August 29-th, 2009
4. Subject Specific Competences, Business administration.; prepared by Volker Gehmlich and Peder Ostergaard [http://tuning.unideusto.org/tuningeu/images/stories/key\\_documents/SAG%20-%20BUSINESS.pdf](http://tuning.unideusto.org/tuningeu/images/stories/key_documents/SAG%20-%20BUSINESS.pdf) ; Last retrieved August 2009
5. Materials of Tuning Dissemination Conference II. Competence-based learning: the approach for the future? Brussels, June 12-13 2008;
6. Materials of conference “Tuning-Georgia” organized within the framework of the Tuning project ; Feb-28-2009; Tbilisi Georgia;
7. [Public Discussion as the Exploration & Development of Contrasting Conceptual Possibilities](http://www.interactivityfoundation.org/about-if) (Gundersen, Stern, ed., 2006); <http://www.interactivityfoundation.org/about-if>. Last retrieved February 2010;
8. [Contrasting Possibilities and the Interactivity Foundation Discussion Process](http://www.interactivityfoundation.org/about-if) (Gundersen, 2<sup>nd</sup> edition, 2009) an IF White Paper; <http://www.interactivityfoundation.org/about-if>. Last retrieved February 2010;
9. [An Overview of the IF Discussion Process – 3 stages](http://www.interactivityfoundation.org/about-if) (Prudhomme, 2009); 2 pages <http://www.interactivityfoundation.org/about-if>. Last retrieved

March 2010.

ცვლილებების მიმართულებები უმაღლესი განათლების  
მენეჯმენტსა და კურსეულუმის განვითარებაში

## 05 ნაცვლიშვილი

უმაღლესი განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯმენტზე ბოლონიის პროცესის გავლენის შესახებ ავტორისეული დასკვნები ეფუძნება აშშ-სა და ევროკავშირის აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად განხორცილებული ორი კვლევითი პროექტის შედეგების ანალიზს. კვლევითი პროექტები ავტორის თანამონაწილეობით განხორციელდა ე.წ. თუნინგის პროექტის ფარგლებში და აშშ-ში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მენეჯმენტის დეპარტამენტში ფონდ “Interactivity Foundation”-ის სპეციალური პროექტის “სწავლების მეთოდები აღმოსავლეთ ევროპაში-პოლიტიკის შესაძლებლობები საჯარო განხილვისათვის” ფარგლებში.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა ევროპაში უმაღლესი განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მართვაში განსახორციელებელი აუცილებელი ცვლილებების ძირითადი მიმართულებები: ა) ბოლონიის პროცესის მიერ ერთიანი ევროპის პროექტის განხორციელებისათვის ხელისშეწყობა მართვის ფილოსოფიისა და საგანმანათლებლო პროგრამების პარმონიზაციის მეშვეობით; ბ) საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურებისა და უმაღლესი განათლების მმართველი ორგანოების მიერ აუცილებელი ცვლილებების წამოწევება და განხორციელება; გ) საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით გადახალისება; დ) სწავლის შედეგებზე და ინტერაქტიულ სწავლებაზე ორიენტირება; ე) ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

უმაღლესი განათლების მართვაში ბოლონიის პროცე-

სის გავლენით განსახორციელებელი ცვლილებების მთავარი მიმართულებებია: ა) ხარისხის შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხებზე ურთიერთობანაშრომლობის გაზრდა; ბ) მიღწეული შედეგების კონცეფცია; გ) უმაღლესი განათლების მართვის პრობლემატურ საკითხებზე კონსესუსის მიღწევა; დ) საგანმანათლებლო სისტემის ლეგიტიმაცია ყველა მხარის მიერ; ე) ევროპის კონკურენტულ საკითხებზე ჩართულ ქვეყნებს შორის უფრო ღრმა ინტეგრაცია.

## ენციკლოპედიური ნაშრომი

თანამედროვე საქართველო იმყოფება თავისი მრავალსაუკუნოები ისტორიის ერთ-ერთ უძმიდეს ხანაში: მისი ძირძელი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რესერის იმპერიის მიერ, ხოლო ცხოვრების გაუსაძლისი პირობების გამო მისი 5- მილიონიანი მოსახლეობის ერთ მილიონზე მეტი ადამიანი გაქცეულია საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში თავისი და ოჯახის არსებობის გადასარჩენად, თუმცა, ვინც საქართველოში რჩება, არც მათ ადგათ კარგი დღეები: ნომენკლატურის, მათი ოჯახებისა და ახლობლებ-მეგობრების გარდა, უმუშევრობა, უუფლებობა და გაჭირვება არის მათი მუდმივი თანამგზავრი.

მიზეზი ასეთი მდგომარეობისა, რა თქმა უნდა, ეკონომიკაა, უფრო სწორად კი მისი არასწორი მართვა, განუვითარებლობა და კატასტროფა. ქვეყნის ეკონომიკა ისეა პარალიზებული, ისეთ „კომაშია“, რომ მას არ შეუძლია საკუთარი მოსახლეობისათვის ელემენტარული პირობების შექმნაც კი. ამიტომ, ქვეყანა ცხოვრობს და არსებობს იმპორტით. მარტო ის ფაქტი, რომ ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის იმპორტი 4-ჯერ

# ეკონომიკური დოკტორინები



თავმჯდომარებელი  
2010

და მეტად სჭარბობს მის ექსპორტს, მეტყველებს ბევრ რამეზე (ანუ საქართველოში მცხოვრები ადამიანის სამომხმარებლო კალათის 80% იფარება იმპორტით).

ეკონომიკის ასეთი კატასტროფული მდგომარეობის მიზეზი, ქვეყნის მმართველი ელიტის, მთლიანად ეკონომიკის და მისი ცალკეული დარგებისა და ქვედარგების ხელმძღვანელების სახელმწიფო უნივერსიტეტის არქონა და საქმეში ჩაუხდაობაა, ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პრაქტიკის არცოდნაა. ხელისუფლება იმის ნაცვლად, რომ ჩაწვდეს ქვეყნის ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას, მოიზიდოს და საქმეში ჩააბას ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები და პრაქტიკოსები, მათი მონაწილეობით შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა, მისი განვითარების ეკონომიკური დოკტორინა, მდგომარეობიდან გამოსავალს თანამდებობის პირთა ხშირ ცვლაში ხედავს. მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობაში უკანასკნელი 7 წლის მანძილზე შეიცვალა 62 მინისტრი, მათ შორის ათამდე ეკონომიკის მინისტრი, თითქმის ამდენივე მთავრობის მეთაური, ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სახაზინო, საგადასახადო, საბაჟო, საგზაო და სხვა ეკონომიკური პროფილის სტრუქტურების ხელმძღვანელები, მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკაში და საერთოდ ქვეყნის მართვაში სრული განუკითხაობაა.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ამიერკავკასიის გეოსტრატეგიულ სივრცეში, მათ შორის საქართველოში, რესევტის გვერდით (აშკარად თანამედროვე „ამასის ზავით“, ორ გიგანტ სახელმწიფოს შორის „გადატვირთვის“ ამუშავების შედეგად) ახალ მოთამაშედ შემოდის თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სამხედრო მაჩვენებლებით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო-კოლონი – აშშ. ის, თავისი გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს რა საქართველოში ხანგრძლივად დამკვიდრებას, კველაფერს აკეთებს მის მიერ სასურველი მთავრობის 2003 წლის 23 ნოემბერს მოყვანილი

კადრების (პრეზიდენტი და სხვები) მხარდაჭერისათვის, საქართველოს ეკონომიკისა და პოლიტიკის „თავის ნოტაზე“ აწყობისათვის: აფინანსებს ხელისუფლებაში მათ ყოფნას, ებარება სპეციალისტებითა და მრჩევლებით (დენიკლ კუნინი და სხვები), მხარს უჭერს და ლობირებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აწყობს სხვადასხვა დარგის, მათ შორის ეკონომიკური დარგების, სტრუქტურების მუშაკებისათვის ხანგრძლივ და მოკლევადიან სწავლებებს, ამარავებს მათ ამერიკელთა პატრონაჟით და დაფინანსებით ქართულად თარგმნილი ამერიკელი მეცნიერების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით და სხვა მრავალი რამით. ერთ-ერთ ასეთ ამერიკულ სწავლება-სემინარში, სხვა ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად, მეც ვიდებდი მონაწილეობას, რომელიც მოწყობილი და დაფინანსებული იყო „რედ კორპორეიშენის“ თბილისის ფილიალის მიერ. ლექცია-სემინარი საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე ჩაგვიტარა ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტმა სეთ ვეისმანმა. იქვე დაგვირიგეს უფასოდ, ქართულ ენაზე, ამერიკის საელჩოს პატრონაჟით თარგმნილი და გამოცემული ამერიკელი მეცნიერის გრეგორი მენქიუს ათასგვერდიანი წიგნი-სახელმძღვანელო „ეკონომიკის პრინციპები“ და მოგვცეს წინადაღება ეკონომიკის ფაკულტეტებზე აღნიშნული წიგნის მიხედვით ჩაგვეტარებინა ლექცია-სემინარები.

ითქვა და გაკეთდა კიდევ უკელაფერი ისე, როგორც მითითებული იყო ამერიკულ სწავლება-სემინარზე: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნა სასწავლო დისციპლინა „ეკონომიკის პრინციპები“, რომლის სწავლება მიმდინარეობს გრეგორი მენქიუს წიგნის მიხედვით... მაგრამ როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, გატარებულმა სიახლეებმა (რეფორმებმა) ვერც საქართველოს ეკონომიკას უშველა რამე და ვერც ეკონომისტთა კადრების მომზადებას...

როგორც ჩანს, როცა რეფორმების გამტარებელმა გარეულმა და შინაურმა ძალებმა დაინახეს, რომ მათმა წამოწებულება

გარდაქმნებმა გათვალისწინებული შედეგი ვერ გამოიდო, მისი დაბრადება დაიწყეს ქართველ პროფესორ-მასწავლებლებზე და დაიწყო მათი როგორც „რეტროგრადი“ პროფესორ-მასწავლებლების მასობრივი გაყრა უმაღლესი სასწავლებლებიდან. პროფესორებმა ვლა პაპავამ, ავთ. სილაგაძემ, მ.ჯიბუტმა და სხვებმა, დაინახეს რა უნივერსიტეტში უსამართლობის აგორებული ტალღა ქართული მეცნიერების წინააღმდეგ, პროტესტის ნიშნად დატოვეს უნივერსიტეტში თავისი თანამდებობები და შეწყვიტეს ლექციების კითხვა. მათ პარალელურად და სინქრონულად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო მიტინგები დაიწყო პირველი კორპუსის ეზოში. მისიათვის, რომ ქართველი მეცნიერების გაყრის პროცესი დაეჩქარებინათ და შეუქცევადი ყოფილიყო, რასაც, როგორც ჩანს, თავი კარგად ვერ გაართვა თავი თსუ რექტორმა რ. ლორთქიფანიძემ, მომდევნო რექტორად დაინიშნა გ. ხუბუა, რომელმაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საიდუმლო მრჩევლად“ (ფაქტობრივად, განუსაზღვრული უფლებების მქონე დეკანად) დანიშნა გაურკვეველი მეცნიერული დონის, გაურკვეველი მეცნიერული ხარისხის, გაურკვეველი მეცნიერული პროფესიის მქონე ადამიანი, გერმანიის მოქალაქე ციმერმანი, რომელმაც არა თუ არ იცოდა არცერთი ქართული სიტყვა, არამედ არ იცოდა საქართველოს ისტორია, მისი კულტურა, არ იცოდა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა, მისი სტრუქტურა, მისი განვითარების ტენდენციები (არც ცდილობდა შეესწავლა) და ასეთმა ადამიანმა ძალზე მოკლე დროში მთლიანად დაანგრია უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი: წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები გაყარა უნივერსიტეტიდან, ხოლო ეკონომიკის ფაკულტეტი დააკნინა ინტელექტუალურად; მისი „ხელმძღვანელობით მოწყობილი კონკურსებით უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტებიდან გაყრილ პროფესორ-მასწავლებელთა შორისაა ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, პროფესორები: რ. ა. სათიანი, ტ. ბ. ბოლოკაძე, გ. თ. ღამუა, პ. ლ. ემორჯავა, გ. მიქელაძე, ნ. პაიჭაძე, რ. ქ. უტიძე, ჯ. შათირიშვილი, ა. ჯიბუტი,

მ.ხმალაძე, თ.ხომერიკი და სხვები და სხვები და ლექცია-სემინარების წარმატების მინდეს ამისათვის სრულიად მოუმზადებელ ახალგაზრდებს... შედეგმაც არ დააყოვნა: დაიწყო სტუდენტთა გაუთავებელი საჩივრები, რომ ლექცია-სემინარების დონე ძალზე დაბალია, რომ ახალგაზრდა ლექტორების უმრავლესობას არა აქვს საგნების სათანადო ცოდნა, არც ლექცია-სემინარების ჩატარების ჩვევები, ხშირია კონფლიქტი სტუდენტებსა და ლექტორებს შორის და სხვა და სხვა... სერიოზულ მეცნიერულ კვლევებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია...

... როგორც ყველაფრიდან ჩანს, საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. სად არის „გზა სხისა“?... დიდი ილია თავისი თანამედროვე საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან ხსნის გზას ხედავდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარება-აღორძინებაში და მოუწოდებდა თანამემამულებს – „აქამომდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის“. დღევანდელი საქართველო ილიასდროინდელი საქართველოს მდგომარეობაში იმყოფება და ჩვენც ეკონომიკას უნდა „დაგუთმოთ პირველი ადგილი სხვა საზრუნავთა შორის“...

დაგუთმოთ, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? მსოფლიო ბანკმა?... სავალუტო ფონდმა? ამერიკამ? გერმანიამ? გრეგორი მერქიუმ? დენიელ კუნინმა? ციმერმანმა? თუ სხვა დასავლეთელმა ქვეყნებმა და იქაურმა ექსპერტებმა? არა, არც ერთმა, არც მეორემ და არც მეათასემ. მართალია, ჩვენ ქართველებმა უნდა ვიმეობოთ ამერიკასთანაც, რუსეთთანაც, თურქეთთანაც, გერმანიასთანაც და ყველასთან, ვინც ჩვენთან ურთიერთობებს თანასწორულებინაობის პრინციპებზე ააგებს, მაგრამ ჩვენი საქმე მაინც თვითონ ქართველებმა უნდა ვაკეთოთ, მათ შორის, პირველ რიგში, ყველაზე გამორჩეულმა და ეკონომიკურ საკითხებში ჩახედულმა ადამიანებმა. აი, რას ამბობდა მსგავს სიტუაციაზე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე: „ჯერ არსად, არცერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე

ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით... დროა თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამსმარებელი და გამკეთებელი ჩვენს თავზე უკეთესი არასდროს არ გვეღირება“...

... და აი, საქართველოს ეკონომიკისა და მისი თანამდევვი მოვლენების უმართავობის, სისტემური კრიზისის დროს, ქართულ ენაზე გამოდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ავთანდილ სილაგაძის 80 ნაბეჭდამდე თაბახის მოცულობის ფუნდამენტურ გამოკვლევათა წიგნი - „ეკონომიკური დოქტრინები“, რომელიც შეიძლება ითქვას ეტაპური, ისტორიული მოვლენას საქართველოს ეკონომიკური აზრის განვითარებაში. მასში წარმოდგენილია არაერთი ეკონომიკური მოდელი – დოქტრინა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკის მკვდარი წერტილიდან დამკრისა და აღმავლობის გზაზე დაყენებისათვის...

ნაშრომის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ მკითხველი მაშინათვე დარწმუნდეს, თუ რა დიდი, შეიძლება ითქვას, კოლოსალური შრომა გაუწევია პროფესორ ავთ. სილაგაძეს დასახელებული წიგნის შექმნისთვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში „გაბნეული“ ეკონომიკური დოქტრინების შეკრებისათვის, მშვენიერი ქართულით წიგნად დაწერისათვის, მაღალპოლიგრაფიულად გამოცემისა და ქართველი მკითხველებისათვის მიწოდებისათვის.

ავტორი დეტალურად აღწერს ყველა იმ ეკონომიკურ დოქტრინასა და ეკონომიკურ მოდელს, რომელიც კი არსებულა მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ანტიკური ეპოქიდან ვიდრე დღემდე. არის ცნობილი გამოთქმა: „არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის“. დიახ, წარმოდგენილ წიგნში არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის: არც ძველი ბაბილონი, არც ძველი ჩინეთი, არც ძველი ინდოეთი, არც ანტიკური საბერძნეთი, არც ძველი რომი, არც კონფუცი, არც მანუ, არც ქსენოფონტი,

არც პლატონი, არც არისტოტელე, არც ციცერონი, არც ავგუსტინე, არც შეუ საუკუნეები, არც თომა აქინელი, არც მაკიაველი, არც კოლბერი, არც მერკანტილიზმი, არც ფიზიოკრატები, არც ადამ სმითი და რიკარდო, არც მარქსი, არც კეინზი და არც თანამედროვენი, რომელთა ეკონომიკურ დოქტრინებზე დგას თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, ტექნოლოგიები, მენეჯმენტი, კულტურა, ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა. ყველაფერი ეს წიგნის ავტორს ამოკრეფილი აქვთ სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროებიდან, მეცნიერული გამოკვლევებიდან, სამართლებრივი ძეგლებიდან, რომელთაგან უნდა აღინიშნოს წყაროები ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე, რომელთა რაოდენობა აღმატება ათასს... წიგნში ისე ყოვლისმოცველად და ღრმად, ისე კვალიფიციურად არის განხილული და გადმოცემული ყოველი ეკონომიკური დოქტრინა, მისი ავტორი, მისი წარმოშობის ქვეყანა, რომ წარმოდგენილ წიგნს თამამად შეიძლება კურდოთ „ეკონომიკური დოქტრინების ენციკლოპედია“. ავტორს, მიუხედავად წიგნის სათაურისა („ეკონომიკური დოქტრინები“), მასში წარმოდგენილი და განხილული აქვს სამართლის ძეგლებიც: „ჰამურაბის კანონები“, „მანუს კანონები“, „სალიკური სამართლი“, ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი“, ვახტანგ VI-ის „სამართლი“, ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის ეროვნული ეკონომიკის დოქტრინები, თანამედროვე დასავლური ინსტიტუციონალიზმი და სხვები და სხვები... საკითხისადმი ასეთი მიღომა უთუოდ სწორია და მისასალმებელი, რადგან არ არსებობს ეკონომიკური დოქტრინა ან ეკონომიკური მოდელი სამართლის გარეშე და არც სამართლი არსებობს ეკონომიკური დოქტრინების გარეშე. უფრო მეტიც, აღნიშნული ტანდემის გარეშე არ არსებობს არათუ მაღალგანვითარებული ეკონომიკა, არამედ არ არსებობს საერთოდ ადამიანთა საზოგადოება.

პროფესიონალური სილაბაძის წიგნის დირექტორი უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, რომ მასში თავმოყრილია წარსული

და თანამედროვე მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური დოქტრინები, მოდელები, კატეგორიები, არამედ ისიც, რომ მათზე საუბარი, მათი განხილვები, მათი გადმოცემები, მათი ქართველ მკითხველებამდე მიტანა, გაკეთებულია მდიდარი ქართული ენით და დახვეწილი ლიტერატურული სტილით. ეს ყოველივე ისე ოსტატურადა გაკეთებული, ისე მაღალ დონეზე, რომ წიგნის კითხვისას გექმნება შთაბეჭდილება, რომ კითხულობთ არა მშრალ ნაშრომს ეკონომიკურ დოქტრინებზე, არამედ უმშვენიერეს ნოველებს მათზე, შორეულის, შეუ საუკუნეების და თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ დოქტრინებზე, მათ ავტორებზე, მათ აღზევებებსა და დამცრობებზე, რომელთა კითხვას თუ დაიწყებ, ვერ შეჩერდები, სანამ ყველა „ნოველას“ არ ჩაიკითხავ ბოლომდე.

ცნობილია, რომ ქართული ოჯახი ყოველთვის იყო ქართული კულტურისა და ქართული ზნეობის, ქართული ეროვნულობის შენახვისა და გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი გზა და ბალავარი. ოჯახებში იწერებოდა (მრავლდებოდა) „ვეფხისტყაოსნის“, სახარების, მარტვილობების ახალ-ახალი ეგზემპლარები, იქმნებოდა ხელოვნების ნიმუშები, ეწყობოდა სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენა, იხსნებოდა სკოლები, პატრიოტული სულისკვეთებით იზრდებოდნენ მომავალი თაობები... და აი, რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს, როდესაც ასე დაუნდობლად უტევენ ენას, ქართულ საშუალო და უმაღლეს სკოლას, ქართულ მწერლობას, ქართულ მეცნიერებას, მათ შორის ეკონომიკურ მეცნიერებას და ეკონომიკურ პრაქტიკას, აღმოჩნდა ქართული ოჯახი, სილაბაძეების ოჯახის სახით, რომელმაც შეაგროვა, შეისწავლა, ქართულად გადამჟმენავა და გამართული ქართულით მკითხველს მიაწოდა მსოფლიოში არსებული ყველა ძირითადი „ეკონომიკური დოქტრინა“ მათგან უკეთესის საქართველოში გამოსაყენებლად. წიგნის ავტორები არიან პროფ. ა. სილაბაძე, მისი მეუღლე, პროფ. თამარ ათანელიშვილი, შვილები: დოქტორანტი ნოდარ სილაბაძე და თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლევან სილა-

გაძე... იმედია, რომ მომავალში სილაგაძეების ოჯახი ერთად და ცალ-ცალკე კიდევ არაერთი მეცნიერული და პრაქტიკული გამოცემებით გაახარებს ქართველ მკითხველს, გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას და ეკონომიკურ პრაქტიკას, წინ წასწევს მის თეორიულ და პრაქტიკულ დონეებს, რითაც ხელი შეეწყობა ქართული კულტურისა და და ქართული მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და წინსვლას...

როდესაც 2000 წელს აშშ-ში გამოვიდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ფინანსისტების ზვი ბოდისა და ნობელის პრემიის ლაურეატის რობერტ მერტონის ავტორობით წიგნისახელმძღვანელო – „ფინანსები“, რომელმაც მაშინათვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება არა მარტო აშშ-ში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ეკონომიკური მეცნიერების პარტიარქმა პოლ სამუელსონმა წიგნზე დაწერა დასკნა-გამოხმაურება, სადაც არა მარტო შეაქო წიგნი, არამედ აღნიშნა ისიც, რომ ავტორები მისი ყოფილი სტუდენტები იყვნენ, რომელთაც აშკარად აჯობეს თავის მასწავლებელს (სამუელსონს) და სინანულს გამოთქვამდა, სად იყვნენ აღნიშნული ავტორები მისი სტუდენტობის დროს, რომ მას შესაძლებლობა ჰქონოდა მათ შესანიშნავ სახელმძღვანელოზე აღზრდილიყო (იხ. **Зви Боди, Роберт Мертон – “Финансы”. Пер. с англ., М., 2002, стр.17.**)

რაღაც მსგავსი რამ შემემთხვა მეც სილაგაძესთან და მისი ავტორობით გამოსულ „ეკონომიკურ დოქტრინებთან“ დაკავშირებით. სილაგაძე ჩემი სტუდენტი იყო, თანაც ძალზე ნიჭიერი, მშრომისმოყვარე და წარჩინებული. თუ პ. სამუელსონის ყოფილ სტუდენტს რობერტ მერტონს ნობელის პრემია აქვს მიღებული, ჩემს ყოფილ სტუდენტს სილაგაძესაც მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. თუ მერტონმა აშკარად აჯობა თავის მასწავლებელ სამუელსონს, ა. სილაგაძემ აჯობა თავის მასწავლებელს, დაწერა შესანიშნავი წიგნი, რომელზედაც მომავალი თაობები აღიზრდებიან საქართველოში.

სამწუხაროა, რომ ჩემი სტუდენტობის დროს ნაკლებად იყვნენ სილაგაძისნაირი ავტორები, რომლებიც დაგვიწერდნენ მსგავს სახელმძღვანელოებს და უფრო განათლებულები ვიქებოდით, ვიდრე დღეს ვართ. ჩემი სტუდენტობისა და ასპირანტობის დროს იყო ჟამსის, სამუელსონის, სელიგმენის წიგნები, უცხოურიდან რუსულად თარგმნილები, მაგრამ ისინი არ იყო თავისუფალ გაყიდვაში, მათი წაკითხვის უფლება ყველას არ ჰქონდა. მას კონტროლს უწევდა სპეციალისახურები. მათ პირველ გვერდს ყოველთვის „ამშვენებდა“ წარწერა „**Для научных библиотек**“... რომლის წაკითხვის უფლება რომ მოეცაო (გარანა არ შეიძლებოდა ბიბლიოთეკიდან), შუამდგომლობა უნდა მიგეტანოთ თქვენი სამუშაო ადგილიდან, რომელიც აქცეპტირებული უნდა ყოფილიყო სპეციალისახურის (კგბ) განყოფილების მიერ. სილაგაძეების წიგნი კი თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისაგან. აქ მთავარია მოინდომო მისი წაკითხვა. იმედია სილაგაძეების წიგნი ბესტსელერად გადაიქცევა ყველა ქართველი ეკონომისტისათვის. ის აშკარად ძვირფასი შენაძენია ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პრაქტიკისათვის, საერთოდ ქართული ეროვნული კულტურისათვის. ავტორებს, ამის გამო, დიდი მადლობა უნდა ვუთხროთ, ვუსურვოთ ახალ-ახალი წარმატებები თავიანთ მოღვაწეობაში. მოვუწოდებ მომავალ თაობებს ყურადღებით წაიკითხონ თვითული დოქტრინა, მისი წარმოშობისა და ფუნქციონირების პერიპეტიები, გაიცნონ მისი ავტორები, წარმომშობი ქვეყნები და სხვები. ეს ძალიან, ძალიან გამოაღებათ მათ საქართველოს ცივილიზებული გზით წაყვანისათვის, აღმშენებლობისათვის, აყვავებისათვის...

დაბოლოს, ერთ სამწუხარო დანახვის თუ შენიშვნის შესახებ: წიგნის საწყის გვერდზე მითითებულია, რომ წიგნის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და მეცნიერი, ქართული მეცნიერებისა და კულტურის დიდი მომაბეგ და ორგანიზაციონი. ის წლების განმავლობაში იყო ჯერ პუშკინის სახელობის უნივერსიტეტის,

შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ეგავა სხვა თანამდებობებიც, მის სახელს უკავშირდება პირველი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12 ტომიანი გამოცემა მწერალ-აკადემიკოს ირაბაშიძესთან, აკად. პ.გუგუშვილთან და სხვებთან ერთად, ასევე სხვა ბევრი ეროვნული საქმის კეთება. იმავე გვერდზე მითითებულია სარედაქციო კოლეგია, რომლის წევრებად დასახელებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები: როზეტა ასათიანი, თეიმურაზ ბერიძე, პაარტა კოლუაშვილი, კარლო ლურწვაია, მიხეილ ჯიბუტი... დასახელებულია რეცეზენტებიც: პროფესორები – რევაზ გოგონია, ჯემალ კახნიაშვილი, პარმენ ლემონჯავა, ზინაიდა სოხაძე და სხვები, ყველანი მეცნიერული ავტორიტეტებია, რომელთა თანამედროვე პუბლიკაციებით სარგებლობენ და მომავალშიც ისარგებლებენ სტუდენტები, პედაგოგები, სხვა დაინტერესებული პირები და ამ დროს კი თვით მათ ავტორებს არ ექნებათ საშუალება თავად წაუკითხონ სტუდენტებს ლექციები, ჩაუტარონ სემინარები, თვითონ მიიტანონ სტუდენტებამდე თავისი ნადვაწი და ნამოქმედარი, გადასცენ მათ თავისი ცოდნა, გამოცდილება, ხედვები. ისინი ხომ ადრევე დაითხოვეს უნივერსიტეტიდან როგორც დაკავებული თანამდებობებისადმი „შეუცერებელნი“...

უნივერსიტეტი და საერთოდ უმაღლესი განათლება და მეცნიერება, საქართველოში წარმოუდგენელია აკად. რ.მეტრეველისა და მის მსგავსთა გარეშე, ეკონომიკურ ფაკულტეტზე მომავალი ეკონომისტების აღზრდა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარება, დღეისდღეობით წარმოუდგენელია ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პროფ. ვლ. პაპავას, პროფ. ა. სილაგაძის, პროფ. რ. ა. სათიანის, პროფ. რ. გოგონიას, პროფ. გ. თოდუას, პროფ. პ. ლემონჯავას, პროფ. ზ. სოხაძის და სხვათა და სხვათა გარეშე... სასაცილოა? – არა, სასაცილო არ არის, ეს სატირალია და თანაც მოთქმით სატირალი, ძალზე ხმამაღლი ხმით სატირალი, მაგრამ სამწუხაროდ, მომტირალიც აღარ სჩანს

შინაური და გარეული ანტიქართველების მიერ დაბეჭავებულ დღევანდელ საქართველოში...

### შოთა ქისტაური

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი პრაქტიკულად აგრარული სფეროს რეფორმირებით დაიწყო, რამაც დიდი იმედები გააჩინა საზოგადოებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, აგროსექტორი დღეს სავალალო მდგომარეობაშია, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტიც განაპირობებს. ეს არც უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რადგან ნებისმიერი წარმოების განვითარებისა და შიგა თუ გარე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარ ფაქტორად თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ცოდნა და ინტელექტუალური პოტენციალი გამოიდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოება ვერ აღორძინდება სათანადო ცოდნისა და განათლების გარეშე.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ქვეყნის ახალი აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აგრარული კადრების (მათ შორის აგროეკონომისტების) მომზადება უნდა გახდეს. ამ პრობლემის გადაწყვეტა, თავის მხრივ, დამოკიდებულია როგორც პროფესიული პედაგოგიური კადრების რაოდენობასა და ხარისხზე, ასევე თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მომზადებულ სასწავლო ლიტერატურაზე. ამ კონტექსტით სარეცენზიო წიგნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: დღეისთვის ეკონომიკური ლიტერატურის დეფიციტი წიგნის ბაზარზე ნამდვილად არ შეიმჩნევა, მაგრამ ქართულ ენაზე გამოცემული თანამედროვე დასავლური აგროწარმოების ეკონომიკის სახელმძღვანელოები კი უდავოდ, დეფიციტურია, რასაც სარეცენზიო ნაშრომი გარკვეულწილად

\* პ. კოლუაშვილი, გ. ზიბზიბაძე აგრარული საწარმოს ეკონომიკა, თბ., 2010, 250გვ.

ავსებს. ამასთან, ის მეტ-ნაკლები ზომით უცხოეთის უნივერსიტეტებში გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის ანალოგია. მასში კომპაქტურად და თანმიმდევრულადაა გადმოცემული ისეთი საკითხები, რომლებიც ესოდენ საჭიროა აგრომეწარმეებისათვის: აგროწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, მათ შორის, წარმოების ოპტიმიზაციისა და მისი ფაქტორების განაწილების ეკონომიკური პრინციპები, მეურნეობათაშორისი და შიგამეურნეობრივი კონკურენტუნარიანობის, დანახარჯების თანამედროვე კონცეფციის, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების, აგროსაწარმოთა ინკუსტირების, ფინანსების, ქონების შეფასების თეორიულ-პრაქტიკული და სხვა აქტუალური საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მარტო ბაკალავრებსა და მაგისტრანტებზე, არამედ დამწერებ და მოქმედ აგრომეწარმეებზე, რომლებიც ამ წიგნში გაეცნობიან მათ წინაშე არსებული ბევრი საჭირობოროტო საკითხის მოგვარების რჩევებსა და რეკომენდაციებს.

ამდენად, გადაუჭირდებლად შეიძლება ითქვას, რომ „აგრარული საწარმოს ეკონომიკის“ სახელმძღვანელო მომზადებულია თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით. სახელმძღვანელოს დღეისთვის ქართულ ენაზე ანალოგი არ გააჩნია, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული აგროეკონომიკური სასწავლო ლიტერატურისათვის და ის ჯეროვნად შეუწყობს ხელს მომავალ აგროეკონომისტთა კადრების პროფესიულ აღზრდას და აგროწარმოებაში დასაქმებული მეწარმეების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.

ბუნებრივია, ნაშრომს ზოგიერთი ნაკლოვანებაც ახასიათებს. ჯერ-ერთი, მასში თუნდაც მოკლედ, მაგრამ სიღრმისეულად უნდა ყოფილიყო განსილებული დღეისთვის საქართველოს აგრარულ სფეროში არსებული სისტემური კრიზისის მიზეზები

და მისი დაძლევის ფაქტორები; ასევე, საჭირო იყო ყურადღების გამახვილება აგროსამრეწველო კომპლექსის როლისა და პერსპექტივების საკითხებზე. რაც შეეხება „საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა არსისა და ფორმების“ განხილვას, ის მოცემული ნაშრომისათვის საერთოდ ზედმეტია, რამეთუ ფართოდ და საფუძვლიანადა განხილული სხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში. ასევე, ალბათ, წიგნი უფრო მოიგებდა, თუკი მას ტესტებისა და თვითშემოწმების კითხვართან ერთად, დართული ექნებოდა სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ეკონომიკური ტერმინების განმარტებები.

რევაზ გოგონება, ჯვარ მახარაძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები

**პაატა ბუბუბვილი – ქართული ეკონომიკური  
მეცნიერების რაინდი**

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება, განსაკუთრებით სწავლულ ეკონომისტთა წრე, დაბადებიდან 105 წლისთავთან დაკავშირებით, საოცარი მოკრძალებით, დრმა პატივისცემითა და უდიდესი მადლიერებით იხსენებს თავის სახელოვან წინაარს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჭეშმარიტ რაინდს, მშობლიური ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბოლომდე უანგაროდ დახარჯულ მამულიშვილს, გამოჩენილ მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს – აკადემიკოს პაატა გუგუშვილს.

დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი). თავისსავე სოფელში ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1917-1923 წლებში სწავლობდა ფოთისა და ქუთაისის გიმნაზიებში, 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით 1927 წელს დაამთავრა.

1927 წლიდან მოყოლებული, ურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე.

პ. გუგუშვილის პირველი ნაშრომი ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1929 წელს სათაურით „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“, რომლის თაობაზე მოგვიანებით პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე წერდა: „თავის დიდ ერუდიციასთან ერთად, პ. გუგუშვილი უნდა უმაღლეს ქართული კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტი კორიფეების, მისი მასწავლებლების ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის და ფილიპე გოგიჩაიშვილის ამაგსა და მზრუნ-

ველობას, რომ მისთვის სიჭაბუქეშივე ფრთოდ გაიღო მეცნიერების მაღალი კარები, რომ მან სტუდენტობის წლებშივე შესძლოდა დაწერა და დაებეჭდა 380-გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის – ქართული ბეჭდვითი სიტყვის, ხტამბური წიგნის მრავალჭირნახული ისტორიაა გაშუქებული და რომ საქართველოს განათლების კომისარიატმა ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისთავის იუბილის აღსანიშნავად ეს წიგნი გამოსცა“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1965, № 300).

იმის საიდუმლოსტრაციოდ, რომ საამაყო მასწავლებლების წინაშე არც მოწაფე დარჩენილა ვალში, საკმარისია თუნდაც იმის გახსენება, რომ პ.გუგუშვილს, გამოქვეყნებული ღრმამეცნიერული გამოკვლევებისთვის, პროფესორების ფ. გოგიჩაიშვილის, გ.ნათაძისა და პ.პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე – Honoris Causa – ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ასეთი რამ იშვიათი მოვლენა იყო უნივერსიტეტის (მით უმეტეს, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების) ისტორიაში.

1940 წელს პ.გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მქალევარმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა – ი.ჯავახიშვილმა, ნ.ბერძნიშვილმა და ფ.გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა ოპონენტებმა. მათ მაძიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს იყო ეკონომიკის სპეციალობით

საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ სტუდენტებისთვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ.გუგუშვილის დამსახურება. 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ქვეყნდება მის მიერ მომზადებული: სახალხო მეურნეობის ისტორია“ 10 ნაკვეთად; „ტექნიკის ისტორია“ 5 ნაკვეთად; ნაშრომი „ეკონომიკური ფორმაციებისთვის“ და ქრესტომათია - „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ - 3 ტომად და სხვ.

პ.გუგუშვილის როგორც მეცნიერისა და მკვლევარის, პროდუქტიულობის შესაფასებლად საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, მას გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მ.შ. 50 მონოგრაფია ცალკე წიგნად), 1100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რაც დაახლოებით 28-29 სქელტანიან ტომს შეადგენს. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა 1949-1984 წწ. გამოქვეყნებული მონოგრაფიების შვიდტომეული - „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, 5300 გვერდის მოცულობით, რომლის სამი წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზეც.

ამ ნაშრომს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში „მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსით, უურნ. „მაკრომიკონიკის ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟურის გადაწყვეტილებით, სავსებით კანონზომიერად მიენიჭა პირველი პრემია.

წარსულის დრმა და საფუძვლიან შესწავლას მკვლევარი იმიტომაც აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო დევიზი იყო:

„ადამიანმა, რომელმაც არ იცის, საიდან მოდის, არ შეიძლება შეგნებულად და გააზრებულად იცოდეს, თუ საითკენ მიდის, რას აკეთებს და ავითარებს“.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. დღევანდელი თვალსაწიერიდან თუ შევაფასებთ, ნათლად დავინახავთ, რაოდენი წინდახედულება და გამჭრიახობა გამოუჩენია პ.გუგუშვილს ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის მთავარ (ფუნდამენტურ) საკვლევ პრობლემას ირჩევდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ეკონომისტთა უმრავლესობის ნაშრომები, რომლებიც სოციალისტურ ურთიერთობათა „უპირატესობის“ ანალიზს ეძღვნებოდა, დღეისთვის მეტწილად გაუფასურებულია, ბატონი პაატას მონოგრაფიებში გაკეთებული დასკვნები კი დღესაც ფრიად ანგარიშგასაწევია და ამ პრობლემატიკაზე მომუშავე ვერც ერთი მკლევარი მათ მომავალშიც ვერ აუვლის გვერდს.

1946-1972 წლებში გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებული (7 ტომი). ყველა მათგანის ძირითადი თანაავტორი და მთავარი რედაქტორი პ.გუგუშვილი იყო.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკიდრეობას სხვადასხვა დროს რეცენზიებით, ბიბლიოგრაფიებით, ესსეებით და სხვა ფორმებით დადგებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: რუსეთიდან – კ.ოსტროვიტიანოვი, ნ.დრუჟინინი, პ.მასლოვი, ბ.ურლანისი, პ.პოდკოლზინი, ნ.ცაგოლოვი და სხვ; აშშ-დან – ჯ.კოლაჯა; გერმანიიდან – გ.ჰაინინგერი; უნგრეთიდან – ტ.ფიოლდი; ჩეხეთიდან – ზ. ურბანოვა; საფრანგეთიდან – კ.სალია; აზერბაიჯანიდან – ა.სუმბათზადე; სომხეთიდან – ტ.აზატიანი და ა.შ.; საქართველოდან – ივ.ჯავახიშვილი,

ფ.გოგიჩაიშვილი, კ.გამსახურდია, გ.ლეონიძე, ნ.ბერძენიშვილი, შ.ნუცუბიძე, პ.კოლიევგებროვი, ვ.ჩანტლაძე, ა.გუნია, ლ.გორგილაძე, შ.მესხია, ა.სურგულაძე, ს.ჯორბენაძე, მ.ძახეთელიძე, ნ.იაშვილი, ი.კაჭარავა, ი.ბალანჩივაძე, ა.კაკაბაძე, ი.ბაჯაძე, ა.ნუცუბიძე, გ.ბახტაძე, ა.იოსელიანი, გ.ჭანუფლაძე, ბ.ხასია, დ.ქორიძე, გ.თოდუა, რ.გოგოხია და სხვ.

ზემოხსენებულ რეცენზენტოა დასკვნების დეტალური გაცნობით მკითხველს არ გადავდლი, მაგრამ ქართული პროზის მშვენების კ.გამსახურდიას მოსაზრებათა გვერდის ავლა, ალბათ, გამართლებული არ იქნება. ბატონი კონსტანტინე თავის თხზულებათა მერვე ტომის 205-206-ე გვერდებზე წერს: „პაატა გუგუშვილმა თავისი ხანგრძლივი, ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას. მან ნამდვილად სისტემური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდიშვნელოვანი საკითხების წამოყენებითა და გაშუქებით, ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციითა და თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებით შექმნა ეკონომისტთა ქართული სკოლა, რომელიც მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას“.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ერთი ადამიანისთვის ასეთი სიმძიმის აწევა იოლი როდი იყო. უკიდეგანო იყო მისი გონიერება, ბუნებით მომადლებული უბადლო ნიჭი, უშრეტი ენერგია და განსაკუთრებული ძალისხმევა, რამაც შეუძლებელიც კი შეაძლებინა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოში მეოცე საუკუნეში ქართულ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში პ.გუგუშვილს ისეთივე გამორჩეული ადგილი უკავია, როგორიც ისტორიოგრა-

ფიაში ივჯავახიშვილს, ფსიქოლოგიაში – დ.უზნაძეს, ფიზიოლოგიაში – ივ. ბერიტაშვილს, მათემატიკაში – ა.რაზმაძეს, ფილოსოფიაში – შ.ნუცუბიძეს, გეოგრაფიაში – გ.ბაგრატიონს, ქიმიაში – პ.მელიქიშვილს, ენათმეცნიერებაში – ა.ჩიქობავას, ქართულ ლიტერატურაში – პ.ჭადელიძეს, გეოლოგიაში – ა. ჯანელიძეს, არქეოლოგიაში – ა.აფაქიძეს, ასტრონომიაში – ე.ხარაძეს და ა.შ. და ეს მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე თავიანთ პროფესიულ ჭაპანს, მასთან ერთად, ასევე ენერგიულად და სახელოვნად ეწეოდნენ მისი სპეციალობის როგორც მასწავლებლები (ფ.გოგიჩაიშვილი, გ.გებტმანი, ბ.რამიშვილი, ნ.ქოიავა და ა.შ.), ისე უშუალო კოლეგები (ვ.ჩანტლაძე, ი.მიქელაძე, გ.გამყრელიძე, ი.ბაჯაძე, ა.გოკიელი, ნ. იაშვილი, ლ.გარბელაშვილი და სხვ). ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში პ.გუგუშვილი საყოველ-თაოდ აღიარებულია მეოცე საუკუნის ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქად (ქურუმად) და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მოსაზრებას ყველა სწავლული ეკონომისტი ერთ-სულოვნად იზიარებს. სავსებით კანონზომიერად, ეკონომისტთა შორის ის იყო პირველი, რომელიც არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად.

აკად. პ.გუგუშვილი რომ უაღრესად ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, ამაზე მეტყველებს მისი მეცნიერული კვლევა-მიების საკითხთა ფართო წრე. გარდა იმისა, რომ არ დარჩენილა ეკონომიკური მეცნიერების თითქმის არც ერთი დარგი, რომელ-შიც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას, მან შექმნა და გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომები ისტორიულ მეცნიერებაშიც, ასევე, კაპიტალური გამოკვლევები მიუძღვნა უურნალისტიკას, სოციო-ლოგიასა და დემოგრაფიას.

პ.გუგუშვილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ

მეცნიერების დიდი ორგანიზატორიც. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს, მისი ინიციატივით, აქტიური ძალის ხმელით და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც 32 წლის განმავლობაში თვითონვე ედგა სათავეში. 1948-1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ის იყო, პოლიტიკური ეკონომიკის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით, სპეც ცენტრალური კომიტეტის მიერ ქ.მოსკოვში გამართული 1951 წლის ნოემბრის ცნობილი დისკუსიის აქტიური მონაწილე და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. 1959 წელს იტალიაში არჩეულ იქნა მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად.

უდავოდ დიდია აბად. პ.გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის შემუშავებაში. განსაკუთრებულ კმაყოფილებას მგვრის ის ფაქტი, რომ წილად მხვდა, აკად. ვ.ჩანტლაძესთან ერთად, მის მიერ სანახევროდ დამუშავებული ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საბოლოო კონდიციამდე მიყვანა და გამოცემა.

ცოტა რამ, ჩემი თვალთახედვით, ბატონი პააგას პიროვნეული პორტრეტის თაობაზე. ის იყო უაღრესად დარბაისლური აღნა-გობის, პირველი შეხვედრისთანავე მდიდარი შთაბეჭდილების მომხდენი, საოცრად მომხიბლავი, მუდამ ბრძნული იუმორის ქონე, კოველმხრივ განსწავლული და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, რომელიც მეცნიერულ დისკუსიაში ჩაბმისას ისე გრძნობდა თაგს, როგორც თევზი წევრებში. ახასიათებდა პრინციპულობა, მომთხოვნელობა, სიმკაცრე და მეცნიერულ კამათში შეუბრალებლობა, რომელიც ობიექტურობის ფარგლებს არასოდეს

გასცილებია და რომელსაც არასოდეს შეუშლია ხელი მისთვის, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში უხვად გადმოვწრებია სითბო და სიკეთე, გაჭირვებულისთვის გაეწოდებინა დახმარების ხელი, პერსპექტიული ახალგაზრდები დაეყენებინა სწორ გზაზე და შექმნა მათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

თავმდაბლობისა და სისადავის მიუხედავად, მასთან ურთიერთობა არ იყო აღვილი. იგი თუნდაც უბრალო შეცდომას თუ უტაქტობას საკუთარ შვილებსაც არ პატიობდა, ამიტომ მუდამ ფრთხილი და მობილიზებული უნდა ყოფილიყავი, რომ არაფერი შეგშლოდა და მისი „მსხვრპლი“ არ გამხდარიყავი. სხვათა შორის, ეს ეხებოდა უკლებლივ ყველას. რამდენჯერ მინახავს მისი თავმჯდომარეობით დისერტაციების დაცვისას „ამ მიზეზით“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი არა მარტო დისერტანტები, არამედ მათი მეცნიერ ხელმძღვანელები და ოფიციალური ოპონენტებიც. ეს კადრების აღზრდის თავისებური სკოლა იყო.

დღევანდელი თვალსაწიერიდან სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ძალიან დიდი შინაგანი ინტელექტი და კეთილადამიანური თვისებების ოპტიმალური შეხამებაა აუცილებელი იმისთვის, რომ შენს გარშემო მყოფთა მიმართ, საჭიროებისამებრ, მკაცრი და მომთხოვნიც იყო და თბილი და მოსიყვარულები.

აკად. პ.გუგუშვილს დიდი დვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა მეცნიერული კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 100-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი. იგი სიცოცხლის ბოლომდე (1987 წ.) ბერმუხსავით იდგა მეცნიერების სადარაჯოზე და ჭაბუქური ენერგიით, სადი გონებითა და მისთვის ჩვეული შემართებით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს – მეცნიერულ-პედაგოგიურ

და საზოგადოებრივ მოდგაწეობას.

აკად. პ.გუგუშვილის მსგავსი დირსეული პიროვნებები თავისთავად იმპეიდრებენ საპატიო ადგილს ერის ცხოვრებაში. მისი სიცოცხლე მისსავე შესანიშნავ გამოკვლევებში გაგრძელდება და მომავალი მას კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

---

---

გადაეცა ასაწყობად - 10.10.2010  
ხელმოწერილია დასაბუჭიდად - 20.10.2010  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, ტირაკი - 150

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა,  
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
www.press.tsu.ge (25-14-32)

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგიკა“  
თბილისი, ჯიქიას 10.

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი